

ბიზნესი და კანონმდებლობა

№6 ოქტომბერი 2013

საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

რეგისტრირებულია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავის-სუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უამრუსული სტატიების უინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისაღწივად:

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს ანტიკორუფციული, გულანდინთა და უინანსური მენეჯმენტი ფუნდაციის, სანიტორი-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაქი ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იუჩი ჰაპხაძე, ეკონომიკური მეცნი. აკად. დოქტორი, ჰიუმანური

სამეცნიერო რედაქტორი:

ნიკოლოზ ბაქაშვილი, ეკონომიკური მეცნი. დოქტორი, ჰიუმანური

რედაქტორი:

ეკა ჯიმშელაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილინა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, ჰიუმანური მეცნიერებები: ირაკლი მარცხიანი, ნოდარ ჭიჭინაძე, ელენე მარცხიანი, ზაზა ჯორჯაძე, ნოდარ ხაჩიძე, დავით ჯორჯაძე, ნათელა ჯორჯაძე, ნინო შონია, დავით ჯორჯაძე, თამარ ხორვათიანი, ზორბეგ აბაშიანი, ნიკოლოზ ჩხეიძე, თამარ აბაშიანი, დავით აბაშიანი, ბიძინა ლავროვი, დინა დინია, დავით ჯორჯაძე, სერგეი ჯორჯაძე, დავით ჯორჯაძე, ბიძინა ლავროვი, ბიძინა ლავროვი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნეკი-ნეკიშვილი

სამეცნიერო და პოლიტიკური მეცნიერებათა დოქტორი ჯორჯაძე ბაქაშვილი.

იუჩი ნაჭყებია, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, ჰიუმანური მეცნიერებათა

მეცნიერებათა დოქტორი, ჰიუმანური მეცნიერებათა

ბიძინა ლავროვი (ბიძინა ლავროვის უნივერსიტეტის ჰიუმანური მეცნიერებების ფაკულტეტი), ირაკლი მარცხიანი (ბონის უნივერსიტეტის ჰიუმანური მეცნიერებების ფაკულტეტი), დინა დინია (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის ჰიუმანური მეცნიერებების ფაკულტეტი).

კონსულტანტი:

თამარ იაშვილი, ანტიკორუფციული, იურიდიული

შინაარსი

აგრარული საქმური

ნოდარ ჭიანავა, ბიორბი მუსხერიძე

მინას სახელმწიფოებრივი რეგულირება სჭირდება! 3

???????, კაატა კოლუაშილი

კოოპერაციის პროცესი სახელმწიფომ უნდა წარმართოს და არა ენჯეობმა! 11

კაატა კოლუაშილი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების დაუყოვნებლივ მიღება აუცილებელია 15

საბაზრო მუხასტაზაი

თამაზ აქუზარდია

მევახმეთა ზეობა, ანუ, რატომ არის ჩვენთან ჯერ კიდევ ველური კაპიტალიზმი 17

აგრარული საქმური

ნანა შონია

აგრობიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში 20

თვითმმართველობები

ბორის ჭიჭინაძე

თვითმმართველობების წარმოშობის და განვითარების ასპექტები 24

რეპონები

ნიკო ჩინლაძე, კახა ბაბულაშვილი, თა ვალიაშვილი

ქალაქის ბრენდინგი - განვითარების ეფექტური იარაღი 29

სულიერება და ბაზარი

თამაზ აქუზარდია

ადამიანის ღირსება და საბაზრო სისტემა 34

მეხნიერება

ანატი შაფუბია

მოტივაციის მნიშვნელობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკადრო პოლიტიკაში 36

ბურიზმი

კობა ბიჭაძე

ტურიზტი - ახალი შესაძლებლობები ტურიზმის სფეროში 39

არჩევნები

ოზა ბარდაველიძე

როგორ იკერება საქართველოში საარჩევნო „ბიბლია“? 40

არჩევნები

ოზა ბარდაველიძე

როგორ იკერება საქართველოში საარჩევნო „ბიბლია“? 40

არჩევნები

ოზა ბარდაველიძე

როგორ იკერება საქართველოში საარჩევნო „ბიბლია“? 40

მინას სახელმწიფოებრივი რეპულირება სჭირდება!

მიწის კადასტრის ფორმირების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები

მინა ყოველთვის იყო აგრარული ურთიერთობების მატერიალური საფუძველი. მეურნეობრიობის სისტემაში მინა განიხილება, როგორც მთავარი ობიექტი, რაც წარმოშობს მისი რესურსების გამიჯვნის, გადანაწილების, რეგულირების და დაცვის პრობლემებს.

ამიტომ, კაცობრიობის განვითარების ისტორიულ ეტაპებზე მინის რესურსების გამოყენების საკითხები საზოგადოების მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო.

მინის, როგორც ბუნებრივი რესურსის, თავისებურებანი

დროთა განმავლობაში მინის რესურსების რეგულირების მიზნით შეიქმნა მინის კადასტრი.¹ იგი სხვა სახის კადასტრებისგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მინა მატერიალური კეთილდღეობის წყაროსთან ერთად წარმოების სპეციფიკურ საშუალებას წარმოადგენს, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში მინა ასრულებს სივრცობრივი ბაზისის ფუნქციას, ხოლო მომპოვებელ მრეწველობაში შრომის საგნის ფუნქციასაც. ამასთან მიჩნეულია, რომ მინა სოფლის მეურნეობაში არა მხოლოდ ადგილია, სადაც შრომის პროცესი მიმდინარეობს, არამედ, ამასთან იგი ასრულებს შრომის საგნისა და შრომის იარაღის ფუნქციასაც. მინა ასევე სივრცობრივად შეზღუდულია, ამიტომ მისი როგორც წარმოების საშუალების შეცვლა (ჩანაცვლება) არ ხდება. მინისთვის დამახასიათებელია გამოყენებაში ციკლურობა (სეზონურობა) და სხვ. მინას აქვს სპეციფიკური თვისებაც – ნაყოფიერება, რომელზეც არის დამოკიდებული მცენარეთა ზრდა-განვითარება. მინა გამოყენების თვალსაზრისით მრავალმხრივობით გამოირჩევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, როგორც თავისებურება, მოითხოვს მინის, როგორც ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების არსებობას, ე.ი. მინის კადასტრის შედგენას.

ლიტერატურაში მინის კადასტრის შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებები დაფიქსირდა. უფრო მეტად გავრცელებულია შემდეგი განმარტება „მინის კადასტრი არის მინის შეფასება როგორც ნაყოფიერების, ასევე მდებარეობის მიხედვით დიფერენცირებული დაბეგვისა და მისი ფასების დადგენისთვის.“² ეს ძირითადად დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მინის კადასტრი თავისი შინაარსითა და და-

1 მიჩნეულია, რომ ტერმინი „კადასტრი“ წარმოდგება ლათინურიდან და ნიშნავს დაბეგვის საგნების აღწერას. ამიტომ, პირველ ხანებში კადასტრი ნიშნავდა წიგნს (რეესტრს) დასაბეგრი საგნების შესახებ. რაც შეეხება მინის კადასტრს, „იგი ნიშნავს მინის სავარგულების, ნაკვეთების, მათი ფართობების, ადგილმდებარეობის, კონფიგურაციის, ხარისხის, ღირებულების შეფასების, მოცემული მინის მესაკუთრის შესახებ მონაცემებს“ (ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2005. ა. სილაგაძის რედაქციით. გვ. 290). გარდა მინის კადასტრისა, პრაქტიკაში ცნობილია წყლის, ნიაღისეულის, ცხოველთა სამყაროს, მცენარეთა სამყაროს, ტყის, ქალაქთმშენებლობის და სხვა სახის კადასტრი.

2 განვითარებულ ქვეყნებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთრების უფლებისა და მინის ფლობის საკითხებს. თუმცა ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მინის დაცვისა და რაციონალური გამოყენებისთვის უპირატესობის მიკუთვნების ტენდენცია.



ნოდარ ჭითაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



გიორგი მუსხარიძე,
ანალიტიკოსი



ნიშნულებით არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ დაბეგრის ობიექტის მნიშვნელობამდე. როგორც აღინიშნა, მინა მრავალმხრივი თვისებების გამო ექსკლუზიურ ფუნქციებს ასრულებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დოვლათის წარმოების უმთავრესი პირობის ფუნქცია. ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მინის კადასტრის დანიშნულებაა მინის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ამ მიზნით მისი ზუსტი აღრიცხვა, ოპტიმალური მინათომონყოფა, მინაზე სამეურნეო საქმიანობის ობიექტური შეფასება, კომპლექსური დაგეგმვა. ეს ნიშნავს იმას, რომ კადასტრი მრავალმიზნობრივია (ე.ი. მიზნად ისახავს მინის რესურსების კომპლექსური მართვის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს).

მინის კადასტრის ასეთი გაგებიდან გამომდინარე მისი მონაცემთა ბაზის ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორცაა: **მინის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა** (იგულისხმება ბიოკლიმატური პოტენციალი, ნიადაგის საფარი, რელიეფი, მცენარეული საფარი, მინის სახეები); **მინის სამეურნეო დანიშნულება** (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.); **მინის ეკოლოგიური მდგომარეობა**; **მინის ეკონომიკური შეფასება**. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მინის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს (როგორც აღინიშნა) მინის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა, მესაკუთრეთა და მინის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა. კადასტრის საკანონმდებლო საფუძველია მინის კოდექსი, რომლის შესაბამისად განისაზღვრება მისი სტრუქტურა.

სშირად კამათს იწვევს საკითხი იმის შესახებ, მოიცავს თუ არა მინის კადასტრი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ მიწებს, თუ მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია.

მინის, როგორც ბუნებრივი რესურსის საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო ეჭვს არ იწვევს ის, რომ სახელმწიფო მინის კადასტრი უნდა მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ხოლო მინაზე უფლებების განხორციელება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას. მინის კადასტრთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებს, როგორც წესი, სახელმწიფო ეწევა.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებში, მითუმეტეს გარდამავალ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მინის კადასტრის როლი. იგი არსებითად ემსახურება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: ახალი ტიპის საადგილმამულო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას, მინის რესურსების დაცვას, სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, რაციონალურ მინათომონყოფას, სამეურნეო საქმიანობის შეფასებას, მინის ბაზრის განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას, იპოთეკური სისტემის ჩამოყალიბებას და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება მინის კადასტრის მიმართ ახალ მოთხოვნებს აყალიბებს, კადასტრის ფორმირების (გამოყენების) ძირითად პრინციპებად აღიარებული უნდა იყოს: **კადასტრის სისტემის ერთიანობა**, **მონაცემების ობიექტურობა**, **ინფორმაციის სისრულე**. კადასტრი, როგორც აღინიშნა, მოიცავს სახელმწიფო მინის ფონდის ყველა მინას, კადასტრის ყველა შემადგენელი ეფუძნება შესაბამის სახელმწიფოებრივ აქტებს. ამასთან მნიშვნელოვანია მინის კადასტრის შედგენისას გამოყენებულ იქნას კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნიკა, აეროფოტო და აეროკოსმოსური გადაღებები და ა.შ. მინის კადასტრის გამოყენება ცენტრალიზებულად (რაც უზრუნველყოფს როგორც მეთოდოლოგიურ, ასევე ორგანიზაციულ-მმართველობითი ბაზის ერთიანობას).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო მინის კადასტრის შედგენის პროცესი რთუ-

ლია და მოითხოვს რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური მმართველობით ღონისძიებათა განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ქვეყნის თავისებურებებისა და კადასტრის შედგენის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით როგორ მოედეს (კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად) ვანიჭებთ უპირატესობას, როგორი მეთოდიკით ვფიქრობთ კადასტრის შედგენას. მხედველობაშია მისაღები, რომ კადასტრის შედგენისას შესასრულებელია შემდეგი სახის სამუშაოები: კვლევითი სამუშაოები, აზომვა მიწებისა, რომლებიც სხვადასხვა კულტურების ქვეშ გამოიყენება (მით უფრო საქართველოში) და საკუთრების სხვადასხვა ფორმას მიეკუთვნება, ნიადაგის და კლიმატის, მათ შორის ეკოლოგიური პირობების შეფასება, მიწის ხარისხობრივი შეფასება, მიწის ეკონომიკური დახასიათება, საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა და გაფორმება, კადასტრის დამტკიცება და განხორციელება. გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწის როლი და ფასი მუდმივად გაიზრდება. ამიტომ, სახელმწიფო უნდა ცდილობდეს მიწასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები სრულად იყოს გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის სწორად აღრიცხვას, რეგისტრაციას და მასზე უფლებების ობიექტურად ჩამოყალიბებას.

ნიშანდობლივია, რომ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობის შესახებ ხაზგასმით არის ნათქვამი ისეთ დოკუმენტებში, როგორცაა: რიო-დე-ჟანეიროს სამიტზე მიღებული „XXI საუკუნის დღის წესრიგი და „მოქმედების გლობალური გეგმა“, რომლებიც გაერომ მიიღო 1992 და 1996 წლებში. სწორედ ამ დოკუმენტებში დაფიქსირდა მიწის კადასტრის მნიშვნელობა მდგრადი განვითარებისთვის, რაც თანამედროვე პირობებში მიჩნეულია ეკონომიკური ზრდისა და მის საფუძველზე მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უმთავრეს პირობად.

იმისათვის, რომ მიწის კადასტრის შედგენა-განხორციელების რთულ საქმეში შეცდომები არ დავეუშვათ, მიზანშეწონილია გავეცნოთ საკადასტრო სისტემების ფორმირება-გამოყენების მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას, რომელიც საზოგადოების განვითარების ეტაპების მიხედვით ყალიბდებოდა და ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად ასახავს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს.

მიწის კადასტრის შედგენისა და გამოყენების მსოფლიო გამოცდილება

მიწის კადასტრი თავისი შინაარსითა და განხორციელების ორგანიზაციით განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ეს გამოწვეულია მათი განვითარების თავისებურებებით. საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპებზე მიწის მხოლოდ აღრიცხვა ხდებოდა,

შემდგომ პერიოდებში მიწის შეფასებაც. იმისათვის, რომ მიწის მფლობელებს და სახელმწიფოს განეხორციელებინათ დაბეგვრა, უნდა სცოდნოდათ არა მხოლოდ რამდენი მონაჰყავდათ, არამედ რა რაოდენობისა და ხარისხის მიწაც ჰქონდათ.

უძველესი პერიოდიდან ცნობილია მიწის კადასტრი, რომელიც შეიცავდა მონაცემებს მიწისა და ნიადაგის ხარისხის შესახებ. მაგალითად, ჩვენს ნელთალრიცხვამდე მესამე ათასწლეულში ჩინეთში ნიადაგი ხარისხის მიხედვით კლასებად იყოფოდა. ძველ ეგვიპტეში მიწები იყოფოდა ორ ჯგუფად იმისდა მიხედვით, მიწა ნორმალურ შემოსავალს იძლეოდა თუ არა. ამასთან, ხდებოდა მათი კატეგორიებად დაყოფა: ხარისხის, მორწყვის, კულტურების, ფლობის წესის მიხედვით. საინტერესოა ძველი რომისა და საბერძნეთის მონაცემები. ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში ერთმანეთისაგან ანსხვავდნენ მიწას და ნიადაგს. 594 წელს (ჩვენს ნელთალრიცხვამდე) საბერძნეთში ჰქონდათ ფუნქციონალური კადასტრი. ცნობილი ფილოსოფოსი ქსენოფონტე თავის ნაშრომში „ეკონომია“ მიუთითებდა რომელი კულტურები სად დაეთესათ. ტეოფრასტი (372-287) ნიადაგს განასხვავებდა წყალშემცველობის, ქიმიური შემადგენლობის, სითბოსადმი დამოკიდებულების, ფერის, სტრუქტურის მიხედვით.

ძველ რომში მიწის კადასტრი მოიცავდა ნაკვეთის პერიმეტრს და ითვალისწინებდა გადასახადს ნიადაგის ტიპის, ხარისხისა და პროდუქტიულობის მიხედვით. შუა საუკუნეებში ნიადაგის ხარისხის, მიწის აღრიცხვა-შეფასების შესახებ ინფორმაციას იძლევა ბიზანტიის სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედია („გეოპინიკი“) (X საუკუნე), ასევე ევროპის ქვეყნების მიწის კადასტრები. აღნიშნული ენციკლოპედიის მიხედვით ნიადაგი იყოფოდა კატეგორიებად და მოცემული იყო რეკომენდაციები ნიადაგის დამუშავების შესახებ.

ლიტერატურაში მეცნიერულ საფუძველზე შედგენილ პირველ კადასტრად მიჩნეულია 1718 წელს მიღებული მილანის კადასტრი, რომელშიც მიწის ნაკვეთების საზღვრები ზუსტად იყო გამიჯნული.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ მიწის კადასტრის გამოყენების მცდელობა რუსეთში დაფიქსირებულია IX საუკუნიდან. პირველად აღრიცხულა ეკლესიის მიწები, შემდეგ კი მიწები დაბეგვრისთვის. პირველ ხანებში დაბეგვრისას მხედველობაში იღებდნენ შრომას, რომელიც მიწის დამუშავებისთვის დაიხარჯა ან დათესილი ხორბლის ან გათიბული თივის რაოდენობას. რუსეთში დაბეგვრის ძირითად ერთეულად მიღებული იყო კავი („coxa“). XIX საუკუნეში რუსეთში დაბეგვრის საფუძველად გამოიყენებოდა 12 წლის მანძილზე მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის მიხედვით მიღებული საერთო შემოსავალი. იმის გამო, რომ რუსეთში (ბუნებრივია მის იმპერიაში მთლიანად) აგრარული ურთიერთობები შეფერხებებით ვითარდებოდა, მიწის კადასტრის სრულყოფა არ ხდებოდა. 1861 წლის რეფორმაც წარმატებული არ იყო. არც სტოლი-

პინის რეფორმა, ბოლომდე არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში საკადასტრო საქმიანობა უშუალოდ იყო დაკავშირებული აგრარულ გარდაქმნებთან, რომლის ძირითადი საფუძვლები ჩამოყალიბებული იყო მიწის შესახებ დეკრეტით. მიწა გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად და ბუნებრივია, მასზე კერძო საკუთრება გაუქმდა. მიწის შესახებ დეკრეტით მიწასთან დაკავშირებული საქმიანობის გადანიშნავია დავალებული ჰქონდათ ადგილობრივ საბჭოებს (მათთან შექმნილი იყო მიწის განყოფილებები). ყოველ ცალკე მიწის ფართობზე შედგენილი იყო მიწათსარგებლობის საქმე. მიწის რეგისტრაცია ევალებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ 1939 წლიდან საბჭოთა კავშირში დაწესდა მიწის ერთიანი სააღრიცხვო დოკუმენტი – კოლმეურნეობებისთვის მიწის ზონარგაყრილი წიგნი, ხოლო რაიონული საბჭოების აღმასკომებისთვის – რეგისტრაციის სახელმწიფო მიწის წიგნი. ყოველწლიურად დგებოდა მიწის ბალანსი, რომელიც სრულად ასახავდა ერთი წლის მანძილზე მიწათსარგებლობაში არსებულ ცვლილებებს. სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში დგებოდა ნიადაგობრივი რუკები. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებში, რომელიც დაამტკიცა საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1968 წლის დეკემბერში, ერთ-ერთი თავი მიუძღვნა „სახელმწიფო მიწის კადასტრს“. კადასტრი მოიცავდა მიწათსარგებლობას, აღრიცხვას, ნიადაგის ბონიტირებას და მიწის ეკონომიკურ შეფასებას.

აღნიშნული კანონის შესაბამისად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ძალაში შევიდა მიწის ახალი კოდექსი!¹

თითოეულ ქვეყანას აქვს უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) მართვის საკუთარი სისტემა. ამჟამად მსოფლიოში პირობითად გამოიყოფა ქვეყნების 4 ჯგუფი, რომლებიც გამოირჩევიან მიწის საკადასტრო სისტემებით. ესენია: **ნაპოლეონის ადმინისტრაციული სისტემის ქვეყნები** (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი), **გერმანული სისტემის ქვეყნები** (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია), **სკანდინავიის ქვეყნები** (შვეცია და სხვები), **ინგლისურენოვანი ქვეყნები** (ინგლისი, აშშ, კანადა). ცნობილია ასევე რიგი თავისებურებებით გამორჩეული სხვა საკადასტრო სისტემები (ყოფილი სოციალისტური და ისლამური ქვეყნები).

მოკლედ განვიხილოთ აღნიშნული ჯგუფების ქვეყნებში საკადასტრო სისტემების ფორმირებისა და გამოყენების კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები. I ჯგუფის ქვეყნებში საკადასტრო სისტემა შედის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებში. საკადასტრო ინფორმაცია საფუძვლად უდევს დაბეგვრას. მიწის რესურსებისა და სხვა მონაცემები თავს იყრის ინფორმაციულ სისტემაში, რომელიც ჩა-

მოყალიბებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ეროვნული რეესტრი, რომელსაც სახელმწიფო მართავს, ცენტრალიზებულია. კადასტრის მთავარ ფუნქციად განსაზღვრულია საკუთრების დაბეგვრა (ფისკალური კადასტრი). ანალოგიურ პრინციპებზეა დამყარებული საკადასტრო სისტემა ბელგიაში. აქ მიწის ეკონომიკურ შეფასებას ახდენს ნიადაგების გამოკვლევების ცენტრი. იტალიაში საკადასტრო საქმიანობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო. მთავარ დოკუმენტად მიჩნეულია რუკა. ასევე საკადასტრო რუკები დგება ესპანეთში. მიწის შეფასებისას იყენებენ მიწაზე მიღებულ საშუალო შემოსავალს. ფუნქციონირებს საკადასტრო ცენტრი.

II ჯგუფის ქვეყნებში საკადასტრო სისტემა განსხვავებულ პრინციპებზეა ჩამოყალიბებული. მაგალითად, გერმანიაში დეტალურადაა განსაზღვრული მიწათმფლობელობის საზღვრები. ქვეყანაში ერთიანი (ცენტრალიზებული) საკადასტრო სისტემა არ არსებობს. შესაბამისი სამუშაოები ტარდება ტერიტორიების (მიწების) მიხედვით. საკადასტრო სისტემაში გამოიყოფა მძირითადი ელემენტი: **მიწის წიგნის მართვა** (საკუთრების რეესტრი, რომელიც შედგება საკადასტრო რუკებისგან, საკუთრების შესახებ დოკუმენტებისაგან), **ტოპოგრაფიული გადაღებების მართვა და ნოტარიუსი**. ეს სამი დამოუკიდებელი ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და ერთობლივად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ საკადრო სისტემაში გარკვეულწილად უპირატესობას ანიჭებენ საკუთრების უფლებას. მიწების რეგისტრაცია მიეკუთვნება სახელმწიფოს პრეროგატივას. აღნიშნავენ გერმანული კადასტრის მრავალ ფუნქციონურობას (დაბეგვრა, რეგისტრაცია, მიწის შეფასება). ქვეყნის ტერიტორიაზე (მიწების მიხედვით) შექმნილია საკადასტრო სამმართველოები. მიწების შეფასება ხდება დეტალური გამოკვლევების შედეგად. შეფასების მონაცემებს იყენებენ დაბეგვრის, სესხების, სუბსიდიების, წარმოების დაგეგმვის, სამედიკალინო და სხვა სამუშაოების განსაზღვრისთვის. ავსტრიაში საკადასტრო სისტემის ძირითად დოკუმენტებად აღიარებულია **მთავარი წიგნი, დოკუმენტების წიგნი, საკადასტრო გეგმის ახალი მიწების ნაკვეთების რეესტრი, მონაცემები მესაკუთრეების შესახებ** და სხვ. ჰოლანდიაში გამოყენებულია **მთავარი წიგნი, ნაკვეთების რეგისტრაციის წიგნი, მონაცემები მესაკუთრეთა შესახებ**.

III ჯგუფის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია საკუთრების რეესტრის ცენტრალიზაცია. ამ ქვეყნებში დგება უძრავი ქონების ზუსტი მსხვილმასშტაბიანი რუკები, შექმნილია უძრავი ქონების ერთიანი ბანკი და სხვ. შექმნილია მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და ერთიანი პოლიტიკის განხორციელების სისტემა. მაგალითად, შვედეთში კადასტრი განიხილება, როგორც მიწის ყველა რესურსის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების სისტემა. მიწის კადასტრი შედგება მიწისა და უძრავი ქონების რეესტრებისგან.

1 დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მ. 1972, გვ. 1374.



მინის სამსახური ფუნქციონირებს გარემოს დაცვის სამინისტროში და აქვს სამდონიანი სტრუქტურა (ცენტრალური, რეგიონული და ტერიტორიული სამმართველოები).

IV ჯგუფის ქვეყნებში საკადასტრო სისტემა რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. მაგალითად, ინგლისში სისტემის ბაზაა ქვეყნის გეოდეზიური სამსახური და მინის სამეფო რეესტრი, რომელიც შედის იუსტიციის სამინისტროში, ნიშანდობლივია, რომ რეესტრის რეგიონული სტრუქტურები არ ექვემდებარებიან ადგილობრივ ადმინისტრაციებს. საგულისხმოა ისიც, რომ მინების შესწავლა ხდება ორ ეტაპად: **ფიზიკურ** და **ეკონომიკურ შეფასებად**. აშშ-ში მინის საკუთრების რეგისტრაცია დეცენტრალიზებულია და ძირითადად ხორციელდება შტატების მიერ. მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მინის კადასტრის ფუნქციები: დაბეგვრის ინფორმაციული ბაზის, მინისმფლობელთა უფლებების ინფორმაციული ბაზისა და მინის სარგებლობის მონიტორინგის ფუნქციები.

აშშ-ში მინის ეკონომიკური შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია არ არსებობს. უფრო გავრცელებულია მინის შეფასებისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული წმინდა შემოსავლის მაჩვენებლის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში აშშ მინის შეფასების 4 სისტემა გამოიყენება. მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. | **სისტემის მიხედვით მინები იყოფა ორ კატეგორიად: „საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მინები“ და „უნიკალური სასოფლო-სამეურნეო მინები“.** ამასთან, გამოყოფენ ორ დამატებით კატეგორიას, „შტატების მასშტაბით მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო მინები“ და „ადგილობრივი მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო მინები“.

II სისტემა მოიცავს მინების 3 კატეგორიას: **კლასები, ქვეკლასები, ერთეულები**. კლასებში (8 კლასი) ერთიანდება ერთნაირი სანარმოო შესაძლებლობების მინები (კლასები 1-4 სახნავი, 5-6 – საძოვარი, 8 – უვარგისი მინები).

ქვეკლასები გვიჩვენებენ შეზღუდული ფაქტორების ბუნებას (ეროზია, ჭარბტენიანობა, დატბორვა და ა.შ.). ერთეულებში ერთიანდებიან თანაბარფასოვანი ნიადაგების ჯგუფები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი პროდუქტიულობა. ეს მონაცემები გამოიყენება ფერმერებში შიდასამეურნეო მინათმონყობისა და მინის აღრიცხვისთვის. აშშ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუშაობს ნიადაგის დაცვის სამსახური. მას აქვს სტრუქტურები შტატებსა და რაიონებში. მინის, ვთქვათ სახნავი შეფასება ხდება 10 წლის მანძილზე მოსავლიანობის მიხედვით. უფრო პროდუქტიული მინების გამოვლინებისთვის მათი კლასიფიკაცია (სულ 7 კლასი), რომელშიც ბუნებრივ პირობებთან ერთად ითვალისწინებენ ეკონომიკურ მაჩვენებლებს (მეურნეობის ზომა, მინათსარგებლობის სტრუქტურა, ინტენსიფიკაციის დონე, ადგილმდებარეობა, შემოსავლები ფართობის ერთეულზე, შრომის დანახარჯები და სხვ.).

კანადაში მინის კადასტრს არეგულირებს მინების ინვენტარიზაციის სამსახური. იგი ქვეყნისთვის ერთიანი პროგრამის ფარგლებში იკვლევს მინას და შესაბამის ფედერალურ და პროვინციების ორგანოებს, უზრუნველყოფს ზუსტი და სრული მონაცემებით.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავცნოთ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებასაც. აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკურ გარდაქმნებთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა სოფლის მეურნეობაში კადასტრის როლის გაძლიერების ამოცანა.



პოლონეთში მინის რეგისტრაციას ენევიან იურიდიული სამსახურები. აღრიცხვის ერთეულად მიღებულია დასახლებული პუნქტი და მისი რაიონი. თითოეულ ერთეულზე დგება მსხვილმასშტაბიანი საკადასტრო რუკა, არსებობს მინის რეესტრი, მინის მესაკუთრეთა რეესტრი და სხვ. აღრიცხვას აწარმოებენ გეოდეზიის და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო და მათი ტერიტორიული ორგანოები. გამოიყენება ნიადაგის კლასიფიკაცია. ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყოფილია **13 სახის** სახნავი ნიადაგი და 3 სახის საძოვარი და სათიბი. სახნავი მიწები დაყოფილია 8 კლასად (საუკეთესო ნიადაგები, ძალიან კარგი, კარგი, საშუალოდ კარგი, საშუალო და ა.შ.). მინის ხარისხობრივი შეფასებისთვის გამოიყენება სინთეზური მაჩვენებელი. 4 ძირითადი მარცვლოვანი კულტურის მოსავლის მიხედვით განისაზღვრება ბუნებრივი ფაქტორების გავლენა (ნიადაგი, კლიმატი, ტენიანობა, რელიეფი). შეფასების მაჩვენებლის მიხედვით დგინდება შემოსავლის სიდიდე და მიწაზე გადასახადი. უცხოელებს შეუძლიათ იყიდონ 1 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწა. ჩეხეთში **90-იანი წლებიდან** ჩამოყალიბდა მინის საკადასტრო სისტემა. შექმნილია გადაღების, კარტოგრაფიისა და კადასტრის ჩეხეთის ბიურო, რომელიც კოორდინაციას უწევს ტერიტორიულ საკადასტრო ინსპექციების, საკადასტრო ბიუროების მუშაობას. ფუნქციონირებს საკადასტრო გადაღების ინსტიტუტი და გეოდეზიის, ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

უნგრეთში მინის სამსახური მოიცავს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ მინისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, მთავარი სამმართველოს სისტემაშია გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტი. მინის სამსახური აწარმოებს უძრავი ქონების

აღრიცხვასა და მინის შეფასებას, მინის გამოყენებისა და დაცვის მართვას, წყვეტს გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ ამოცანებს. აღსანიშნავია, რომ უნგრეთში უძრავი ქონების აღრიცხვის ძირითად დოკუმენტებად აღიარებულია საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფურცელი; მინის წიგნი, საკადასტრო რუკა (გეგმა), ჟურნალ-არქივი.

ბულგარეთში „კადასტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე მინის კადასტრი მოიცავს სამ შემადგენელს: ცენტრალურს, ტერიტორიულს და უწყებრივს. ცენტრალურ კადასტრს განაგებს არქიტექტურისა და კეთილმოწყობის კომიტეტი. ტერიტორიულს განაგებენ სამხარეო რაიონული საბჭოები, ხოლო უწყებრივი კადასტრი არის შესაბამისი უწყებების გამგებლობაში (აგროსამრეწველო კავშირი, ტყის სამინისტრო, გარემოს შესწავლის კომიტეტი). ყველა მათგანი საკადასტრო ღონისძიებებს ახორციელებენ არქიტექტურისა და კეთილმოწყობის კომიტეტის მეთოდური ხელმძღვანელობით!

როგორც ცნობილია, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში წინააღმდეგობრივად წარიმართა ეკონომიკური გარდაქმნები, შესაბამისად შეიცვალა მინის რესურსების მართვის სისტემაც. ბალტიისპირეთის ქვეყნებში დასრულდა მინის რესურსების მართვის საბჭოთა კანონების შეცვლის პროცესი. **ესტონეთსა და ლატვიაში** უძრავი ქონების რეგისტრაცია ხდება ეროვნული მინათმონყობის სამსახურების მიერ. **ლიტვაში** შექმნილია სახელმწიფო რეგისტრების გაერთიანებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა უძრავი საკუთრების აღწერას.

რუსეთში მინის პრობლემებზე მუშაობს მინის რესურსებისა და მინათმონყობის კომიტეტი, რომელსაც ექვემდებარებიან ფედერაციის სუბიექტებისა და რაიონული (საქალაქო) ორგანოების მინის რესურსების

აბრარული სექტორი

შესაბამისი კომიტეტები. შექმნილია ფედერალური საკადასტრო ცენტრი „მინა“ და რეგიონული სერვის-ცენტრები. ერთიან ორგანიზაციულ სისტემაში ფუნქციონირებენ საკადასტრო გადაღების სამსახური, მონიტორინგის ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასევე შესაბამისი ხელსაწყოების წარმოების ცენტრი.

მინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას აწარმოებს იუსტიციის სამინისტრო. რაიონებსა და ქალაქებში გამოყენებულია სახელმწიფო მიწის წიგნი.

ყაზახეთში 1995 წელს მიღებულ იქნა პრეზიდენტის ბრძანებულება „მიწის შესახებ“, რომლის მიხედვით მიწას მიენიჭა უძრავი ქონების და სამართლებრივი რეგულირების საგნის სტატუსი. 2001 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი „მიწის შესახებ“. მიწის რეგისტრაციას აწარმოებენ იურიდიული ორგანოები. **აზერბაიჯანში** მიწასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტს მიწის სახელმწიფო კომიტეტი.

სომხეთში 1997 წელს შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო საკადასტრო სისტემა. ფუნქციონირებს ინფორმაციული ცენტრი, რომელიც ემსახურება მიწათმოსარგებლებს. მთავრობასთან შექმნილია უძრავი ქონების საკადასტრო განყოფილება, რომელსაც 50 სტრუქტურული განყოფილება აქვს ადგილებზე. საკადასტრო კარტოგრაფირება წარმოებს მასშტაბით 1:500 დასახლებული რაიონებისა და 1:2000 იმ რაიონებისთვის, სადაც დასახლებები არ არის.

2011 წელს **უკრაინაში** მიღებულ იქნა „მიწის კადასტრი“, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად: „სახელმწიფო მიწის კადასტრი – ეს არის მიწის (რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზეა განლაგებული), მისი მიზნობრივი დანიშნულების, გამოყენებაში მისი შეზღუდვების, ასევე მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათების და მათი შეფასების, მესაკუთრეებსა და მოსარგებლებებს შორის განაწილების შესახებ ინფორმაციების ერთიანი სახელმწიფო გეოინფორმაციული სისტემა.¹ სახელმწიფო კადასტრში შეტანილია მიწის შესახებ შემდეგი ცნობები: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დასახელება, მისი საზღვრების აღწერა, მიწის ფართობი, ინფორმაცია იმ აქტებზე, რომელთა საფუძველზე დადგენილია, ან შეცვლილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრები. აგრეთვე კადასტრში შეტანილია ტერიტორიული ერთეულის საზღვრებში მიწის კატეგორიის შესახებ ცნობები, საზღვრების აღწერა, ფართობი, ინფორმაცია იმ დოკუმენტებზე, რომელთა მიხედვით დადგენილია კატეგორია, ცნობები ადმინისტრაციული ერთეულის სავარგულების, ფართობის შესახებ. ინფორმაცია დოკუმენტებზე, რომლის მიხედვით განისაზღვრა სავარგულები, ასევე ინფორმაცია სავარგულების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. გარდა ამისა, კადასტრში შედის ცნობები ტერიტორიის საზღვრებში მიწის ეკონომიკური და ნორმატიული ღირებულებითი შეფა-

სების, ნიადაგის ბონიტირების შესახებ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, საქართველოში თვისებრივად შეიცვალა მიწათსარგებლობის წესები. 1992 წლიდან ფუნქციონირებდა მიწის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებდა მიწის საკითხებზე სახელმწიფო მმართველობას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და სახელმწიფოებრივ ზემოქმედებას. 2004 წელს იგი გაუქმდა. მისი ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებზე გადანაწილდა. შედეგი ისაა, რომ 2005 წლიდან საქართველოში მიწის ბალანსი არ დგება. დღეს ქვეყანაში არ არის სრული ინფორმაცია მიწის ფონდის შესახებ, როგორ არის განაწილებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები საკუთრების ფორმების მიხედვით, რამდენი ჰა მიწის ფართობს ფლობენ უცხოელი მოქალაქეები და სხვ. მიწების აღრიცხვის ორგანიზაცია ფაქტობრივად მოშლილია. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მიწის ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაზე მუშაობა არც მიმდინარეობს.

მიწის რესურსები ეროვნული სიმდიდრეა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული ჰექტრის რაციონალურ გამოყენებას. უნდა ვიცოდეთ მიწის პოტენციური შესაძლებლობა. ამისთვის კი აუცილებელია მიწის კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ მახასიათებლებთან ერთად უნდა მოიცავდეს ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც, მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის ეკონომიკურ შეფასებასაც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიწის ბაზრის ფორმირებაში, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებაზე ბევრადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის განვითარება.

მიწის ეკონომიკური შეფასების მიზანი არის მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება. ამჟამად, როცა საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრება წარმოების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, მიწის ფასის სწორად განსაზღვრა წარმოადგენს ეფექტიანი დაბეგვრის, საიჯარო ურთიერთობების განვითარების, ასევე მიწათსარგებლობაში ობიექტური გადანაწილებების მიღების საფუძველს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში.

ამრიგად, მიწის ეკონომიკური შეფასება (ფასის განსაზღვრა) მიწის კადასტრის მნიშვნელოვანი ელემენტია და მიწის ბაზრის ფუნქციონირების უმთავრესი პირობა.

მიწის კადასტრის შედგენისას გასათვალისწინებელია როგორც ძველი, ასევე, ახლად ჩამოყალიბებული ხელისშემშლელი მიზეზების არსებობა. განსაკუთრებით ეს ეხება პრივატიზაციისას დაშვებულ შეცდომებს, კერძოდ, მიწის ნაკვეთების დაქუცმაცებას. 2004 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის აღწერის მასალების მიხედვით, მიწის მესაკუთრეთა 74,5% ფლობდა მხოლოდ



№6 ოქტომბერი 2013

1 ჰექტრამდე მიწის ფართობს. 23,5% მფლობელობაში იყო 1-5 ჰექტრამდე მიწის ფართობი. ამასთან, მესაკუთრეთა 48%-ის ფართობი 2-3 ნაკვეთისგან შედგებოდა. როგორც ჩანს მიწის კონსოლიდაციის პრობლემა აქტუალურია. მის გადასაწყვეტად უნდა განისაზღვროს ღონისძიებათა სისტემა. **ამჟამად, დიდ იმედებს ამყარებენ კოოპერაციის განვითარებაზე. შესაბამისი კანონიც მიღებულია. გასათვალისწინებელია ის, რომ კოოპერაციის განვითარების პირობების მომზადება დიდ დროსა და შესაბამის მატერიალურ საფუძველს მოითხოვს. ანგარიშგასანვია ფსიქოლოგიური ფაქტორიც. კოოპერაცია აპრობირებული ფორმაა, მაგრამ მასთან ერთად უნდა ვეძებოთ ალტერნატიული გზებიც. ჩვენი აზრით, შეიძლება უფრო ეფექტური იყოს მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში გამოყენებული ფორმა – სახელმწიფოს მიერ მიწების შესყიდვა და შემდეგ საიჯარო ურთიერთობების საფუძველზე მათი გაცემა. ქვეყანაში გადასაწყვეტია უცხოელებზე მიწის მიყიდვის საკითხი. ჩვენი აზრით უფრო სწორი იქნება (უკანასკნელ წლებში საქართველოში მიწების უცხოელებზე მიყიდვის ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით) უცხოელ მოქალაქეებს გადაეცეთ ყველა კატეგორიის მიწა მხოლოდ იჯარით. შეიძლება განვიხილოთ ასეთი ვარიანტიც. სახელმწიფო ნებაყოფლობით საფუძველზე შეიძენს მიწას, შემდეგ კი საკუთარ მოქალაქეებზე გაყიდის, ან იჯარით, ხოლო უცხოელებზე მხოლოდ იჯარით გაცემს მიწას. მიწათსარგებლობაში საიჯარო ურთიერთობები ეფექტური ფორმაა. მაგალითად, საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების 65%, ბელგიაში 63%, ისრაელში 90% და ა.შ. გამოიყენება საიჯარო ურთიერთობების საფუძველზე. მიწის კონსოლიდაციის პროცესი სახელმწიფოებრივ რეგულირებას საჭიროებს.**

შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურა, ვთქვათ მიწის ფონდი, რომელსაც ექნება სათანადო ფინანსურ-საკრედიტო რესურსები, აწარმოოს მიწების შესყიდვა და შემდგომში ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესაბამისად მისი გასხვისება და იჯარით გაცემა.

თანამედროვე პირობებში მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ამოცანა სასურსათო უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობითაა განპირობებული.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები ადასტურებენ, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას სპეციალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ასეთ სტრუქტურად შეიძლება მივიჩნიოთ მიწის მართვის სამსახური (სააგენტო დეპარტამენტი, კომისია და სხვ.), რომელიც უშუალოდ, დაექვემდებარება პარლამენტს, ან მიწის მართვა კაბინეტს. მას რეგიონებში უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამსახურები, ე.ი. ქვეყანაში უნდა შეიქმნას მიწის რესურსების გამოყენების ერთიანი ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა, რომელიც მისთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობების შესაბამისად ადექვატურად უპასუხებს ქვეყანაში მიწის რეფორმების განხორციელებით ჩამოყალიბებულ ახალ გამოწვევებს.

ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის დაჩქარება მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. ამიტომ საჭიროებს პროგრამულ მართვას. მიზანშეწონილად ვთვლით შედგეს 2020 წლამდე პერიოდისთვის ეროვნული ეკონომიკის (მათ შორის აგრარული სექტორის) განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომლის განხორციელებით მიიღწევა ეკონომიკის სტაბილურობა და მომზადდება მდგრად განვითარებაზე გადასვლის მყარი საფუძველი.

კოოპერაციის პროცესი სახელმწიფო უნდა წარმართოს და არა ენჯეობა!

აგრარულის სფეროს სახელმწიფო დახმარების დარეგულირების ქმედითუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის დადგენა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების მაღალ ხარისხს.



ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს სუბსიდიებისა თუ კრედიტების პოტენციურ მიძღვრებას წრეს. უზრუნველყოფს ერთის მხრივ — ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ წარმართვას და მეორეს მხრივ — აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა საქართველოს მთავრობამ დაიწყო ქართული სოფლის დახმარების უპრეცედენტოდ მასშტაბური ღონისძიებების განხორციელება. თუმცა ყოველთვის არსებობს ალბათობა იმისა, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში განეული ფინანსური და ორგანიზაციული დახმარების შედეგები შესაძლოა იყოს დაბალი უკუგების, ან სულაც უკუშედეგის მომტანი (როგორც ხდებოდა განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში).

სწორი კონცეპტუალური პოზიციის ჩამოყალიბება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს, რომ ცალსახად და კატეგორიულად იქნეს განსაზღვრული — რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს გასატარებელ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან და შესაბამისად, რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აგრარული სექტორის

ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველა ზემნიშვნელოვან პრობლემას, რომელსაც რატომღაც ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა როგორც სამთავრობო, ისე სამეცნიერო წრეების მხრიდან. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ გადამმუშავებული სანარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის — შპს-ს სახით, სარგებლობდნენ რა მონოპოლური მდგომარეობით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ ფერმერებისგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით (რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი). ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ, ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. გლეხები იმის გამო, რომ მათი პროდუქციის ჩაბარება მხოლოდ შესაბამის გადამმუშავებელ სანარმოში იყო შესაძლებელი, იძულებული იყვნენ დათანხმებოდნენ პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ავტომატურად იწვევდა მათი მოტივაციის დაკარგვასა და გაუცხოებას მარჩენალი მიწის მიმართ. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის

არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვნადაა გახდა საფუძველი ერთის მხრივ — სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორეს მხრივ — აგრარული წარმოების პარალიზებისა. კერძოდ, განახევრდა ვენახისა და ხეხილის ფართობები, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყედ არის ქცეული, უმძიმეს დღეშია საკონსერვო მრეწველობა, კატასტროფულად შემცირდა ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და სხვ.

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციული ფორმების სავსებით გასაგები იმანენტური ინტერესები იყო. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სანარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის განვითარება და გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა იქნება მხოლოდ უკუშედეგის მომტანი. კერძოდ, სოფლის მოსახლეობას (განსაკუთრებით მიწის წვრილ მესაკუთრეებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) საბოლოოდ დაუკარგავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოტივაციას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

აგროპროდუქციის მწარმოებელთა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკური დამოკიდებულების ძველებური ფორმის შენარჩუნება შესაძლოა ახლო მომავალში აგროწარმოების განვითარების სერიოზული მუხრუჭი გახდეს. შემთხვევითი არაა, რომ ლიბერალური ეკონომიკის მქონე დასავლეთის ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან, მხოლოდ კოოპერირების საშუალებითაა შესაძლებელი ორი საწყისის გაერთიანება: **საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და მასშტაბური წარმოების, რომელიც განაპირობებს ერთის მხრივ — ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ — ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლით, რომ სახელმწიფო დახმარების ბენეფიციარად სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან, სწორედ მათ შეუძლიათ განახორციელონ აგრარული სექტორის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ — **აღძრან სამწარმოო აქტივობა მოსახლეობაში და სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ სფეროებში, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება ბუნებრივად არ არის მოსალოდნელი.** კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადექვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ არსებულ სიტუაციაში მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობით, არის შესაძლებელი ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და

ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების უაღრესად რთული პროცესის განხორციელება.

ჩვენი აზრით, საბოლოო ანგარიშით, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალანსირებული განვითარების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს მათი ინტეგრაცია წარმოადგენს. ინტეგრირების ოპტიმალური ფორმებისა და მათზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელების ძიება მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის აუცილებლობამდე მიგვიყვანს. მათი საშუალებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მიეცემა პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და ისინი დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოზიცია არაერთხელ იყო გაჟღერებული როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრის საჯარო გამოსვლებში, როგორც აგრარულ სექტორში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კანონმდებლობის შემუშავების კუთხით. მიუხედავად ამისა, უკვე შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ ეს ღონისძიებები აშკარად არ არის საკმარისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და შესაბამისად, აგრარული სექტორის ინტენსიური განვითარებისათვის შემდეგი არგუმენტების გამო:

• **უკვე მიმდინარე შეღავათიანი აგროკრედიტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ითვალისწინებს 100 ათასიდან 1 მლნ ლარამდე 3%-იანი კრედიტების გაცემას, რომელიც უშუალოდ გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებას ეხება, გადახდისუნარიანი მოთხოვნის აქტივობა უაღრესად დაბალია. (ა.წ. 15 აპრილის მონაცემებით ამკატეგორიის კრედიტით დაფინანსებულია მხოლოდ სამი პროექტი);**

• **ასეთი სესხების გაცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მათი მათორგანიზებელი სტრუქტურის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის არარსებობის გამო, რომელზეც მუშაობა გასული წლის დეკემბერში დაიწყო და მუხედავად მისი აქტუალობისა, დღესაც არ არის წარდგენილი განსახილველად საქართველოს პარლამენტში.**

• **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის კუთხით ძირითადი აქცენტი კეთდება ევრო კავშირის მიერ ინიცირებულ პროგრამაზე, რომლის განხორციელება იწყება მხოლოდ ა.წ. ოქტომბრიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე სამეურნეო წელი პრაქტიკულად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გარეშე ჩაივლის. დროის დაკარგვა კი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარების კუთხით, მნიშვნელოვნად დასცემს აგრარულ სექტორში გატარებული სხვა მასშტაბური ღონისძიებების ეფექტსაც;**

• **ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ აგროკრედიტი მიუწვდომელი იქნება მაღალმთიანი რაიონებისა და ომით დაზარალებული სოფლების მოსახლეობისთვის, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება ქმედითუნარიანი ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერა;**

• **შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმების განვითარებას რა თქმა უნდა თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და საშუალებები მთავრობის მხრიდან მათი იგნორირება, სერიოზულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს!**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ვერტიკალური ინტეგრაციის მექანიზმების ეფექტური ამოქმედებით გვეძლევა საშუალება ტიპიური საბანკო კომერციული კრედიტის სოფლის მეურნეობისთვის არაეფექ-

აბრარული სექტორი

ტური და მოუქნელი ფორმა ჩავანაცვლოთ კოოპერატივებზე. „სარისკო კაპიტალის“ შეთავაზების გზით. „სარისკო კაპიტალის“ ფორმა, რომელიც დღემდე პრაქტიკულად არ არსებობდა საქართველოში, გავრცელებულია წარმატებული ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში და უმეტესად დაკავშირებულია კოოპერაციულ სისტემასთან (ასეთი სესხის ასაღებად საჭიროა უფრო ნაკლები უზრუნველყოფა (გირაო) და/ან სესხი იყოს უფრო გრძელვადიანი კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებულ სესხებთან შედარებით, გადახდები კი უშუალოდ შეიძლება იყოს დაკავშირებული დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობასთან). ვინაიდან დამფინანსებლის წარმატება მეტწილად ინვესტიციის მიმღების წარმატებაზეა დამოკიდებული, ამბიციური და მჭიდრო თანამშრომლობა ზეორიენტირებული მენეჯმენტის მოძიება აქაც საინვესტიციო პროექტის წარმატებით განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს.

არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით პარტნიორობის მნიშვნელოვანი ელემენტები იქნება:

- შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტის (კოოპერაციული ბანკი, სპეციალიზირებული ფონდი) მხრიდან ინვესტიციის მიმღების ოპერატიული და სტრატეგიული ხელშეწყობა;

- განვითარებული ეკონომიკის დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით სამ საფეხურიანი კოოპერაციული სისტემის შექმნა, რაც თავის მხრივ, აშკარას ხდის სპეციალური სტრუქტურის შექმნის აუცილებლობას, რომელიც პარტნიორობის საფუძველზე, წინასწარ შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით ორგანიზებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის ასეთი მოდელი წარმოადგენს სამეურნეო რისკების მინიმუმამდე დაყვანის ყველაზე ეფექტურ საშუალებას შემდეგი მოტივების გამო:

1. კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის ობიექტს მნიშვნელოვანწილად თვით ამ კრედიტით



შექმნილი ძირითადი საშუალებები შეადგენს;

2. სამეურნეო რისკების შემცირებისა და მინიმუმამდე დაყვანის საფუძველს ორი ძირითადი მექანიზმი წარმოადგენს:

- თვით კოოპერაციული სისტემის მართვისა და თვითკონტროლის ფორმა პრინციპით — „ქვევიდან ზევით“;

- მონიტორინგი და აუდიტი ერთი მხრივ — დაფინანსების გამცემის და/ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანიზაციების მხრიდან.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ფინანსური ხელშეწყობის კუთხით ამ ეტაპზე შესაძლებელია რამდენიმე სტრატეგიის, ან მათი კომბინირებული მოდელის არსებობა:

- ქვეყნის შიდა საფინანსო რესურსების გამოყენების შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი საინვესტიციო ფონდებიდან ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპზე დაგეგმილი პროექტების კომპლექსური დაფინანსება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე „სარისკო კაპიტალის“ შეთავაზების გზით, სადაც გადამმუშავებელი საწარმოების ძირითადი საშუალებების გადაცემა მოხდება საფინანსო ლიზინგის ფორმის გამოყენებით. ასეთი პროექტების განხორციელება მოითხოვს რიგი სპეციფიკური საკითხების რეგულირებას (სალიზინგო გადახდების ასახვა საპაიო შენატანებსა და საპაიო ფონდის ფორმირებაზე, სალიზინგო გადახდების კუმულაციური ფორმა და სხვა).

- იმ შემთხვევაში, თუ დაფინან-

სება განხორციელდება მოზიდული სახსრებით, დაფინანსების მიმღებთან საპარტნიორო ურთიერთობებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის თვითკონტროლით საწარმოო რისკების მინიმუმირების მოტივებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ შესაბამისი სტრუქტურების საშუალებით ორგანიზება უნდა გაუკეთოს კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფას. საფინანსო რესურსების მოზიდვა შესაძლებელია როგორც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, ასევე, კერძო ფონდებიდან და სტრუქტურებიდან. მათ შორის მნიშვნელოვანია საექსპორტო-საკრედიტო სააგენტოები, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ორგანიზაციების სახით არიან წარმოდგენილი. თუმცა, ამ პროფილის კერძო კომპანიებიც, როგორცაა: **ულერ-ჰერმესი** (გერმანია), **ატრადიუსი** (პოლანდია) და სხვები მოქმედებენ საკუთარ მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. მთავრობის დახმარებით, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ისინი მიზნობრივი საფინანსო რესურსის მიმღები სახელმწიფოს გარანტიით ახდენენ კრედიტების დაზღვევას ან პირდაპირ დაფინანსებას შეღავათიან პირობებში. ამ ტიპის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია: **კანადის საექსპორტო სააგენტო, ნექსი (იაპონია), ECGD (დიდი ბრიტანეთი)** და სხვა. ასეთი ფორმის დაკრედიტების კარგ მაგალითს წარმოადგენს უკრაინის სალიზინგო კომპანიის „უკრაგროლიზინგის“ ურთიერთობა კანადის საექსპორტო

სააგენტოსთან, რომლის ფარგლებში “უკრაგროლიზინგმა” სახელმწიფო გარანტიით მარტო 2009 წელს კანადის საექსპორტო სააგენტოდან მოიზიდა 600 მლნ აშშ დოლარი.

სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ახალი ელემენტების დანერგვა იძლევა საშუალებას ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნისა, რაც თავის მხრივ ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისთვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე. არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეგულირებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ მეთოდოლოგიურ სირთულეებს, რაც უაღრესად ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობაზე დაზოგადად, დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

სერიოზულ შემფოთებას იწვევს ის სქემა, რომლითაც იგეგმება კოოპერაციის ხელშემწყობი მასშტაბური ღონისძიებების განხორციელება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას კოოპერაციის პროცესის შედეგებზე და ევროკავშირის დახმარებით გათვალისწინებული სახსრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმართვა დაგეგმილია საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით. დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთ შემთხვევაში კოოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ განახორციელებს წარმატებით სამეურნეო პროექტებს, რადგან:

1. არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ კოოპერაციული სამეწარმეო პროექტების მართვის დადებითი გამოცდილება;
2. წარუმატებელი პროექტების შემთხვევაში ისინი პასუხს არ აგებენ მოსახლეობისა და სახელმწიფოს წინაშე. ამიტომ მათი აღიარებული

იმიჯიდან გამომდინარე, რაც გრანტების მიმართ კორუფციული დამოკიდებულებითაა განპირობებული და ცნობილი, აქაც არ არის გამორიცხული კორუფციული სქემების შექმნის მცდელობები, რაც ნეგატიურად აისახება საინვესტიციო პროექტების წარმატებაზე და მნიშვნელოვნად დააზარალებს როგორც მოსახლეობას, ასევე მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესს. თუმცა, ცალკეული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს არასამთავრობო სექტორის საშუალებებითაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია:

1. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო, რომელიც უმოკლეს დროში შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო, სოფლის განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადანყვეტილებებს. საქართველოს პარლამენტს მისაღებად წარუდგენს კანონპროექტებს (ასევე, ცვლილებებს დღემდე მოქმედ კანონებში) და სხვას, რომლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა ქვეყანაში აგროწარმოების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისთვის;
2. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას „კოოპე-

რაციის განვითარების ეროვნული ცენტრი“;

3. მაღალმთიან რაიონებსა და ომით დაზარალებულ სოფლებში სახელმწიფოს ხელშეწყობით პარტნიორულ ურთიერთობის ფორმით განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ვერტიკალური ინტეგრაციის რამდენიმე საპილოტე პროექტი;

4. შეიქმნას სპეციალიზებული კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების პრინციპზე.

5. სახელმწიფომ ცალსახად უნდა განსაზღვროს ყველაზე მთავარი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმართვა წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც პირველად ჩვენს უახლეს ისტორიაში გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად უნდა იკისროს ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მათგან იზიარებული და ხელშემწყობი ფუნქცია.

პაატა კოლუაშვილი,
ეკონ. მეცნ. დოქტ.
სტუ სრული პროფესორი.

დავით მაგუკელაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი.

THE EFFECTIVE MECHANISM OF COOPERATION AND VERTICAL INTEGRATION

PaataKoghuashvili, GTU full Professor, Davit Mamukelashvili

The work concerns the development of voluntary cooperative relations and inter-branch integration and also the technological settlement in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. Based on social solidarity the cooperative community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country’s population and dynamic improvement of its socio-economic situation.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების დაუყოვნებლივ მიღება აუცილებელია

სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა, მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების სამენარმეო აქტივობის ამაღლება. უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი. იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია.



კაკაბა კოლუაშვილი,
ეკონ. მეცნ. დოქტ.
სტუ სრული პროფესორი.

ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამენარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ სანყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც).

ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მათხმანიზებული როლითა და ხელშეწყობით წარმართა. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლი, რომ სახელმწიფო დახმარების ბენეფიციარად სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ მათ

შეუძლიათ განახორციელონ აგრარული სექტორის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – აღძრან სამენარმეო აქტივობა მოსახლეობაში და სოფლის მეურნეობის იმ სფეროებში, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება ბუნებრივად არ არის მოსალოდნელი.

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადექვატური. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც ძლიერი და სანდო პარტნიორი სოფლად რთული ეკონომიკურ-ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ არსებულ სიტუაციაში მხოლოდ კოოპერაციული, ანუ სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის სისტემის ხელშეწყობითაა შესაძლებელი ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების უაღრესად რთული პროცესის განხორციელება.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ბოლო ორი ათეული წლის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს სოფლის მოსახლეობასა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებს შორის არსებულ კონფლიქტს. არასწორმა

აგრეკონომიკურმა პოლიტიკამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებიც ძირითადად შპს-ების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არიან წარმოდგენილები, სახელმწიფო რეგულირებისა და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების მიმართ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე დაეკისრათ წამყვანის როლი აგროსასურსათო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საწარმოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და შემოსავლები, გადამამუშავებელ საწარმოთა მესაკუთრენი, როგორც კერძო იურიდიული პირები, ამ საწარმოთა მუშაობის გაჩერებისა და შესაბამისად სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის პარალიზების შემთხვევაში, პასუხს, აგებენ არა ამ დარგებში დასაქმებული ათი ათასობით ადამიანის წინაშე, არამედ მხოლოდ თავიანთი ბიზნესის წინაშე. სწორედ ესაა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელ საწარმოთა სფეროების გათიშულობისა და ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მიზეზი. გადამამუშავებელი საწარმოები მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ გლეხობისგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით (რაც ხშირ შემთხვევაში ვერ

№6 ოქტომბერი 2013



ანაზღაურებს პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი). ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. გლეხები (განსაკუთრებით მინის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ), იმის გამო, რომ მათი პროდუქციის ჩაბარება მხოლოდ შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოში არის შესაძლებელი, იძულებულნი არიან დათანხმდნენ პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ავტომატურად იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრების სურვილისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის დაკარგვას. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მონაცემებით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორეს მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზებისა. კერძოდ, განახევრდა ვენახისა და ხეხილის ფართობები, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყე აღარ არის ქცეული, უმძიმეს დღეშია საკონსერვო მრეწველობა, კატასტროფულად შემცირდა ცხვრის, ღორის, ფრინველისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და სხვ.

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციული

ფორმების საცესებით გასაგები იმანენტური ინტერესებია. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ **სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალანსირებული განვითარების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს მათი ინტეგრაცია წარმოადგენს**, რომლის ოპტიმალური ფორმებისა და მათზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელების ძიება **მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის აუცილებლობამდე მიგვიყვანს**. ასეთი სტრუქტურის ფორმირებით და სახელმწიფოს ხელშეწყობით **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მიეცემათ პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა**, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და სადაც გლეხები დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლებით.

დროში შეზღუდულობამ არ უნდა დაგვაშვებინოს სერიოზული შეცდომა, რომლის კონტურები უკვე ჩანს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული 100 გადამამუშავებული საწარმოს გადაცემაში შპს-ებსა თუ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე (კოოპერატივებზე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მათი გადაცემა, კოოპერატივებისა და მათი მარგანიზებული სტრუქტურების არარსებობის გამო). გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ

საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა იქნება მხოლოდ უკუშედეგის მომტანი. ჩვენი აზრით, აგროპროდუქციის მწარმოებელთა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკური დამოკიდებულების ძველებური ფორმის შენარჩუნება ახლო მომავალში აგროწარმოების განვითარების სერიოზული მუხრუჭი გახდება.

ზოგადად უდავოა, რომ შპს-ებისა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნია საბაზრო პირობებში, მაგრამ თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და შესაბამისი პროგრამები, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეურნეო სუბიექტების განვითარებაზე და მით უმეტეს, თუ ეს ხდება ჩვენი ქვეყნის ტრადიციული აგრარული დარგების რეაბილიტაციის საფუძველზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება, ან მათი განხილვა ტიპიური კერძო ბიზნეს-პროექტების პარიტეტულად, უნდა ჩაითვალოს როგორც სერიოზული მეთოდოლოგიური შეცდომა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, შესაძლებლად მიგვაჩნია შპს-ების ჩამოყალიბება 100%-იანი სახელმწიფო წილით, რომლებიც საკუთარ ბალანსზე აიყვანენ ზემოაღნიშნული სახელმწიფო საწარმოებს, და რომელთა გამოსყიდვის უფლება მიეცემათ ამ საწარმოებთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, გამოსყიდვის წინასწარ ჩამოყალიბებული კუმულაციური ფორმით. ამ ფორმით პრაქტიკულად განხორციელდება ამ საწარმოთა გამოსყიდვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სანესდებო კაპიტალში კოოპერატივის წევრთა ხვედრითი წილის პერმანენტული ზრდის საფუძველზე. მათი ხვედრითი წილების ფორმირება კი მოხდება გადამამუშავებული, ანუ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული კოოპერაციული გადახდების წილით და დამატებითი პაის ოდენობით, წინასწარ შეთანხმებული სქემით.

ვერტიკალური ინტეგრაციის

აპარული სექტორი

ასეთი მოდელი ერთის მხრივ წარმოადგენს სამენარმო რისკების შემცირების ეფექტურ მექანიზმს, ხოლო, მეორეს მხრივ, უაღრესად გამარტივებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების საკითხს, რადგან, კოოპერატივების წევრები “პოსტ-ფაქტუმ”, შემოსავლების ინტენსიური ზრდის პირობებში გააცნობიერებენ და გაითავისებენ კოოპერაციული სანარმოო ურთიერთობების უპირატესობებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმოდგენილი მოდელი დიდად ამარტივებს სამეურნეო რგოლებს შორის რთულ სანარმოო ურთიერთობებს. **აქ სანარმოო ურთიერთობათა ყველა სირთულე ტრანსფორმირდება ორგანიზაციული ხასიათის პრობლემაში, რაც უკავშირდება სახელმწიფოს მარეგულირებელ და ხელშეწყობ ფუნქციას. ამ საკითხის გადაწყვეტა, ამკარად გვიანდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინერტულობის გამო.** სპეციალიზებული სტრუქტურის შექმნა ორგანიზაციას გაუკეთებს და დააჩქარებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას პარტნიორობის საფუძველზე (წინასწარ შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე) და შესაბამისი დროის განმავლობაში კოორდინაციას გაუწევს მათი ფუნქციონერობის პროცესს.

შემთხვევითი არაა, რომ ლიბერალური ეკონომიკის მქონე დასავლეთის ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად კოოპერაციულ სანაწიებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს, რადგან მხოლოდ კოოპერირების საშუალებით არის შესაძლებელი ორი სანაწიის გაერთიანება: საკუთრების, რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას და წარმოების მასშტაბის გაზრდისთვის, რომელიც განაპირობებს ერთს მხრივ — ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ — ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე.

აქვე მოგვყავს ევროპის ერთ-ერთი მაღალ განვითარებული ქვეყნის — დანიის სახამებლის მწარმოებელი კოოპერატივის **(დანიაში კარტოფი-**

ლის სახამებლის წარმოების 85% გადის ექსპორტზე და იყიდება 40-ზე მეტ ქვეყანაში. 170 000 ტ/წელიწადში კარტოფილის სახამებელს აწარმოებს 5 სანარმო, რომელიც ეკუთვნის კოოპერატივს და აერთიანებს 3000-ზე მეტ ფერმერს) ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები:

- **ფერმერი არის აქციების მფლობელი.**

- **თითოეული აქცია აძლევს უფლებასა და იმავდროულად ვალდებულებას 100კგ კარტოფილის ჩაბარებაზე (10 აქციის მფლობელს აქვს უფლება და ვალდებულება ჩააბაროს 10*100=1000კგ კარტოფილი).**

- **კარტოფილის ჩაბარების რიგს განსაზღვრავს სანარმო და ადგილზევე ანაზღაურებს პროდუქციის მინიმალურ ღირებულებას.**

- **სახამებლის გაყიდვის შემდეგ მიღებული მოგება ნაწილდება აქციების რაოდენობის მიხედვით.**

- **აქციების გაყიდვა, ან გასხვისება ნებადართულია. აქციის ფასს განსაზღვრავს კარტოფილის ფასი გაყიდვის მომენტისთვის.**

- **კოოპერატივის მართვას ახორციელებს კრება, რომელიც ირჩევს სანარმოს მმართველ დირექტორატს კოოპერატივის წევრებიდან.**

- **კოოპერატივის წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ეს დამოკიდებული არ არის აქციების ფლობის რაოდენობაზე.**

მსგავსი მოდელი უნდა დაინერგოს საქართველოში, რადგან, ამით არ იზღუდება ფერმერთა თავისუფლება და ე.წ. „კოლექტივიზაციის“ შიშიც ქრება. პირველ ეტაპზე შეიძლება გავაუქმოთ პროდუქციის ჩაბარებაზე მკაცრი ვალდებულება და დავუშვათ კოოპერატივის არანერებისგან პროდუქციის შექმნა თუ ამის აუცილებლობას დირექტორატი დაინახავს.

მხოლოდ ასეთი სისტემის პირობებში შეიქმნება როგორც ძირითადი სამეურნეო რგოლების, ისე მთლიანი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ობიექტური საფუძვლები, სადაც პრაქტიკულად გამოირიცხება სანარმოს მესაკუთრეთა (სუბიექტურობის) ფაქტორი, რაზედაც მიმდინარე ეტაპზე არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, მთლი-

ანადაა დამოკიდებული როგორც გადამშუშავებელი შპს-ების, ასევე შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დარგებში დასაქმებული ათასობით კომლის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა.

კოოპერაციულ სამენარმო სისტემაში მისი წევრების ნილის (პაის) ფორმირებაზე პერმანენტულ გავლენას მოახდენს დამატებითი პაი, რომელიც წარმოადგენს კოოპერაციული და საპაიო გადახდების წესდებით განსაზღვრულ ნაწილს. ამიტომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი იქნება ცვალებადი (მით უფრო სანაწიის ეტაპზე და მით უმეტეს გარედან მოსალოდნელი ხელშეწყობის პირობებში) და მისი ზრდა დამოკიდებული იქნება მხოლოდ კოოპერატივის წევრთა კეთილსინდისიერ და ეფექტურ შრომაზე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი ფაქტორის — შრომითი რესურსების კაპიტალიზაციის ყველაზე ძლიერ საფუძველს.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოზიცია არაერთხელ იყო გაჟღერებული საქართველოს პრემიერ-მინისტრის საჯარო გამოსვლებში, როგორც აგრარულ სექტორში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ღონისძიება, რომელიც გატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კანონმდებლობის შემუშავების კუთხით. მიუხედავად ამისა, უკვე შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ ეს ღონისძიება ამკარად არ არის საკმარისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და შესაბამისად, აგრარული სექტორის ინტენსიური განვითარებისთვის.

საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი (აგრარული) სექტორის ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება ნეგატიუ-

რად აისახოს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე.

კერძოდ, კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ არ ხდება კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვა). მაგრამ კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა კანონით დადგენილი მხოლოდ საპაიო ფონდში შესატანი ფულადი და სხვა სახის ქონება (რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას), არამედ, მისი წევრების, შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს შრომის უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს.

სწორედ ამ ორი კომპონენტის — შრომითი და მატერიალურის ორგანული შერწყმით (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულება — არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალურ სოლიდარობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირებით.

თანამედროვე ევროპული ტიპის კოოპერატივებს განვითარების 150 წლიანი გამოცდილება გააჩნიათ, რაც იძლევა მდიდარ მასალას ჩვენს ქვეყანაში კოოპერატიული მოძრაობის სწორად წარმართვისთვის. ამ გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შემოტანით, როგორცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერატიული გადახდები, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და სხვა, ახდენენ

კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე, იმ მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში შრომითი რესურსის ფაქტორი იყოს განმსაზღვრელი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა საპაიო შენატანების სახით არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ შედარებით გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით. ორივე შემთხვევაში ყველა ქვეყნის კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (კოოპერატივების) შესახებ შეიცავს პუნქტებს, რომლებიც ძირითადი და საერთოა ყველასთვის. მაგალითად ასეთია:

კოოპერატივის წევრთა პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებით. აუცილებელი საპაიო შენატანების ოდენობა განისაზღვრება თანაბრად, ან კოოპერატივის საქმიანობაში წევრთა მონაწილეობის პროპორციულად და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად შეიძლება შეიცვალოს, ხოლო დამატებითი საპაიო შენატანების შეტანის წესი და ოდენობა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ეს საკითხები არ მიიჩნია მნიშვნელოვანად, რომ მონაწივე ქვეყნების მსგავსად მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე. ამიტომ რჩება ერთადერთი სწორი გამოსავალი: **საქართველოს მთავრობამ ან სოფლის მეურნეობის მინისტრმა უნდა გამოსცეს ნორმატიული აქტი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების დამტკიცების თაობაზე, რომელიც სავალდებუ-**

ლო იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღების მსურველი ყველა იურიდიული სუბიექტისთვის.

გარდა ამისა, საყურადღებოა ერთი გარემოებაც: კერძოდ, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი სახსრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმართვა დაგეგმილია საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით. არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ კოოპერატიული სამეწარმეო პროექტების მართვის დადებითი გამოცდილება, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ისინი პასუხს არ აგებენ მოსახლეობისა და სახელმწიფოს წინაშე. ასეთ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ განახორციელებს წარმატებით სამეურნეო პროექტებს, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს როგორც მოსახლეობას, ასევე მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იდეას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ **სახელმწიფომ ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ მნიშვნელოვანი პროცესის წარმართველის ძირითადი (მაკოორდინირებული და ხელშემწყობი) ფუნქცია.**

არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ სოფლად უკვე გატარებული მასშტაბური ღონისძიებებიდან მოსალოდნელ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

ჩრდილოვანი ბანკინგი, როგორც ფინანსური სტაბილურობის მუქარა!

2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ დღეისათვის სარსებული მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და პრუდენციული ზედამხედველობის ტრადიციული მექანიზმები არ არის საკმარისი ქვეყნების საფინანსო სისტემების რისკების გასაწეიტრალეზღად. მონეტარული პოლიტიკის საგანგებო ზომები და მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ხარჯები, განეული ფინანსური სისტემების გადასარჩენად, მეტყველებენ იმაზე, რომ დღის წესრიგში დადგა საფინანსო რეგულირებისა და ზედამხედველობის რეფორმირების, მისი გამკაცრებისა და მაკროპრუდენციული ნორმების შემოღების აუცილებლობა.



ლია ელიავა
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ამ ამოცანების პრაქტიკაში რეალიზების მიზნით 2009 წელს ფინანსური სტაბილურობის ფორუმი¹ გარდაიქმნა ფინანსური სტაბილურობის საბჭოდ (Financial Stability Board). ეს უკანასკნელი საფინანსო მარეგულირებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების არაფორმალური ურთიერთობის ორგანოა, რომლის მიზანია ფინანსური სტაბილურობისადმი ხელშეწყობა.

დღეისათვის აღნიშნული საბჭო აერთიანებს G20 წევრ ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს - საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკი (BIS), ევროპული ცენტრალური ბანკი (ECB), ევროკომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), მსოფლიო ბანკი (ქბ), აგრეთვე სტანდარტების დამწესებელ საერთაშორისო ორგანოებს — საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი (BCBS), გლობალური საფინანსო სისტემის კომიტეტი (FGFS), საგადახდო და საანგარიშსწორებო სისტემების კომიტეტი (FPSS), დაზღვევის ზედამხედველობის ორგანოების საერთაშორისო ასოციაცია (IAIS), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB), ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOSCO).

ფინანსური სტაბილურობის საბჭომ 2012 წელს გამოიკვლია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ჩრდილოვანი საბანკო სექტორის მასშტაბები და სტრუქტურები ამ საბჭოს 24 იურისდიქციაში, ჩილესა და ევროკავშირში. მიღებული შედეგები საკმაოდ შემამფოთებელია:

მიახლოებით შეფასებებით, 2012 წლის 1 იანვრისთვის ჩრდილოვანი საბანკო სექტორის აქტივების მოცულობამ შეადგინა კვლევაში მონაწილე ქვეყნების საფინანსო სისტემის აქტივების დაახლოებით 25%, ბანკების აქტივების 50% და მშპ-ს 133%.²

ყველაზე მასშტაბური ჩრდილოვანი საბანკო სექტორი გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებს — მთლიანი აქტივების 35%, ევროზონას — 33% და დიდ ბრიტანეთს — 14%. ცალკეული ქვეყნიდან ყველაზე მსხვილი ჩრდილოვანი საბანკო სექტორები საფინანსო სისტემის მიმართ გააჩნია შემდეგ ქვეყნებს: ჰოლანდია — 45%, აშშ და ჰონკონგი — 35%, შვეიცარია, სინგაპური, დიდი ბრიტანეთი და კორეა — 25%. მშპ-სთან მიმართებაში კი ჰონკონგს — 520%, ჰოლანდიას — 490%, დიდ ბრიტანეთს — 370%, სინგაპურს — 260% და შვეიცარიას — 210%.³

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩრდილოვანი საბანკო სექტორი იზრდებოდა მაღალი ტემპებით 2008-2009 წლების კრიზისამდე. თუ 2002 წელს მისი მოცულობა შეადგენდა 26,3 ტრლნ. დოლარს, 2007 წელს იგი გაიზარდა 61,5 ტრლნ. დოლარამდე. 2008 წელს ჩრდილოვანი საბანკო სექტორის აქტივების მოცულობა შემცირდა 58,9 ტრლნ. დოლარამდე, ხოლო 2011 წლის ბოლოსთვის ისევ გაიზარდა 66,1 ტრლნ. დოლარამდე. ამასთან, ჩრდილოვანი საბანკო სექტორის უმსხვილესი წილი — 34% 2011 წელს მოდის საინვესტიციო დონდებზე (გარდა ფულის ბაზრის ფონდებისა). მეორე ადგილს

1 ფინანსური სტაბილურობის ფორუმი (Financial Stability Forum) შეიქმნა 1999 წელს ბუნდესბანკის ყოფილი პრეზიდენტის ჰანს ტიტმაიერის ინიციატივით განვითარებული ქვეყნების (G7) ცენტრალური ბანკებისა და ფინანსთა მინისტრების მხარდაჭერით.

2 წყარო: http://www.financialstabilityboard.org/press/pr_121118.pdf

3 წყარო: http://www.financialstabilityboard.org/press/pr_121118.pdf

იკავებენ ბროკერები და დილერები — 14%.¹

ყოველივე ზემოაღნიშნული მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში საფინანსო სისტემაში სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩრდილოვანი სექტორი, განსაკუთრებით კი საბანკო სისტემაში. ამ უკანასკნელმა მიიღო ჩრდილოვანი ჩრდილოვანი ბანკინგის სახელწოდება.

ჩრდილოვანი ბანკინგი (ჩრდილოვანი საბანკო სისტემა) წარმოადგენს საფინანსო ბაზრის სეგმენტს, რომელიც ფუნქციონირებს საბანკო დანესებულებების მარეგულირებლების, მათ შორის, ცენტრალური ბანკების, კონტროლისა და ზედამხედველობის მიღმა. ტერმინი **“ჩრდილოვანი ბანკინგი”** (Shadow Banking) წარმოიქმნა აშშ-ში და თავდაპირველად ნიშნავდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ნებისმიერი ნაკლებად რეგულირებად, ან საერთოდ არარეგულირებად ორგანიზაციებს.

ჩრდილოვანი ბანკინგი პრაქტიკულად წარმოადგენს პარალელურ, ალტერნატიულ საბანკო ბაზარს, რომლის მონაწილეებიც არიან: **ჰეჯ-ფონდები, პირდაპირი ინვესტიციების ფონდები, საინვესტიციო და მმართველი კომპანიები, ტრადიციული ბანკების საინვესტიციო სტრუქტურები, ფულის ბაზრის ფონდები, საფონდო ბაზრის ბროკერები და დილერები, მზღვეველები და გადამზღვეველები.** ანუ, პარალელური, ჩრდილოვანი საბანკო სექტორი მოიცავს არამარტო საინვესტიციო ინდუსტრიას, არამედ, სხვა სპეციალიზირებულ შუამავლებსაც, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებსა და საპენსიო ფონდებს.

უფრო ფართო გაგებით, ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს ნებისმიერი საბანკო ფუნქციების განხორციელებას არარეგულირებადი, ან სუსტად რეგულირებადი ინსტიტუტების მიერ. **ჩრდილოვანი ბანკინგი არ არის კრიმინალი, მისი წარმომადგენლები არ არიან დამნაშავენი. ეს არის ინსტიტუტები, რომლებიც იმყოფებიან ეროვნული საბანკო სისტემების რეგულირების მიღმა.**

ჩრდილოვანი საბანკო სისტემის პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წელს, როდესაც ცხადი გახდა, რომ ფინანსური ბაზრის მონაწილე არარეგულირებადი ინსტიტუტები საბანკო სექტორისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი რისკების მატარებლებად იქცნენ. ამგვარ რისკებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელდა საბანკო რისკები, დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებების ხარჯზე გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებასთან და ლევერიჯის მაღალ დონესთან.

გარდა ამისა, სუსტად რეგულირებადი, ან არარეგულირებადი ინსტიტუტები, რომლებიც ასრულებენ საბანკო ფუნქციებს, ქმნიან მარეგულირებელი არბიტრაჟის შესაძლებლობებს. შედეგად, მკაცრად რეგულირებად ბანკებს უჩნდებათ გარკვეული სტიმულები, მათ შორის ისეთი, როგორიცაა: მაგალითად, მაღალხარისხიანი კრედიტები ჩაანაცვლონ დაბალხარისხიანი კრედიტებით (აქტივების ე.წ. სეკიურიტიზაცია) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კაპიტალისადმი მოთხოვნა არის პრაქტიკულად იგივე, ხოლო, შემოსავალი კი ბევრად მეტი. ამიტომაც მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების

აუცილებლობის თავიდან არიდების მიზნით კაპიტალი გარბის მეტად რეგულირებადი სექტორებიდან ნაკლებად რეგულირებად სექტორებში.

ჩრდილოვანი საბანკო სექტორის ზრდა დაკავშირებულია განვითარებული ქვეყნების მიერ საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობის გამკაცრებასთან, რაც განპირობებული იყო მსოფლიო ფინანსური კრიზისის თანმდევი მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების საინვესტიციო-საფინანსო საქმიანობის გამოძიებასთან დაკავშირებული სკანდალური სასამართლო პროცესებით. გაიზარდა მოთხოვნები ბანკების კაპიტალის სიდიდისა და სტრუქტურის მიმართ, დაისვა საკითხი გაყოფილ იქნას ტრადიციული საბანკო და საინვესტიციო საქმიანობა, გამკაცრდა მოთხოვნები ინფორმაციის გამჭვირვალობისადმი. ასეთ პირობებში ბანკები იძულებულნი შეიქნენ მოეხდინათ თავიანთი საქმიანობის ოპტიმიზირება როგორც საკუთარი, ასევე მსხვილი კლიენტების სახსრების შემოსავლიანობის შესანარჩუნებლად.

ტრადიციული საბანკო და საინვესტიციო საქმიანობის განცალკევების საკითხი ბოლო წლებში თანდათანობით სულ უფრო აქტუალური ხდება. 1933 წლიდან 1999 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა გლასი-სტიგოლის კანონი, რომლის თანახმად, საკრედიტო-სადეპოზიტო დანესებულებებს, იგივე კომერციულ ბანკებს, ეკრძალებოდათ მაღალრისკიანი საინვესტიციო ოპერაციების განხორციელება მენაბრეების სახსრების ხარჯზე. ამ კანონით მაღალი რისკის მქონე სპეკულაციური ოპერაციები ფასიან ქარაღებთან გადაყვანილ იქნა საინვესტიციო ბანკებში, ანუ, იგივე საინვესტიციო ბროკერებთან. ფინანსური სექტორის მარეგულირებლები არ იყვნენ პასუხისმგებელი ასეთი ბანკების სპეკულაციური ფინანსური ოპერაციებისთვის, ხოლო, რისკების მთელი სიმძიმე გადადიოდა ინვესტორებზე. გლას-სტიგოლის კანონის გაუქმებისა და საბანკო რეგულირების შესუსტების შედეგად მენაბრეთა სახსრებმა დაიწყეს გადადინება საფონდო ბაზრებზე. იმავდროულად, საბანკო ზედამხედველობისთვის ბანკების ოპერაციების მეტი წილი გახდა გაუმჭვირვალე. ყოველივე ამან დააჩქარა ფინანსური კრიზისის დადგომა ჯერ ამერიკაში, შემდგომ კი მის ფარგლებს გარეთ.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემის საქმიანობა თავის არსით წარმოადგენს საინვესტიციო-საბანკო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება შუამავალი კომპანიების მეშვეობით არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. ეს კომპანიები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ფონდები, ტრასტები, ან სხვა კონკრეტული მიზნებისთვის შექმნილი კომპანიები. ამ შუამავლებს, როგორც წესი, არ აქვთ უფლება მოიზიდონ მოსახლეობის ანაბრები და არ გააჩნიათ საბანკო საქმიანობის ლიცენზია. სხვა მხრივ მათი საქმიანობა პრაქტიკულად არ განსხვავდება კომერციული ბანკის საინვესტიციო ქვედანაყოფის საქმიანობისაგან. ამგვარი შუამავლების გამოყენება ზრდის მინოდებული ფინანსური მომსახურების მოქნილობას იმის ხარჯზე, რომ ისინი პრაქტიკულად არ რეგულირდებიან ფინანსური სექტორის მარეგულირებლების მიერ.

მსოფლიო პრაქტიკაში რაც უფრო მკაცრი ხდება საბანკო სექტორში ინფორმაციის გამჭვირვალობისა



და ინტერესთა კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრის მოთხოვნები, მით უფრო მეტი ფული გადაედინება საბანკო სექტორში. ამიტომაც საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანია იპოვონოქროს შუალედი, ანუ, ერთი მხრივ, რეგულირების პროცესი არ მიიყვანონ აბსურდამდე, ხოლო, მეორე მხრივ, აკონტროლონ სისტემური რისკები, რომელთა წყაროს წარმოადგენს ჩრდილოვანი საბანკო სისტემა.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ოპერაციები, რომლებიც ამოვარდნილია მარეგულირებელი და მაკონტროლებელი (საზედამხედველო) ორგანოების თვალსაზრისიდან, მრავალფეროვანია, თუმცა მათ შორის არის მნიშვნელოვანია და მოცულობით გამოჩენილი ოპერაციები, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო სექტორის მდგრადობასა და სიჯანსაღეზე.

ყველაზე მეტად გავრცელებული ლეგალური ჩრდილოვანი ოპერაცია არის აქტივების (ფასიანი ქაღალდების სახით) უკუგამოსყიდვა, ანუ, იგივე რეპო ოპერაციები. ამ ოპერაციებით მანიპულირების კლასიკური მაგალითია ამჟამად გაკოტრებული უმსხვილესი ბანკის Lehman Brothers-ის მაგალითი, როდესაც მან ბალანსიდან დროებით მოაცილა 50 მლრდ. დოლარი პრობლემური აქტივები რეპო ოპერაციების მეშვეობით. ამ გზით ბანკი ცდილობდა დაერწმუნებინა ინვესტორები თავის მდგრადობასა და საიმედოობაში.

რეპო ოპერაციებისგან განსხვავებით არსებობს გარკვეული ხერხები, რომლითაც შესაძლებელია პრობლემური აქტივების ბალანსიდან მოცილება არა დროებით, არამედ, სამუდამოდ. მათ შორის განსაკუთრებულად გავრცელებულია ე.წ. **სეკიურიტიზაცია**, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი თავის საკრედიტო მოთხოვნებს, ანუ, საკრედიტო აქტივებს, აფორმებს ფასიანი ქაღალდებში, რომელთა რეალიზება ხორციელდება საფინანსო ბაზარზე სპეციალური შუამავალი კომპანიის მეშვეობით. ასეთი კომპანია, ბუნებრივია, იქმნება თვით ბანკის მიერ და მის მიერვე კონტროლდება.

სპეციალურად შექმნილი კომპანიის მოთხოვნებს ბანკი ჰყიდის ერთიანად, თანაც ამ მოთხოვნებში ერთმანეთშია გაერთიანებული სხვადასხვა ხარისხის კრედიტები. ყველაზე ხშირად ასეთი საკრედიტო ნაზავის ხარისხი ყველა დასაშვებ მინიმალურ სტანდარტზე უფრო დაბალია. სპეციალურად შექმნილი კომპანია ამ საკრედიტო ნაზავს ანაწილებს ფასიანი ქაღალდების პაკეტებად და შემდეგ მათ ჰყიდის ცალობით საფინანსო ბაზარზე მიამიტ ინვესტორებზე.

უკანასკნელ პერიოდში სეკიურიტიზაციის ამდაგვარი პროცედურები გახდა პოპულარული და მიიღო ფართო მასშტაბი. ბანკების იპოთეკური კრედიტები გარდაქმნენ ფასიანი ქაღალდებად და ინტენსიურად ივაჭრებოდნენ საფონდო ბაზრებზე. ბანკების სეკიურიტიზირებული აქტივების მეტი წილი მოსახლეობისთვის პრაქტიკულად წარმოადგენდა სატყუარას, ხოლო თვით ბანკები კი განზე რჩებოდნენ. ყოველივე ეს დამთავრდა 2008 წლის ცნობილი ფინანსური კრიზისის დადგომით.

როგორც ჩანს, ჩრდილოვანი საბანკო სისტემა მრავალი ქვეყნის საფინანსო სექტორის სერიოზული პრობლემაა. გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. **საქართველოში ჩრდილოვანი საბანკო სექტორის სისტემური კვლევები დღემდე არ ჩატარებულა და უახლოეს მომავალში, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მუშაობა არც იგეგმება. ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებით და დაბალი ალბათობით საქართველოს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მოცულობის დათვლა. ამისთვის უნდა განვსაზღვროთ იმ ინსტიტუტების წრე, რომლებიც ეწევიან საბანკო საქმიანობას.**

იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რომელი ინსტიტუტები შეიძლება მიეკუთვნოს ჩრდილოვანი საბანკო სისტემას, აუცილებელია, პირველ რიგში, გამოვლინდეს საბანკო სექტორის მიღმა საკრედიტო შუამავლობის ყველა შემთხვევა. ამასთან, აუცილებელია ისეთი ინსტიტუტების გამოვლენა, რომლებისთვისაც დამახასიათებელია აქტივების განაღდების ვადისა და ლიკვიდურობის რისკები, რისკების არასრული გადაცემა, მაღალი ლევერიჯი და მარეგულირებელი არბიტრაჟი. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ასეთი სახის ინსტიტუტებისთვის მარეგულირებელი ნორმებისა და ღონისძიებების შემუშავება.

საქართველოს ჩრდილოვანი საბანკო სექტორს შეიძლება მიეკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები, რომელთა იურიდიული სტატუსი გაფორმდა 2012 წელს საბანკო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ე.წ. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების შემოღება საქართველოს საფინანსო სექტორისთვის არ იქნებოდა სწორი, რომ ამით იქმნებოდა პარალელური საბანკო სექტორი საქართველოში, ჩემს მიერ გამოთქმულ იქნა ჯერ კიდევ 2012 წელს.¹ კვა-

1 საქართველოში პარალელური საბანკო სისტემა იქმნება, "რეზონანსი", №122 (7054), 9 მაისი, 2012.

ლიფიცირებული საკრედიტო ინსტიტუტის სამართლებრივი სტატუსი დღემდე გაუქმებული და, როგორც ჩანს, არც გაუქმდება საქართველოს ეროვნული ბანკის არსებული მმართველობის პერიოდში. თუმცა, საყურადღებოა ის, რომ საქართველოში მოქმედი ბიზნეს-სტრუქტურებიდან მხოლოდ ერთმა – შპს “რიკო ექსპრეს“-მა მიიღო კვალიფიცირებული საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსი, რომელიც დარეგისტრირდა 2013 წლის ივნისში. ჩემის აზრით, სხვა სტრუქტურები არ გადადგამენ ასეთ ნაბიჯს და ხელს არ შეუწყობენ ქვეყნის ისედაც სუსტი საფინანსო სისტემის მდგრადობის შერყევას.

მეორე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც მიეკუთვნება ჩრდილოვან საბანკო სექტორს, არის მევახშეობა, ე.წ. კერძო იპოთეკარების ინსტიტუტი. მოსაზრება იმის შესახებ, რომ კერძო იპოთეკარები წარმოადგენენ ჩრდილოვან ბანკებს, ჩემს მიერ არაერთხელ იქნა გასაჯაროებული როგორც პრესით,¹ ასევე ელექტრონული მედიით.² თუმცა, ფინანსური სექტორის იმ დროისთვის ერთადერთმა მარეგულირებელმა ვერც ადრე მოახდინა რეაგირება მევახშეების პრობლემაზე და დღესაც ამ საკითხის გადაწყვეტა არ შედის მისი საქმიანობის დღის წესრიგში.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია აგრეთვე ლომბარდები, რომელთა საკრედიტო საქმიანობა ასევე ამოვარდნილია საფინანსო ზედამხედველობის არეალიდან. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში იზრდება სხვადასხვა სახის ფონდების რაოდენობა, რომლებიც არა თუ არ რეგულირდებიან, არამედ, მათი საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლებიც კი არ არის შემუშავებული.

საქართველოს ეროვნული ბანკს, როგორც საბანკო სექტორის მარეგულირებელ და ზედამხედველ ორგანოს, არ გააჩნია სრული და სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის ბიზნესით არიან დაკავებული კომერციული ბანკები გარდა საბანკო საქმიანობისა, რომელ ბიზნეს-სტრუქტურებში გადაედინება მოსახლეობიდან მოზიდული დეპოზიტები

1 “ჩრდილოვანი ბანკები” — სწრაფად მზარდი, მაგრამ საშიში ბიზნესი, “რეზონანსი”, № 322 (6999), 29 ნომბერი, 2011.

2 <http://www.palitrav.ge/gadacemebi/saqme/11549-301111-gadacema-saqme-ra-saftrhkhes-uqmnis-qchrdilovani-bankebiq-saqarthvelos.html>

და როგორია ამ დეპოზიტების განიავების ალბათობა და რისკები.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების გაძლიერების მიზნების განსახორციელებლად G20 ქვეყნების 2013 წლის სექტემბრის შეხვედრაზე მიღებულ იქნა საგზაო რუკა, რომლითაც გათვალისწინებულია ფინანსური სტაბილურობის საბჭოში შემავალი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გარკვეული ღონისძიებების განხორციელება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- **ჰეჯ-ფონდების მსოფლიო ბაზრის ანალიზი და მისი შედეგების გათვალისწინება ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გამჭვირვალობისა და რისკების შეფასების სრულყოფის საქმეში;**

- **ფინანსური სტაბილურობის საბჭოს მიერ ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ანალიზის შედეგების გამოქვეყნება;**

- **ფასიანი ქაღალდების გირაოთი განხორციელებული დაფინანსების ოპერაციების გადაფასების კოეფიციენტების შემუშავება;**

- **ჩრდილოვანი საბანკო სისტემის სუბიექტების ზედამხედველობის ღონისძიებების შემუშავება და კაპიტალისადმი მოთხოვნების გადასინჯვა იმ ბანკებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტირებას ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ფონდებში და სხვ;**

ჩემის აზრით, საქართველოს ეროვნული ბანკი არ დარჩება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიღმა, გამოიჩენს ინიციატივას და უზრუნველყოფს საქართველოს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის სტრუქტურისა და მოცულობის ანალიზური სამუშაოების ჩატარებას.

იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა ეფექტიანად შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია — საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა, მან უნდა განახორციელოს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის სისტემური რისკების კვლევა და ასახოს ისინი მის მიერ მომზადებულ ფინანსური სტაბილურობის ყოველწლიურ ანგარიშში, “რომელიც, სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზისგან განსხვავებით, შეისწავლის მოვლენებს, რომელთა მოხდენის ალბათობის დადგენა რთულია, მაგრამ რისკის მატერიალიზაციის შემთხვევაში უარყოფითი ზეგავლენა - არსებითი”³.

3 <http://nbg.gov.ge/index.php?m=109>

SHADOW BANKING-THREAT TO FINANCIAL STABILITY

Resume

Lia Eliava, Doctor of Economics, Professor

The article researches role and place of shadow banking in the emergence of crises. It stresses that in the circumstances of deepened globalization shadow banking covered financial systems of almost all countries. This is to attribute to the fact that number of subjects involved in credit activities turned out to be beyond the banking regulation. The similar situation is in the financial sector of Georgia. Thus, the risk of deepening the financial instability increases. The article presents offers and recommendations on averting expected challenges.

როგორ შევასოთ მინა

მინა დიდრესურსია, რომლის გარეშეც დედამიწაზე სიცოცხლე არ არსებობდა. მინა როგორც, ფიზიკური, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე საგანია. მინის ფლობისა და მოხმარების უფლებები ისევე მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული, როგორც მცენარის ფესვები მინასთან. წინდახედულად და დაკვირვებით მინის მართვა აუცილებელია ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის.



მინის რესურსების უფრო ინტენსიურად გამოყენება და მართვა ქმნის ერთიანი საერთო გლობალურ საზრუნავს. მინა არის ადამიანის ყველა სახის საქმიანობის საწყისი და საფუძველი, მისგან ვიღებთ საკვებს, თავშესაფარს, ადგილს სამუშაოდ, ოთახს დასასვენებლად. მინას განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივი რესურსებს შორის. ის საზოგადოების წევრების სასიკეთო მდგომარეობის მატერიალური საფუძველია. მინა მიჩნეულია ერთ-ერთ ძირითად ელემენტად, საიდანაც ერს სიმდიდრის მიღება შეუძლია.

მინა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც: ტერიტორია (სივრცე) მოღვაწეობისა და განვითარებისათვის; ეკონომიკური განვითარების ფაქტორი და დაბეგრვის ობიექტი; საკუთრების, განკარგვისა და ფლობის ობიექტი; ბუნებრივი რესურსი და გარემოს დაცვის ობიექტი; კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტიფიკაციის ობიექტი; და სხვა სახით.

უძრავ ნივთად განისაზღვრება მინის ფიზიკური ნაკვეთი და ადამიანის მიერ შექმნილი მასთან მყარად დაკავშირებული ობიექტები, რომელთა შეხება და დანახვა შესაძლებელია. თითოეულ ქვეყანაში ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილია ძირითადი განსხვავებები უძრავ და მოძრავ ქონებას შორის.

საქართველოში უძრავი ნივთის ცნება განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლით: „უძრავ ქონებას მიეკუთვნება მინის ნაკვეთი მასში არსებული ნიადასეულით, მინაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მინაზე.“

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უძრავი ქონება-მინა ყიდვა-გაყიდვის საგანია და მას გააჩნია ღირებულება. განვითარებული უძრავი ქონების სექტორი ქვეყნის მთელი ეკონომიკური სისტემის საფუძველი, მთლიანი შიდა პროდუქტის არსებით ნაწილი და ეროვნული საფინანსო სისტემის მდგრადობის გარანტიაა. ის ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ანტიფლაციურ საშუალებას.

ქალაქებში მინის ბაზრის ფორმირება ხელს უწყობს მოსახლეობისა და კომერციული და არაკომერციული სანარმოების (ორგანიზაციების, ფონდების და ა.შ.) სახსრების მოზიდვას საცხოვრებელი, კომერციული, სოციალური და სხვა დანიშნულების სექტორების მშენებლობისთვის, მომხმარებლების მოთხოვნათა შესაბამისად ფასის, ადგილმდებარეობის და ხარისხის მიხედვით.

ბაზარი მყიდველის და გამყიდველის ურთიერთქმედების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს მათი ინტერესების რეალიზაციას კონკურენციის პრინციპების და პირობების გათვალისწინებით. ბაზარი თავისთავად წარმოადგენს გარემოს, სადაც ხორციელდება საქონლის და მომსახურეობის გამყიდველიდან მყიდველზე გადასვლა ფასების მექანიზმის საშუალებით. ბაზრის ცნება გულისხმობს საქონლით ან/და მომსახურეობით ვაჭრობის საშუალებას მყიდველსა და გამყიდველს შორის ზედმეტი შეზღუდვების გარეშე, სადაც თითოეული დაინტერესებული მხარე მოქმედებს მოთხოვნა-მიწოდების და სხვა ფასწარმოქმელი ფაქტორების შესაბამისად, თავისი შესაძლებლობების და კომპეტენციის ფარგლებში, კონკრეტული საქონლის და/ან მომსახურეობის სარგებლიანობის აღქმით, აგრეთვე იდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

უძრავი ქონების ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ბაზისია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ფინანსური, შრომის, რესურსების, საქონლის და მომსახურეობის ბაზრები. უძრავი ქონების ბაზარი განიცდის დიდ ზეგავლენას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით.

უძრავი ქონების ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ბაზისია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ფინანსური, შრომის, რესურსების, საქონლის და მომსახურეობის ბაზრები. უძრავი ქონების ბაზარი განიცდის დიდ ზეგავლენას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით.

უძრავი ქონების ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ბაზისია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ფინანსური, შრომის, რესურსების, საქონლის და მომსახურეობის ბაზრები. უძრავი ქონების ბაზარი განიცდის დიდ ზეგავლენას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით.



ბის გამო. უძრავი ქონების ბაზრის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს; საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კაპიტალის უძრავი ქონების დაბალეფექტური სეგმენტებიდან მაღალეფექტურ სეგმენტებში გადანაწილება, უძრავი ქონების ობიექტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

უძრავ ქონებაზე ფასების ცვლილება პირდაპირ (მაგრამ არ არის აუცილებელი პროპორციულად) დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთკავშირის ცვლილებაზე. ამ შემთხვევაში გამოიკვეთება შემდეგი კანონზომიერებები:

ა) თუ მოთხოვნა მუდმივია:

- მიწოდება იზრდება — ფასები იკლებს;
- მიწოდება იკლებს — ფასები იზრდება.

ბ) თუ მიწოდება მუდმივია:

- მოთხოვნა იზრდება — ფასები იზრდება;
- მოთხოვნა იკლებს — ფასები იკლებს.

ინდივიდუალურმა მესაკუთრებმა სიმდიდრეს თავიანთი საკუთრების გაუმჯობესებითა და განვითარებით შეიძლება მიაღწიონ, მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ამას საკუთრებაზე

დანესებული გადასახადის ამოღებით აღწევენ. ეს ორი ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია. ქონების ღირებულების ზრდამ სახელმწიფოს გადასახადების სახით ამოღებული თანხების ოდენობა შეიძლება გაუზარდოს, დაბალანსებული საგადასახადო სისტემა კი ეკონომიური წინსვლას, მინისა და ქონების განვითარებას შეუწყოს ხელი.

საქართველოში უძრავი ქონების (მიწის) ღირებულების დადგენისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ინსტრუქცია, მეთოდური მითითებები და რაიმე ნორმატიული აქტი არ არსებობს.

საართველოს მთავრობას მიღებული აქვს 2011 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილება “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საფასურის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით დამტკიცების თაობაზე”, რომლის მიხედვით ერთი ჰექტარი სახნავი მიწის საწყისი ნორმატიული ფასი მაქსიმალური არის 1000 ლარი, მინიმალური 300 ლარი. სათიბი მიწების 200 ლარი

და საძოვრის 135 ლარი. ამასთან, საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 6 სექტემბერს ზემოთ აღნიშნულ თავის დადგენილებაში შეიტანა ცვლილება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საძოვარ მიწებზე, რომლებიც არ ექვემდებარება პრივატიზირებას, დაადგინა აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი საფასური 1 ჰექტარზე 15 ლარი. ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში – 8 ლარი.

რაც შეეხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასს, მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის № 603 ბრძანებულება: “სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” ამ ბრძანებულების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი

აპარული სექტორი: მინა

ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები-საკრებულოები. მინის ნორმატიულ ფასის განსაზღვრის ძირითადი კომპონენტებია: საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ერთ კვადრატულ მეტრზე დადაგენილი წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი- 0.24ლარი, ქალაქის(თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრის) მაკრომდებარეობის ინდექსი და თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის მინიმალური ოდენობა უდრის 20-ს. მინის ნორმატიულ ფასი დიფერენცირებულია საქართველოს ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულების მაკრომდებარეობის ინდექსებისა ტერიტორიული ზონების(ქვეზონების) მიხედვით.

ქალაქის(თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი) მაკრომდებარეობის ინდექსი დგინდება საქართველოს დედაქალაქის-თბილისის, სხვა ქალაქების, აგრეთვე იმ დასახლებებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრებს, მათი ურბანული და გეოგრაფიულ-ბუნებრივი მახასიათებლების მიხედვით.

მაკრომდებარეობის ინდექსი განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: **მოსახლების რაოდენობა; ადმინისტრაციული სტატუსი; სამეურნეო და ფუნქციური პროფილი; სიმაღლე ზღვის დონიდან; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; ადგილი განსახლების სისტემაში.**

დასახლებებისათვის ტერიტორიული ზონების გამოყოფა(ზონირება) გათვალისწინებულია ტერიტორიის შემდეგი კრიტერიუმები: **სატრანსპორტო-ეკონომიური ინფრასტრუქტურა; სოციალური ინფრასტრუქტურა; კეთილმოწყობა; ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები; პრესტიჟულობა.**

ასევე მიღებულია საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი 2001 წლის 25/25 ივლისის ბრძანება

№ 94/170 „საქართველოს ქალაქების(რაიონების) მაკრომდებარეობის ინდექსების, ტერიტორიების ზონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდიკა“

ქ. თბილისისთვის ქ. თბილისის საკრებულოს მიღებული აქვს 2013 წლის 25 იანვრის № 1-3 გადაწყვეტილება: **„დედაქალაქის ტერიტორიაზე მინის ნორმატიული ფასის დასაყდლიანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ“** ამ გადაწყვეტილებით თბილისი დაყოფილია 180 ზონად, უზნად და ქვეუზნად. მინიმალური ფასი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ერთ კვ.მ. შეადგენს 3 ლარს, მაქსიმალური ფასი 1998 ლარს. საწყისი წლიური ქირა სასაყდლიანი სარგებლობისთვის შეადგენს მინიმალური 1 ლარს, მაქსიმალური 100 ლარს, 1 კვ.მ. მინის აღნაგობის უფლებით გადაცემის საწყისი წლიური ქირა მინიმალურ შეადგენს 2 ლარს, მაქსიმალური 160 ლარს.

ზოგადად ქონების(საქონლის) შეფასება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად.

ყოველი სახის უძრავი ქონების საბაზრო ფასის გაანგარიშების საფუძველი ყველა სახის უძრავი ქონების ფართი. მდებარეობა, შენობა-ნაგებობის მახასიათებლები, დაკავებული მინის ნაკვეთის ფართი, ტერიტორიული ზონალური კოეფიციენტი.

საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახდო ორგანოებისთვის გადასახადის გადამხდელის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია.

ქ. თბილისის საკრებულოს 2002 წლის 27 მარტის №2-1 გადაწყვეტილებით დადგენილი იყო ქ. თბილისში უძრავი ქონების 1 კვ.მ.-ის საბაზისო საბაზრო ფასი, საბინაო ფონდისთვის -50 ლარი, არასაბინაო დანიშნულების უძრავი ქონებისთვის-70 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება

ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-6 გადაწყვეტილებით.

ქონების შეფასება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში XX საუკუნის დასაწყისიდან იქნა შემუშავებული. უკანასკნელ პერიოდში ქონების შეფასება ჩამოყალიბდა, როგორც პროფესია. ქონების შემფასებლები დიდხანს იბრძოდნენ თავისი პროფესიონალური სტატუსის მოპოვებისთვის საზოგადოებასა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სხვა სპეციალისტებთან. დღეს შემფასებლების მიერ შეფასების შესახებ გარკვეულ დონეს მიღწეული შედეგნილი დასკვნები, როგორც წესი, უფრო მეტი მოთხოვნით სარგებლობს, ვიდრე ის დასკვნები, რომლებიც ვაკეთებულია არაპროფესიონალების მიერ. 1960-1970-იანი წლების განმავლობაში შემფასებელთა ზოგიერთმა ეროვნულმა ასოციაციამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა თავიანთი წევრების პროფესიული პრაქტიკული საქმიანობის სტანდარტები.

2003 წელს შექმნილ იქნა ქონების შეფასების სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტი, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქონების შეფასების სტანდარტებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება და გამოქვეყნება, საერთაშორისო მაშტაბით მათი ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენების მიზნით როგორც საზოგადოებრივი, ასევე, სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის.

2003 წელს გამოიცა შეფასების საერთაშორისო სტანდარტები. აქედან გამომდინარე აუცილებელია საქართველოში შემუშავდეს და დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ უძრავი ქონების (მინის) ღირებულებისა და შეფასების მეთოდიკა და დაფუძნდეს ქონების შეფასების მაღალკვალიფიციური კომპეტენტური ქონების შემფასებლები.

ანზორ მისხიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

დავით აბიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

№6 ოქტომბერი 2013

ჯანსაღი ოპონირება დაპირისპირებას არ ნიშნავს!

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება და ამოქმედება სპეციალისტების, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხედულებების მკვეთრი დაპირისპირების ფონზე წარიმართა. პრინციპულ დებულებებთან დაკავშირებით, მათი უთანხმოება დღესაც არ დამცხრალა, თუმცა დებატები გრძელდება და მოსაზრებათა დაახლოების ტენდენცია შეინიშნება.

აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირთათვის ცნობილია, რომ თავისი მნიშვნელობით, ზემოთხსენებულ კანონს, შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ადექვატური ზეგავლენა იქონიოს, ამასთან, ის სპეციალისტთა აღზრდის და პროფესიული განათლების დონის ამაღლების მთავარი სტიმულატორიც უნდა იყოს!

ცხადია, როცა ასეთ პრიორიტეტებზე ვმსჯელობთ, მხარეებად დაყოფა, ბარიკადების გაღმა-გამოღმა დგომა, დაპირისპირება საქმეს ნამდვილად არ წაადგება.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ ღიაა დისკუსიისთვის, აზრიანი პოლემიკისთვის და მონადინებულია შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, რაც საქმიან დიალოგს, შეხედულებათა შეჯერებას, კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღებას, ყველასთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის დახვეწას და სრულყოფას შეუწყობს ხელს!

კანონის შუქ-ჩრდილებზე, თუ პერსპექტივაზე ჟურნალის წინა ნომრებში შეუზღუდავად გამოვაქვეყნეთ აა(ა)იპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა“ ფედერაციის პოზიცია, აგრეთვე ცალკეულ ავტორთა მოსაზრებები. გამოხმაურებები ცხადყოფენ, რომ შექმნილი ვითარება ბევრად უფრო რთული და მასშტაბურია, ვიდრე, ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ერთიც ამკარაა, რომ მოქმედი სახით კანონი ანგრევს ყველა ფასეულს და ღირებულს, რაც აქამდე იყო შექმნილი და შეგვეძლო წარმოგვეჩინა. გარდა ამისა, ხმამაღლა შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ის მხოლოდ ერთი პროფესიული ორგანიზაციის ინტერესებს წარმოადგენს და მის ზეობაზე მუშაობს!!!

ხომ არ ვქმნით ხელოვნურ ბარიერებს? ხომ არ ვახდენთ მოვლენათა გადაჭარბებულად დრამატიზებას? მით უმეტეს, კერძო საუბრებსა თუ საჯარო შეხვედრებზე შეჯერებული გადაწყვეტილებები ბევრად ლმობიერი და თანხვედრილია. მაშ, რა ხდება? რატომ იწელება, რა (ვინ) უშლის ხელს კანონში ცვლილებების შეტანა/შემუშავებას?!

მოვუსმინოთ მეორე მხარესაც...

გთავაზობთ (ყოველგარი შეზღუდვის და რედაქციული ჩარევის გარეშე) ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ-ის) აღმასრულებელი დირექტორის ბატონ **ლავრენტი ჭუმბურიძის**, როგორც დოქტორანტის, ავტორობით და თანაავტორობით ორ მეცნიერულ ნაშრომს - სტატიას, რომელიც ეხება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირებას საერთაშორისო გამოცდილებისა და ევროდირექტივების საფუძველზე, აგრეთვე, ბუღალტრის პროფესიულ სერტიფიცირებასა და აკადემიური განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, მათი სრულყოფის პრიორიტეტებს.

ვფიქრობთ, მისი მოსაზრებები საყურადღებოა და ეხმიანება არსებულ პრობლემებს.

გთხოვთ, კვლავაც გამოგვეხმაუროთ, მოგვანოდოთ თქვენი შენიშვნები თუ სურვილები. ჯანსაღი ოპონირება სულაც არ ნიშნავს დაპირისპირებას. ამით ჩვენ საღ აზრს გამოვკვეთავთ.

პატივისცემით ჟურნალის „ბიზნესი და კანონმდებლობა“ რედაქცია

????????????????

ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებისა და ევროდირიქტივების საფუძველზე



ლევანტი ჭუმბურიძე
სსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი, საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი, ყურნალ "ბულალტრული აღრიცხვის" მთავარი რედაქტორი

თანამედროვე ეპოქაში გლობალური ბიზნესის ძირითადი აქცენტი მიმართულია ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ჰარმონიზაციაზე. ამჟამად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა აღრიცხვისა და აუდიტის სისტემის რეგულირების თავისებურებისა და რეგლამენტაციის ხარისხის მიუხედავად, ბულალტრული აღრიცხვის სფეროში ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს), ხოლო აუდიტის სფეროში - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ასს) და თითოეული ქვეყნის რეგულირების სისტემა, მეტ-ნაკლებად, ამ სტანდარტებთან არის კოორდინირებული.

ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო მიმართულებები და ევროდირიქტივების მოთხოვნები

ყველა ქვეყანაში კომპანიების ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირება ხორციელდება: 1. კანონმდებლობის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის, მეშვეობით და 2. ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებით, ამ სტანდარტების ინტერპრეტაციებითა და კომენტარებით, რომლებიც დადგენილია სათანადო პროფესიული ორგანიზაციების მიერ.

კვლევები გვიჩვენებს, რომ პრეცედენტული სამართლის ტრადიციების მქონე ინგლისურენოვან ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიაში, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ორგანიზაციების (მაგ., აშშ-ში ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილ სტანდარტებს, ვიდრე კანონმდებლობას. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში (და იმ ქვეყნებში, რომლებიც იყენებენ ბულალტრული აღრიცხვის ევროპულ პრინციპებს, როგორცაა იაპონია და აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნები), რომელთაც კოზიტიური სამართლის ტრადიციები გააჩნიათ, გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კანონმდებლობას და ფისკალურ მოთხოვნებს.

თითოეულ ქვეყანაში სხვადასხვა დონის სიმკაცრის ადგილობრივი მარეგულირებელი სისტემა მოქმედებს, რომელიც არეგულირებს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და აუდიტის ჩატარების საკითხებს. ამგვარი რეგულირება შეიძლება სავალდებულო ხასიათის იყოს, ან მოცემული ქვეყნის მარეგულირებელი ან პროფესიული ორგანიზაციების მიერ გამოშვებული

ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე ხორციელდება.

განვიხილოთ ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო მიმართულებები.

1. კანონმდებლობით რეგულირება

ა) თვითრეგულირება. კანონმდებლობით რეგულირების სფეროში მნიშვნელოვანია თვითრეგულირებადი აღიარებული პროფესიული ორგანიზაციების როლი. პროფესიული თვითრეგულირების პირობებში სახელმწიფო ახორციელებს რეგულირების ზედამხედველობას (რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობა პროფესიულ თვითრეგულირებაზე მონიტორინგის მეშვეობით).

თვითრეგულირებას (ანუ ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირებას ბულალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციების მიერ), ისევე როგორც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები ახასიათებს. „ერთი მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ პროფესიონალ ბულალტრებს და აუდიტორებს არ შეუძლიათ, ან არ უნდა არეგულირებდნენ თავიანთ საქმიანობას. მეორე მხრივ, მთავრობებს არა აქვთ ტექნიკური კომპეტენცია ან რესურსები ამგვარი საკითხების მოსაგვარებლად და არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას ამგვარი კომერციული საკითხების განხილვაში“.¹

ამერიკის სერტიფიცირებულ საზოგადოებრივ ბუ-

1 ბულალტრის (აუდიტორის) პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი - მსოფლიოს პრაქტიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა 2004 წელი, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი. გვ. 4

დალტერთა ინსტიტუტი, რომელიც ბუღალტერთა ყველაზე მსხვილი პროფესიული ორგანიზაციაა მსოფლიოში¹, დამოუკიდებელია აშშ-ის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსაგან (FASB), რომელიც შეიმუშავებს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს. ანალოგიურად, გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი პროფესიული ორგანიზაციები – ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA) და ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAEW) ასევე არ არიან დამოკიდებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსა (ASB) და აუდიტის პრაქტიკის საბჭოზე (APB).

ბ) სახელმწიფო (საჯარო) ზედამხედველობა. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სფეროში საჯარო ზედამხედველობის მიზანია საზოგადოებრივი ნდობისა და ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების სანდოობის მიღწევა. დღესდღეობით მსოფლიოში აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის ბევრნაირი სისტემა არსებობს. ხშირ შემთხვევაში, ეს სისტემები გადახედვას საჭიროებს ხოლმე, ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა წარუმატებელი ფინანსური ანგარიშგებები, თვითრეგულირებად სისტემებში აღმოჩენილი სისუსტეები, საზოგადოებრივი მოლოდინების ცვლილებები, ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები და სხვა.

ისტორიულად, აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობა თვითრეგულირების ფორმას იღებდა. ასეთ მიდგომაში ხშირად გამოუყენებიათ ექსპერტული მიმოხილვა ფორმის საქმიანობის გარე შეფასების პარალელურად, რომელსაც სხვა პრაქტიკოსი პროფესიონალები ასრულებდნენ და შესაბამის ანგარიშს წარუდგენდნენ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის საბჭოს. თუმცა, ბოლო წლებში რეგულირების სისტემები განვითარდა დამოუკიდებელ ზედამხედველობაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად. შედეგად წარმოიშვა **ეროვნული რეგულატორების** ჩამოყალიბების ტენდენცია, უფრო თანმიმდევრული და გლობალური მასშტაბებით.

Enron-ის და WorldCom-ის კომპანიების გახმაურებული სკანდალის შემდეგ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში, რომელმაც შეძრა კაპიტალის ბაზრები, საბოლოოდ იქნა აღიარებული გაუმჯობესებული და დამოუკიდებელი ზედამხედველობის აუცილებლობა. შესაბამისად, აშშ და ევროპა დამოუკიდებელი ზედამხედველობის მიმართულებით წავიდნენ. ეს ტენდენცია გაძლიერდა **ევროკავშირის მე-8 დირექტივის** მიღების შემდეგ 2006 წლის ივნისში. ევროკავშირის მე-8 დირექტივა შეეხება **სავალდებულო აუდიტის ჩატარების** საკითხებს და საჯარო ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფას. მე-8 დირექტივას შესაბამისობაში მოჰყავს სავალდებულო აუდიტის საკითხები ევროკავშირის მასშტაბით და ადგენს აუდიტორულ საქმიანობაზე **საჯარო ზედამხედველობისა** და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს.

საზედამხედველო ორგანოების სტრუქტურა და ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია, მაგრამ, ზოგადად, ასეთ ორგანოს აქვს შემდეგი სტრუქტურა (იხ. სქემა 1):

სქემა 1
რეგულირება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტებით

1.	საბჭო , დანიშნული უფლებამოსილი სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს მიერ, რომელსაც რეგულირების პროცესის მთლიანი აღმასრულებლის მოვალეობა აკისრია.
2.	რეგისტრაციისა და ანგარიშგების ფუნქცია , რომელიც მოითხოვს თითოეული აუდიტური ფორმის მიერ სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდებას პირველადი რეგისტრაციისთვის და ასევე მოითხოვს პერიოდულ ანგარიშგებას, საკუთარი საქმიანობის შესახებ (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც გამჭვირვალობის ანგარიში);
3.	მონიტორინგის (ინსპექტირების) ფუნქცია , რომლის ფარგლებშიც ტარდება რეგისტრირებული ფორმების საქმიანობისა და ოპერაციების პერიოდული შემოწმებები და შედეგად თავად ფორმას და დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინება ანგარიში შედეგების შესახებ;
4.	დისციპლინარული მოკვლევისა და სანქციების გატარების ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც ხდება პროფესიონალურ სტანდარტებთან და სხვა მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევების მოკვლევა და სანქციებზე რეკომენდაციის გაცემა

2. რეგულირება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტებით

ცალკეულ ქვეყანაში, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტებით რეგულირების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ). თითქმის ყველა ქვეყნის სტანდარტებით რეგულირებაში, სხვადასხვა ფორმით, გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს).

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები გამოცემულია აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტის (IAPC) მიერ, რომელიც არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს მუდმივმოქმედი კომიტეტი. იგი ჩამოყალიბდა 1977 წელს ნიუ-იორკში. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანებულია 173 წევრი ორგანიზაცია 129 ქვეყნიდან.² ბსფ-ს წევრობა ავტომატურად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASS) წევრობასაც გულისხმობს, რომელიც დაფუძნებულია ლონდონში. ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. პირველი (IAPC) დაკავშირებულია აუდიტთან, მეორე – (IASS) ბუღალტრულ აღრიცხვასთან.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სხვა მუდმივმოქმედი კომიტეტები განიხილავენ ეთიკის, განათლების, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, სახელმწიფო სექტორის, საინფორმაციო ტექნოლოგიისა და წევრობის საკითხებს.

2 Transparency and Accountability: Past, Present, Future; Ifac 2012 Annual Report, 34 p.

¹ ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი – მსოფლიოს პრაქტიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა 2004წ, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი. გვ. 4

????????????????

ცხადია, აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები არ უარყოფს ადგილობრივ მარეგულირებელ ნორმებს. ვერც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია და ვერც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ვერ აიძულებს რომელიმე ორგანიზაციას საერთაშორისო სტანდარტების სრულად გამოყენებას. არც რაიმე სანქციები არსებობს იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც აცხადებენ, რომ იცავენ საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის.

კვლევებით გამოიკვეთა, რომ განვითარებადი რეგიონების (მაგ., ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, აფრიკა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები) ქვეყნებმა, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, სტანდარტებით რეგულირების მიმართულებით ისეთი ორიენტაცია აირჩიეს, რომ შესაბამისობაში მოდიან საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას.

**ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნები
ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის
რეგულირების სფეროში**

ევროპის კომპანიების შესახებ კანონმდებლობის (მე-4, მე-7, მე-8, მე-11) დირექტივებმა, მნიშვნელოვანწილად, ჰარმონიაში მოიყვანა აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების საერთაშორისო მიმართულებები, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მასშტაბით. მე-4 დირექტივა¹ ეხება ფინანსური ანგარიშგების ფორმატებს, მე-7- ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის საკითხებს², მე-8 - აუდიტორთა კვალიფიკაციის მოთხოვნებს და სავალდებულო აუდიტის ჩატარების წესებს³, მე-11- ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების⁴ მოთხოვნებს. ამ დირექტივებში მოცემულია ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში. თითოეულ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, ჰქონდეს დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც შესაძლოა გასცილდეს ამ მოთხოვნების ფარგლებს, მაგრამ არ შეიძლება შესაბამისი დირექტივის მოთხოვნების შერბილება.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კომპანიების ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირება ყველა ქვეყანაში შერეულად ხორციელდება კანონმდებ-

1 Fourth Council Directive 78/660/EEC of 25 July 1978 based on Article 54(3)(g) of the Treaty on the annual accounts of certain types of companies.

2 Seventh Council Directive of 13 June 1983 based on the Article 54 (3) (g) of the Treaty on consolidated accounts (83/349/EEC)

3 Eighth Council Directive of 10 April 1984 based on Article 54 (3) (g) of the Treaty on the approval of persons responsible for carrying out the statutory audits of accounting documents (84/253/EEC)

4 LEVENTH COUNCIL DIRECTIVE of 21 December 1989 concerning disclosure requirements in respect of branches opened in a Member State by certain types of company governed by the law of another State (89/666/EEC)

ლობით, პროფესიული ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტებითა და სახელმწიფო ზედამხედველობის მეშვეობით. ზოგადად, საერთაშორისო დონეზე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ძირითადი მარეგულირებელი საფუძვლები და რეგულირების პროცესისათვის დამახასიათებელი ელემენტები საერთოა. უფრო მეტიც, ევროპის კომპანიის შესახებ კანონმდებლობის დირექტივებმა (მე-4, მე-7, მე-8, მე-11 დირექტივები) ჰარმონიაში მოიყვანა აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მასშტაბით. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საფონდო ბირჟებზე კოტირებული კომპანიებისათვის მკაცრად განსაზღვრულია: ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ერთიანი სტანდარტების გამოყენება; ძლიერი სახელმწიფო საზედამხებლო სტრუქტურის არსებობა; აუდიტორთა კვალიფიკაციისა და მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლის შემოწმების წესები და სხვ.

**ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის
მარეგულირებელი საკანონმდებლო
ბაზის სრულყოფის ძირითადი საკითხები
საქართველოში**

საქართველოში ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად რეგულირება. რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა მოიცავს ღონისძიებათა იმ სპექტრს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას და საინვესტიციო გარემოს განვითარებას, ნორმატიული რეგულირების სრულყოფითა და ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ჩვენს ქვეყანაში ეტაპობრივად განხორციელებული რეფორმები საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნებოდა. რეფორმის ყველა ეტაპზე, ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებლად – ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმების შედეგად, ბოლო პერიოდამდე (2013 წლამდე) არსებული საკანონმდებლო ბაზით, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირება მკაფიოდ იყო გამიჯნული. ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირებაში დომინირებდა პროფესიული ორგანიზაციები – პროფესიული თვითრეგულირების პრინციპი, ხოლო აუდიტორული საქმიანობა სრულად ექვემდებარებოდა სახელმწიფო რეგულირებას.

რეგულირების არსებულ წესებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2012 წლის 29 ივნისს და ძალაში შევიდა 2013 წლის პირველი იანვრიდან. აღნიშნული კანონი აუქმებს საქართველოს პარლამენტთან

არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიას და პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და მათ ფუნქციებს, ძირითადად, გადასცემს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს, რაც ნიშნავს პროფესიაში თვითრეგულირების პრინციპების მნიშვნელოვან გაზრდას.

კვლევის პერიოდში, მართებული დასკვნების გასაკეთებლად და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრისათვის, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, ზემოთ განხილული რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროდირექტივების მოთხოვნების ფონზე.

კვლევამ გვიჩვენა, რომ განახლებულ საკანონმდებლო ბაზაში, ძირითადად, ასახულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო მიმართულებები და მისი სულისკვეთება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, პროფესიული თვითრეგულირების, პროფესიული სერტიფიცირების საყოველთაოდ აღიარებული საქართველოში მოქმედი ნორმების გაუმჯობესებაა. აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი აზრით, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონით განსაზღვრული რეგულირების დებულებები სრულყოფას საჭიროებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საქართველოს კანონმდებლობით რეგულირების შეფასება-ანალიზის საფუძველზე, ევროდირექტივების მოთხოვნებისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, გამოიკვეთა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კანონმდებლობით რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები, რომელიც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (იხილეთ სქემა 2):

სქემა 2.

1.	შესაცვლელია პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის მოთხოვნები;
2.	გასამლიერებელია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს როლი და ფუნქციები პროფესიის რეგულირებაში;
3.	არ არსებობს და ჩამოსაყალიბებელია სტანდარტების სისტემური თარგმნის უზრუნველყოფისა და მის გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელების წესები;
4.	სრულყოფას საჭიროებს აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის შემოწმებისა და მონიტორინგის განხორციელების წესები;
5.	კანონით არ არის განსაზღვრული და შესაქმნელია პროფესიული საქმიანობის დისციპლინარული მოკვლევისა და საწესიების მექანიზმები.

სქემა 2-ში წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კანონმდებლობით რეგულირების სრულყოფის საკითხები განვიხილოთ უფრო დეტალურად:

1. პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის მოთხოვნები

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, პროფესიის რეგულირებაში წამყვანი როლი აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს დაეკისრათ. მათ კომპეტენციაში გადავიდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში: საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა-გამოცემა; ადგილობრივი სტანდარტების შემუშავება; პროფესიული სერტიფიცირების საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა; კადრების გადამზადება და პროფესიული სერტიფიცირება; მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმებელთა სერტიფიცირება; განგრძობითი განათლების სტანდარტის შემუშავება, დადგენა და გამოყენება და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული ორგანიზაციებისათვის გადაცემული რეგულირების ფართო სპექტრის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად განისაზღვრება აკრედიტაციის პირობები და ვის მიენიჭება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცი(ებ)ის სტატუსი.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, აკრედიტაციის პირობები შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

„აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია – ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ან ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი (მუხლი 1, პუნქტი „ს“).

„ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც არ არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკრედიტაციას იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისი შიგა პოლიტიკა და პროცედურები, ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით:

ა) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მექანიზმი;

ბ) მოთხოვნები სერტიფიცირებულ პირთა განათლების მიმართ და მათი სერტიფიცირების სისტემა;

გ) თავისი წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაცვის რეგისტრის სისტემა“ (მუხლი 11, პუნქტი „ვ“).

აკრედიტაციასთან მიმართებაში, კანონის ზემოთ მოყვანილი მუხლების მოთხოვნები ცხადყოფს, რომ კანონით განსაზღვრული აკრედიტაციის პირობები არათანაბარ პირობებში აყენებს პროფესიულ ორგანიზაციებს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერა-

????????????????

ციის (IFAC) ნამდვილი წევრი დღეს მხოლოდ ერთი პროფესიული ორგანიზაციაა (საქართველოს ბაფი) და იგი, კანონის (მუხლი 1, პუნქტი „ს“) თანახმად, ავტომატურად არის აკრედიტებული, ხოლო სხვა პროფესიულ ორგანიზაციებს აკრედიტაციის მისაღებად მოეთხოვებათ შესაბამისი (მუხლი 11, პუნქტი „ვ“) პროცედურების გავლა.

ვინაიდან ბსფ-ის წევრობა არ არის დამოკიდებული ბსფ-ის მოთხოვნების მკაცრ შესრულებაზე და საქართველოში მიმდინარე ეტაპზე ასეთი მხოლოდ ერთი ორგანიზაციაა, ჩვენი აზრით, აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად დადგინდეს აკრედიტაციის ერთიანი პირობები ყველა პროფესიული ორგანიზაციისათვის. კერძოდ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთ მოყვანილი კანონის ნორმების გაერთიანება ისეთი სახით, რომ აკრედიტაციის ერთიანი მოთხოვნები განისაზღვროს ყველასათვის.

2. სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შექმნის აუცილებლობა, მისი როლი და ფუნქციები პროფესიის რეგულირებაში

აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა, ზემოთ აღნიშნული ფუნქციების გარდა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების საფუძველზე, უნდა განახორციელონ აუდიტორებისა და აუდიტური კომპანიების რეგისტრაცია (აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება).

„საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ აუდიტორთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ. რეესტრს აწარმოებს (აწარმოებენ) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია (ორგანიზაციები). საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი ან ფიზიკური პირი რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს იმ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრებულია იგი“ (მუხლი 6. პუნქტი 1–3).

მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ასეთი, შეიძლება ითქვას, სრული თვითრეგულირება გავრცელებულია ბევრ ქვეყანაში, ნებისმიერი პროფესიული ორგანიზაციისათვის, რომელსაც დაკისრებული აქვს ასეთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია, იმყოფებოდეს გარკვეული დამოუკიდებელი მონიტორინგის (სახელმწიფო ზედამხედველობის) ქვეშ. დამოუკიდებელი მონიტორინგის არსებობა აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციაში, რომელიც წარმოადგენს საკუთარ წევრებს და არეგულირებს მათ საქმიანობას. ბსფ-ის წევრობა არ არის პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე სრულყოფილი კონტროლის განხორციელების საკმარისი პირობა, რადგან ბსფ არ იყენებს ხარისხის კონტროლის პირდაპირი მონიტორინგის სისტემას საკუთარი წევრებისათვის.


პროფესიის რეგულირებაში სახელმწიფო ზედამ-

ხედველობის აუცილებლობა, აგრეთვე, ხაზგასმულია ევროკავშირის მერვე დირექტივის 29–ე „სახელმწიფო ზედამხედველობის პრინციპები“ და 32–ე „სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა“ მუხლებში. დირექტივა მოითხოვს, რომ ხელისუფლება აუდიტორული საქმიანობის სფეროს რეგულირებაში მონაწილეობდეს **აღიარებული საზედამხედველო ორგანოებისა** და ამ ორგანოების მიერ დადგენილი მარეგულირებელი წესების მეშვეობით.

პროფესიის რეგულირებაში სახელმწიფო ზედამხედველობის ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა და პრაქტიკის ფონზე, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული ნორმით, ჩვენს ქვეყანაში პროფესიის რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობა შეეძინება მხოლოდ პროფესიული ორგანიზაციებისათვის აკრედიტაციის მინიჭებით – „ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი (მუხლი 11, პუნქტი 2).

ჩვენი აზრით, საკანონმდებლო რეგულირების არსებული სისტემა აუცილებლად საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს, სახელმწიფო ზედამხედველობის (მონიტორინგის) გაძლიერების თვალსაზრისით. სრულყოფილი მონიტორინგის სისტემის შექმნა და განხორციელება შეუძლებლად მიგვაჩნია, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნის გარეშე. ვინაიდან ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მომხმარებლები საზოგადოებრივი ინტერესების მქონე (მსხვილი) კომპანიებია და ეს კომპანიები ანგარიშვალდებული არიან ფასიანი ქაღალდების კომისიასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფო ზედამხედველობის სტრუქტურა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სახით, შეიქმნას **ფასიანი ქაღალდების კომისიასთან**. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაფუძნებული სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, პირობითად, სსიპ **ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს** (ფაას) სტრუქტურა და ფუნქციები სქემატურად (იხ. სქემა 3) შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

სქემა 3.
ა) ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო ორგანოს სტრუქტურა



ბ) ფუნქციების განაწილება ფასიანი ქაღალდების კომისიასა და ფასს- შორის: ფასიანი ქაღალდების კომისიის ფუნქციები

1.	ფასს-ის წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა
2.	ფასს-ის ანგარიშის ჩაბარება (მიღება) და განხილვა
3.	ფასს-ის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება
4.	ფასს-ის დებულების დამტკიცება

გ) ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს ფუნქციების განაწილება განყოფილებების მიხედვით :

რეგისტრაციის განყოფილება

1.	პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაცია
2.	აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს, ასს, მსფასს) რეგისტრაცია
3.	აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიასთან დაკავშირებული სხვა სტანდარტების რეგისტრაცია
4.	ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლების მქონე აუდიტორი კომპანიებისა და ინდივიდუალური აუდიტორების რეგისტრაცია
5.	რეესტრის ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა

ხარისხის კონტროლის განყოფილება

1.	აკრედიტებულ პროფესიულ (თვითრეგულირებად) ორგანიზაციებზე დელეგირებული ფუნქციების შესრულების მონიტორინგი
2.	მონიტორინგის შედეგების გადაცემა დისციპლინარული განყოფილებისათვის, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დელეგირებული ფუნქციების სათანადოდ შეუსრულებლობის შემთხვევაში
3.	პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების განმხორციელებელ პირთა (ვიზიტორების) რეესტრის წარმოება
4.	მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების გრაფიკის შედგენა და შეთანხმება აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებთან
5.	ხარისხის კონტროლის შემოწმებელთა ჯგუფის შექმნა
6.	ხარისხის კონტროლის შემოწმების ანგარიშის მიღება და განხილვა
7.	ხარისხის კონტროლის შემოწმების შედეგების საფუძველზე, სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე აუდიტორების/ აუდიტორი კომპანიების განსაზღვრა და მათი შესაბამის რეესტრში რეგისტრაცია

დისციპლინარული განყოფილება

1.	დისციპლინარული ზომების განსაზღვრა
2.	დისციპლინარული გადაწყვეტილებების მიღება
3.	დისციპლინარული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციებისათვის
4.	დისციპლინარული გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფა

სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ფუნქციონირება უზრუნველყოფს, რომ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციები დაექვემდებარონ ეფექტურ ზედამხედველობას, დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. საზედამხედველო ორგანოს (ფასს) წევრების დანიშვნა გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს კვალიფიცირებული პირების შერჩევა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს მოემსახურებიან. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანოს წევრების უმრავლესობას უნდა წარმოადგენდეს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელი სტრუქტურები, როგორცაა: საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. საზედამხედველო ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს პროფესიისაგან, თუმცა მასში წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს და ამ ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ (მოწვეული სპეციალისტების სახით) პროფესიული გამოცდილების მქონე აუდიტორული საქმიანობით დაკავებული პირები.

საზედამხედველო ორგანოს უნდა გააჩნდეს დაფინანსების სტაბილური წყარო, თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. დაფინანსებამ, საჯარო ზედამხედველობის ორგანო, დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან, ზეგავლენის საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენოს.

საზედამხედველო ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობა მიღწეულ უნდა იქნეს წლიური სამუშაო პროგრამის, მუშაობის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებით.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოს შექმნა, საწყის ეტაპზე, გარკვეულ პრობლემებთან (მაგალითად დაფინანსება, კომპეტენტური წევრების დანიშვნა და სხვ.) იქნება დაკავშირებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი მაინც ყველაზე ეფექტური მოდელია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის სათანადო რეგულირებისა და აუდიტორული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ინტერესების დაცვისათვის.

3. სტანდარტების სისტემურ თარგმნასა და გამოყენებაზე მონიტორინგი

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგა-

????????????????

რიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სისტემური (ყოველწლიური) თარგმნის უზრუნველყოფისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მონიტორინგის საკითხებს. ქართული კანონმდებლობა 2000 წლის 1 იანვრიდან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებისა (ფასს) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) გამოყენებას, თუმცა, სამართლებრივი მოთხოვნის მიუხედავად, 13 წელზე მეტია ვერ მოხერხდა სტანდარტების სრულად დანერგვა და **შესაბამისობის მიღწევა** ორიგინალი (ინგლისურენოვანი) სტანდარტების დებულებებთან. აღნიშნულ გარემოებას განაპირობებდა ის ფაქტორი, რომ მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო სტანდარტების სისტემური თარგმნისა და მის გამოყენებაზე **მონიტორინგის საკანონმდებლო** მექანიზმები.

არასრულყოფილი საკანონმდებლო ნორმები განაპირობებს **შეუსაბამობას** (განსხვავებას) საქართველოში მოქმედ (ქართულ ენაზე თარგმნილ) სტანდარტებსა და მათ **ორიგინალებს შორის**, რაც არსებით გავლენას ახდენს საქართველოში ფინანსური ანგარიშგებების ხარისხსა და მნიშვნელობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, შეუსაბამობა განაპირობებს ფინანსური ანგარიშგებების **უსარგებლობას** და მცდარობას. საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და მათ ორიგინალებს შორის განსხვავებულობის თვალსაჩინოებისათვის **მოვიყვანო კვლევის შედეგებს**, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ფასს-სა და ასს-ს ინგლისურენოვანი რედაქციების განახლება მიმდინარეობს ყოველწლიურად, ხოლო მათი ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა **ხდება 3-4 წელიწადში** ერთხელ. ამჟამად ქართულ ენაზე თარგმნილია **ფასს-ის 2010 წლის**, ხოლო **ასს-ს 2009 წლის** სტანდარტების ორიგინალები.

ჩვენი აზრით, სტანდარტების შესაბამისობის პრობლემას ვერ გადაჭრის 2012 წლის 29 ივნისს მიღებული „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განსაზღვრული ნორმები, რომლებიც შემოიფარგლება **სტანდარტების თარგმნის უფლების** მქონე ორგანიზაცი(ებ)ის განსაზღვრით: „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია (**მუხლი 3, პუნქტი 10; მუხლი 5, პუნქტი 5**)

რაც შეეხება სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს, ზემოაღნიშნული კანონით ასეთი ნორმები განსაზღვრული არ არის. კვლევები გვიჩვენებს, რომ, მართალია, სხვადასხვა მარეგულირებლებს, მაგალითად საქართველოს ეროვნულ ბანკს, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიას, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს, თავიანთი სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმებით, მინიჭებული აქვთ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და აუდიტის მონიტო-

რინგის უფლებამოსილება, მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს ადეკვატური მექანიზმი აღნიშნულის ეფექტურად განსახორციელებლად. აღნიშნული სტრუქტურების მონიტორინგის პროცესი შემოიფარგლება მარეგულირებელი ორგანოების მიერ ფინანსური ანგარიშგებების და აუდიტორული დასკვნების განხილვით და არ გააჩნიათ **იძულების ადეკვატური** შესაძლებლობები შესაბამისობის მისაღწევად.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის (**მე-3 და მე-5**) მუხლებში უნდა შევიდეს ცვლილებები, რათა ჩამოყალიბდეს ქართულ ენაზე სტანდარტების სისტემური (ყოველწლიური) თარგმნის, მათ გამოყენებაზე მონიტორინგისა და იძულების უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები. ცვლილებების განხორციელება ხელს შეუწყობს ქართულ ენაზე სტანდარტების თარგმნის მდგრადი პროცესის მიღწევას და საქართველოში გაზრდის გამოყენებული სტანდარტების შესაბამისობას, მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან.

4. პროფესიული საქმიანობის ხარისხის კონტროლის შემოწმება და მონიტორინგი

საერთაშორისო პრაქტიკა (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი, ევროსაბჭოს მე-8 დირექტივა) მოითხოვს, რომ აუდიტორები და აუდიტური ფირმები რეგისტრირებული იყვნენ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) სრულუფლებიან წევრ პროფესიულ ორგანიზაციაში, ექვემდებარებოდნენ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მარეგულირებელ მოთხოვნებს, საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს და ხარისხის კონტროლის **მონიტორინგს, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მხრიდან**. რეგისტრაციისა და მონიტორინგის ასეთი მოთხოვნა გადაწყვეტია აუდიტის ხარისხის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის (ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანალოგიური წესები არ მოითხოვება ბუღალტრული საქმიანობის სფეროში).

კვლევებით დადგინდა, რომ საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (**მუხლი 6. აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება**) განსაზღვრული მოთხოვნები, თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკას არ **პასუხობს** ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნები, ხარისხის კონტროლის შემოწმების განმხორციელებელ ორგანოსთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის მე-8 მუხლით (აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა) ხარისხის კონტროლის მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება, **სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს ნაცვლად**, მინიჭებული აქვს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას: „აუდიტორის/აუდიტური ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია ეს აუდიტორი/აუდიტური ფირმა. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 3 წელიწადში ერთხელ მაინც“ (**მუხლი 8, პუნქტი 6**).

ხარისხის კონტროლის სისტემის სახელმწიფო მონიტორინგის აუცილებლობას, საერთაშორისო პრაქტიკის გარდა, განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი სრული პროფესიული თვითრეგულირების პრინციპებზეა აგებული და მიზანშეწონილია აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობა გასწიოს დამოუკიდებელმა სახელმწიფო ორგანომ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, კანონის მე-8 მუხლი (აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა), მონიტორინგის უფლებამოსილების ნაწილში, საჭიროებს ცვლილებებს. მიგვაჩნია, რომ ცვლილებები უნდა დაეფუძნოს ევროსაბჭოს დირექტივის 32-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებს:

„2. ყველა სავალდებულო აუდიტორი და აუდიტური ფირმა უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ზედამხედველობას“;

„5. სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ჩაატაროს გამოკვლევა სავალდებულო აუდიტორებთან და აუდიტურ ფირმებთან დაკავშირებით და გაატაროს სათანადო ღონისძიება.“

შესაბამისად, აღნიშნული ფორმულირებით საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება ხელს შეუწყობს აუდიტის სანდოობის ფუნდამენტური საფუძვლის – ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელობას მატებს გამოქვეყნებულ ფინანსურ ინფორმაციას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინვესტიციების შემოღებას, რადგან აძლიერებს აქციონერების, ინვესტორების, კრედიტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების დაცვას.

5. დისციპლინარული მოკვლევა და სანქციები

რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკის კვლევები გვიჩვენებს, რომ დისციპლინარული გამოკვლევისა და სანქციების ეფექტური სისტემის შექმნა სავალდებულოა აუდიტთან დაკავშირებული პოტენციურად სერიოზული გადაცდომისათვის. „აუდიტორული საქმიანობის რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად, სანქციების სისტემამ შეიძლება გაითვალისწინოს სამოქალაქო, ადმინისტრაცი-

ციული ან სისხლის სამართლის ღონისძიებები სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების და აუდიტური კომპანიების მიმართ, რომლებიც არ ახორციელებენ სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას აუდიტორული საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) და/ან პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. აუდიტორებისა და აუდიტური ფირმებისთვის დაკისრებული სერიოზული დისციპლინარული ღონისძიებები ან სანქციები ცნობილი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის. აღნიშნულმა სისტემამ შესაძლებელია გამოიყენოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების არსებული პრაქტიკა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) საწევრო ვალდებულების (SMO) მე-6 პრინციპი, გამოკვლევა და დისციპლინა“¹.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს დისციპლინარული მოკვლევისა და სანქციების განსაზღვრის საკითხებს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კანონში ცალკე მუხლის „დისციპლინარული მოკვლევა და სანქციები“ დამატება, ქვეპუნქტებში შესაბამისი დებულებების გაწერით. საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება შესაძლებელს გახდის, რომ შეიქმნას დისციპლინარული გამოკვლევისა და სანქციების გატარების ეფექტური სისტემა აუდიტორებისათვის, რათა მოხდეს ხარისხიანი აუდიტორული მომსახურების განხორციელების უნარის არმქონე პირების გამოვლენა და აუდიტორული საქმიანობისგან ჩამოცილება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რეგულირების საერთაშორისო მიმართულებებისა და ევროდირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცვლილებების განხორციელება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტი სქემატურად (იხ. სქემა 4) შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1 ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) საქართველო, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, 2007 წლის იანვარი. გვ 46.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, თბილისი 29.06.2012;
2. საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, 1995 წლის 7 თებერვალი.
3. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება – გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივები“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 5-6 ნოემბერი 2009.
4. ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) საქართველო, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, 2007 წლის იანვარი.
5. ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი - მსოფლიოს პრაქტიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა 2004 წელი, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი.
6. ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, საქართველოს ბაფი, თბილისი 2007;
7. ლიპარტია ზ. ჭუმბურიძე ელ. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკის ჭრილში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011;

სქემა 4
საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტი

საკითხები	ღონისძიება	რესურსები	მიღებული შედეგი
1 პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის წესებში ცვლილება	საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მომზადება	პროფესიონალთა მუშაჯგუფი, ლობირების ჯგუფი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	პარლამენტის მიერ მიღებული შესწორებული კანონი და აკრედიტაციის თანაბარი პირობები
2 ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შექმნა	საზედამხედველო ორგანოს ფუნქციისა და კომპეტენციის განსაზღვრა (პროექტის მომზადება)	ფასიანი ქაღალდების კომისია, პროფესიონალთა მუშაჯგუფი, ლობირების ჯგუფი, საქართველოსპარლამენტი	საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა
3 ა). საერთაშორისო სტანდარტების სისტემური თარგმანი; ბ) საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაზე მონიტორინგი	სტანდარტების სისტემური თარგმნისა და მათ გამოყენებაზე მონიტორინგის მექანიზმების პროექტის შექმნა	ფასიანი ქაღალდების კომისია, პროფესიონალთა მუშაჯგუფი, ლობირების ჯგუფი, საქართველოსპარლამენტი	სტანდარტების სისტემური თარგმნის და მათ გამოყენებაზე მონიტორინგის საკანონმდებლო უზრუნველყოფა
4 აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის მონიტორინგი	საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მომზადება	ფასიანი ქაღალდების კომისია, ლობირების ჯგუფი, საქართველოსპარლამენტი	მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგის გაუმჯობესება
5 დისციპლინარული მოკვლევა და სანქციები	დისციპლინარული მოკვლევისა და სანქციების მექანიზმების პროექტი	ფასიანი ქაღალდების კომისია, ლობირების ჯგუფი, საქართველოსპარლამენტი	მიღებული საკანონმდებლო ცვლილება და გაუმჯობესებული მომსახურების ხარისხი

8. ჭუმბურიძე ლ. ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი 2013,

9. ჭუმბურიძე ლ. მოსაზრებები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა # 11, 2012.

10. Fourth Council Directive 78/660/EEC of 25 July 1978 based on Article 54(3)(g) of the Treaty on the annual accounts of certain types of companies.

11. Seventh Council Directive of 13 June 1983 based on the Article 54 (3) (g) of the Treaty on consolidated accounts (83/349/EEC).

12. Eighth Council Directive of 10 April 1984 based on Article 54 (3) (g) of the Treaty on the approval of persons responsible for carrying out the statutory audits of accounting documents (84/253/EEC).

13. LEVENTH COUNCIL DIRECTIVE of 21 December 1989 concerning disclosure requirements in respect of branches opened in a Member State by certain types of company governed by the law of another State (89/666/EEC).

14. Handbook of International Education Pronouncements 2010 Edition Current Edition.

15. REPORT ON THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSIInternational, March 2008.

ACCOUNTING AND AUDIT REGULATION IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL EXPERIENCE AND EURO DIRECTIVES

Summary

Lavrenti Chumburidze
Doctorate of Sukhumi State University

The article consists of two main parts. The first part covers the key issues of the requirements of international experience and Euro directives in regulation of accounting and audit sphere. The second part covers revealing of challenges and highlighting of the priorities of regulation improvement in the accounting and audit sphere in Georgia.

At the end of the article is presented the conceptual action project of improvement of the accounting and audit regulatory legislation base.

ბუღალტრის პროფესიული სერტიფიკაციისა და აკადემიური განათლების სფეროში არსებული პრობლემები და სრულყოფის კრიორიტეტები საქართველოში

პროფესიული სერტიფიკაციის რეგულირების სფეროში არსებული პრობლემები

საქართველოში არსებული ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიკაციის პრაქტიკისა და კვალიფიკაციის აღიარების სფეროში პრობლემების გამოკვეთის მიზნით, წინამდებარე სტატიაზე მუშაობის პერიოდში, შესწავლილ იქნა: პროფესიული სერტიფიკაციისა და კვალიფიკაციის აღიარების საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა; საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ მოთხოვნები ზემოაღნიშნულ სფეროში; კანონით განსაზღვრული აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის – პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მინიჭებისთან დაკავშირებული დებულებები და განათლების სტანდარტები; პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამები; საქართველოს ბაფის პროფესიული ქცევის ეთიკის კოდექსი და მისი დანერგვის მიმდინარეობა; საქართველოს ბაფის სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრების კვალიფიკაციის აღიარების დებულება და პრაქტიკა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, თუ რამდენად პასუხობს საქართველოში მოქმედი პროფესიული სერტიფიკაციისა და კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები და განათლების სტანდარტები ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს და საერთაშორისო პრაქტიკას. გამოკვლევამ გამოავლინა შემდეგი ძირითადი ფაქტები:

პროფესიული სერტიფიკაციისა და კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმების განსჯისას, უპირველესად განვიხილავთ 2012 წლის 29 ივნისს მიღებულ საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ პროფესიული სერტიფიკაციისა და კვალიფიკაციის აღიარების რეგულირებას ეთმობა. მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების ახალი ნორმებით: მოიხსნა წინააღმდეგობები აუდიტორისა და პროფესიონალი ბუღალტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, გაერთიანდა მარეგულირებელი ორგანოები, დაკანონდა განათლებისა და სერტიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სავალდებულობა, გაიწერა პროფესიული საქმიანობის ხარისხის კონტროლის შემოწმების პროცედურები, განისაზღვრა პროფესიულ საქმიანობაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო და სხვ. კვლავ იკვეთება პრობლემები, რომლებიც, ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს. კერძოდ:

1. საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ (მუხლი 2, პუნქტი „კ“) სერტიფიკირებული პირი განმარტებულია „სერტიფიკირებული პირი - ფიზიკური პირი, რომელიც აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია სერტიფიკირებულ პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიკირებულ ბუღალტრად და რომელიც თავის კვალიფიკაციას ადასტურებს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად“.

ზემოაღნიშნულ კანონში სერტიფიკირებული პირები კატეგორიებად დაყოფილია იმ მიზნით, რომ განისაზღვროს სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტის ჩამატარებელ პირთა რეესტრი. არამართებულად მიგვაჩნია რეესტრის ტიპებად დაყოფას საფუძვლად დაედოს ბუღალტერთა სერტიფიკატები. რეესტრის ორი ტიპის არსებობისათვის საკმარისია ხარისხის კონტროლის მონიტორინგის დასკვნის კატეგორიებად დაყოფა.



ზურაბ ლიშარტია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი



ლავრენტი ჭუბუშურიძე
სსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი, ყურნალ “ბუღალტრული აღრიცხვის” მთავარი რედაქტორი

№6 ოქტომბერი 2013

????????????????

ასევე არამართებულია აუდიტორების კატეგორიებად დაყოფა ზოგადად და, მით უფრო, კონკრეტულად განათლების დონიდან გამომდინარე. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო პრაქტიკასთან;

2. საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ (მუხლი 6, პუნქტი 5) „რეესტრი არის 2 ტიპის: ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებულნი არიან ის აუდიტორები/ აუდიტური ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება;

ბ) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებულნი არიან ის აუდიტორები/ აუდიტური ფირმები, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება. „

ჩვენი აზრით, აღნიშნული წესით აუდიტორთა რეესტრის დაყოფა არასწორია, რადგან კომპანიის სიდიდის მიუხედავად, აუდიტორული პროცედურები არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამასთან, აუდიტის სტანდარტები ერთი და იგივეა ყველა კომპანიისთვის, მისი სიდიდის მიუხედავად;

3. საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ (მუხლი 2, პუნქტები: „ლ“,“მ“) “ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS).

სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS for SMEs)“.

ჩვენი აზრით, „აუდიტორების კატეგორიებად დაყოფა წარსულისკენ დაბრუნებაა. თავის დროზე ასეთი დაყოფის საფუძველი იყო აუდიტის დაქვემდებარებული საწარმოების საქმიანობის სფერო და აუდიტორებზე ლიცენზია გაიცემოდა ცალკე საბანკო სფეროსათვის, ცალკე ზოგადი აუდიტისათვის და სხვა, რაც თავის დროზე საქართველოში რუსეთის კანონმდებლობისათვის მიბადვის შედეგი იყო. აუდიტორის სერტიფიცირებას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS for SMEs) საერთოდ აზრი ეკარგება, რადგან მცირე საწარმოების უმეტესი ნაწილი არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს, ამასთან, აუდიტორის განათლებაში ბუღალტრული აღრიცხვა მხოლოდ ერთი კომპონენტია. აუდიტორის კომპეტენცია და ფასეულობა სხვა მრავალი კომპონენტის კომპლექსით განისაზღვრება და აუდიტორის სტატუსის პრეტენდენტი არასოდეს არ წავა იმ გზით, რომ მცირე ბიზნესის აუდიტის სფეროში მოღვაწეობის უფლების მოპოვებას შეალიოს დრო და ფინანსები. ცნობილია, რომ მსოფლიო პრაქტიკით აუდიტორი ჰქვია ყველას, იმის მიუხედავად, რომელ სფეროსა თუ სემენტშია კომპეტენტური. იქნება ის საბანკო სფეროში კომპეტენტური, თუ ქიმიურ ინდუსტრიაში. ეს თემა ბსფ-ის საერთაშორისო სტანდარტებითა და ეთიკის ნორმებითაა დარეგულირებული და ეს რეგულაციები

დაცული რომ იყოს, სწორედ ამიტომაც შემუშავებული ხარისხის კონტროლის სტანდარტები.“¹

4. კანონის გარდამავალ დებულებებში (მუხლი 16, პუნქტი 3) განსაზღვრულია 5–წლიანი მოქმედების პერიოდი იმ აუდიტორების სერტიფიკატებისათვის, რომლებსაც აუდიტორის სტატუსი მიღებული აქვთ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოში ატესტაციის გზით „საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატები, რომლებიც ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისათვის, მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 5 წლის განმავლობაში. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ სერტიფიცირებულ პირს და აუდიტურ ფირმას, რომელსაც დაქირავებული ჰყავს ასეთი სერტიფიცირებული პირი, უფლება აქვს, რეგისტრირებული იყოს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში“ .

საქართველოში აუდიტის სფეროში დასაქმებულთა 90 პროცენტი არის აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირები. კანონში არსებული მუხლით, გაურკვეველი რჩება, რა ბედი ელთ ამ აუდიტორებს 5 წლის შემდეგ. რა სახის პროგრამით შეიძლება მათი სერტიფიცირება, როდესაც ამოიწურება ხუთწლიანი ვადა. გარდა აღნიშნულისა, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობრივია კანონის ის ნორმა, რომლითაც ასეთ სერტიფიცირებულ პირს უფლება აქვს რეგისტრირებული იყოს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში;

5. მიღებული კანონით სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების პროცესი მთლიანად აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის პრეროგატივაა „აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია – ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ან ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი“ (მუხლი 2, პუნქტი „ს“).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მუხლის არსებული რედაქცია გარკვეულ პრობლემას შექმნის, რადგან ამჟამად, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში აკრედიტაცია მიღებული აქვს მხოლოდ ერთ პროფესიულ ორგანიზაციას – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (საქართველოს ბაფი);

6. ზემოგანხილული კანონის გარდა, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები მოიცავს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის (საქართველოს ბაფის) განათლების სტანდარტებსა და დებულებებს. საქართველოს ბაფის პროფესიული განათლების სტანდარტები და დე-

1 ჭუმბურიძე ლ. მოსაზრებები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“ # 11, 2012, გვ. 28.

ბულებები სრულად ეფუძნება ბსფ-ის ყველა სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა, სახეზეა გარკვეული პრობლემები, მათ სისტემატურ განახლებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქართველოს ბავის პროფესიული განათლების სტანდარტი 7 – „პროფესიული განვითარების გაგრძელება: განგრძობითი სწავლების პროგრამა და პროფესიული კომპეტენციის განვითარების გაგრძელება“ – ბოლოს განახლებულია 2009 წელს.

7. **პრობლემატურია** ის გარემოებაც, მიმდინარე პერიოდამდე საქართველოს ბავში არ მოქმედებდა პროფესიული ეთიკის დაცვისა და მასზე კონტროლის განხორციელების მექანიზმების მარეგულირებელი დებულებები. თუმცა, ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული საკითხები დღეს ნაკლებად აქტუალურია და მათი აქტივიზაცია, ძირითადად, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე.

პროფესიული სერტიფიცირების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფის საკითხები

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირებაში მნიშვნელოვანია განათლების, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების საკითხების სრულყოფა, რადგან პროფესიული მომსახურებისა და, მასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხი დამოკიდებულია დასაქმებული ბუღალტრების კვალიფიკაციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თხუთმეტ წელზე მეტია (1999 წლიდან) გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და დანერგულია ბუღალტრთა პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (29.06.2012 წელი) განსაზღვრული პროფესიული სერტიფიცირების წესები და სერტიფიცირებული პირების პროფესიული მომსახურების სფეროების განსაზღვრა, ჩვენი აზრით, საჭიროებს სრულყოფას. კერძოდ, აღნიშნული კანონით სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრების საქმიანობა რეგულირდება მხოლოდ აუდიტორული საქმიანობის სფეროში და განსაზღვრული არ არის ბუღალტრული მომსახურების სფეროში მათი კვალიფიკაციის გამოყენება, სავალდებულო წესით.

სრულყოფას საჭიროებს აგრეთვე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (2012 წლის 29 ივნისი) მიღებამდე საქართველოში მოქმედი ნორმების შესაბამისად, სერტიფიცირებული პირებისა და სხვა ქვეყნების მიერ სერტიფიცირებული პირების კვალიფიკაციის აღიარების საკითხები. აღნიშნული მიმართულებით ცვლილებების განხორციელების საჭიროება, ძირითადად, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ 2012 წლის 29 ივნისამდე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გამიჯნული იყო „ბუღალტრისა“ და „აუდიტორის“ პროფესია და პროფესიონალი ბუღალტრებისა და აუდიტორების სერტიფიცირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ჩატარებული კვლევის შედეგად, სერტიფიცირებისა

და კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც სრულყოფას საჭიროებს, სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (იხ. სქემა 5):

სქემა 5

1.	სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული (საზოგადოებრივი ინტერესის მქონე) კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობა
2.	სერტიფიცირებული პირების დაყოფა კატეგორიებად, აუდიტორთა რეესტრის გამიჯვნის მიზნით.
3.	სერტიფიცირებული პირების დაყოფა კატეგორიებად, აუდიტორული მომსახურების სფეროების განსაზღვრის მიზნით.
4.	საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირებისათვის საქმიანობის სფეროს შეზღუდვა.
5.	პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების პროცესზე მონიტორინგის გაძლიერება.

1. სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული (საზოგადოებრივი ინტერესის მქონე) კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობა

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში, ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია მე-2 თავში „ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება“.

რომლის მე-3 მუხლი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლებრივი საფუძვლები“ ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების წესებს, კერძო სექტორის სუბიექტებისათვის (მსხვილი, მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, არასამეწარმეო იურიდიული პირები). კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების მიზნით, მე-2 თავის მე-4 მუხლი „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ განსაზღვრავს მეწარმე სუბიექტების კატეგორიებს, კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელი შეიძლება ჩაითვალოს მსხვილ, მცირე და საშუალო საწარმოდ ან მიკროსაწარმოდ.

საკითხი, ვინ შეიძლება იყოს კერძო სექტორის სუბიექტების ბუღალტერი (კომპანიების სიდიდის მიუხედავად), ფორმულირებულია მე-4 მუხლის „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ მე-10 პუნქტის შემდეგი ჩანაწერით: „ბუღალტერი შეიძლება იყოს როგორც სერტიფიცირებული, ისე არასერტიფიცირებული პირი“.

მიგვაჩნია, რომ ბუღალტრად მუშაობის უფლებებთან დაკავშირებული რეგულირების ლიბერალური მიდგომა მისაღებია კერძო სექტორის ყველა სუბიექტისათვის, გარდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საწარმოებისა, რომელთაც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის“ მე-4 პუნქტის ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით

????????????????

ევალეზათ სავალდებულო აუდიტის ჩატარება. ასეთი კომპანიებისათვის სავალდებულო აუდიტის ჩატარების მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში და მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ხარისხიან და სანდო ინფორმაციას გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას ადგენდეს და მასში ასახული ინფორმაციის სისწორეს, ხელისმწერით, ადასტურებდეს სერტიფიცირებული ბუღალტერი.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-4 მუხლს „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ უნდა დაემატოს ახალი პუნქტი, შემდეგი რედაქციით: „სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული (საზოგადოებრივი ინტერესის მქონე) კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას ადგენს და ხელს აწერს სერტიფიცირებული ბუღალტერი“.

2. სერტიფიცირებული პირების დაყოფა კატეგორიებად, აუდიტორთა რეესტრის გამიჯვნის მიზნით

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის („აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება“) მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციის უფლების მოსაპოვებლად, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებულ ფილიალს, დასაქმებული უნდა ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ პირებს კი მოეთხოვებათ, დასაქმებული ჰყავდეთ სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული ბუღალტერი.

ჩვენი აზრით, არამართებულია, აუდიტორთა რეესტრის წარმოება დამოკიდებული იყოს სერტიფიცირებული პირების კვალიფიკაციაზე. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში შეყვანის საფუძველი უნდა იყოს აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების შედეგები და არა ბუღალტერთა სერტიფიკატები. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით, ჩვენი მოსაზრება ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკასა და ევროდირექტივების მოთხოვნებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში „აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება“ შევიდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება ისეთი სახით, რომ აუდიტორთა რეესტრაციის საფუძველი გახდეს პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების შედეგები და არა ბუღალტერთა სერტიფიკატები.

3. სერტიფიცირებული პირების დაყოფა კატეგორი-

ებად, აუდიტორული მომსახურების სფეროების განსაზღვრის მიზნით

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ ამკვიდრებს ტერმინებს: „სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“ (მუხლი 2, პუნქტი „ლ“) და „სერტიფიცირებული ბუღალტერი“ (მუხლი 2, პუნქტი „მ“). კანონის ნორმებიდან გამომდინარე, ორივე კატეგორიის სერტიფიცირებულ პირს ენიჭება აუდიტორული საქმიანობის უფლება, იმ განსხვავებით, რომ „სერტიფიცირებულ ბუღალტერს“ უფლება არა აქვს ჩაატაროს სავალდებულო აუდიტი.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტით სწორად და საკმარისად არის ჩამოყალიბებული აუდიტორის განმარტება: „აუდიტორი არის სერტიფიცირებული პირი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას“. აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, ცვლილებებს საჭიროებს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი (მუხლი 2, პუნქტები: „კ“, „ლ“, „მ“ და მუხლი 4, პუნქტები: 6-9) დებულება. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად უნდა გაუქმდეს აუდიტორების კატეგორიებად დაყოფა და აუდიტის ბაზარზე საქმიანობის თანაბარი უფლება მიეცეს ყველა სერტიფიცირებულ პირს.

ჩვენ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტორი, რომ „მსოფლიო პრაქტიკით აუდიტორი ჰქვია ყველა სერტიფიცირებულ პირს, იმის მიუხედავად, რომელ სფეროსა თუ სემენტშია კომპეტენტური. იქნება ის საბანკო სფეროში კომპეტენტური, თუ აგრარულ სექტორში. ეს თემა ბსფ-ის საერთაშორისო სტანდარტებითა და ეთიკის ნორმებითაა დარეგულირებული და ეს რეგულაციები დაცული რომ იყოს, სწორედ ამიტომაა შემუშავებული „პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის სტანდარტები.“¹

4. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირებისათვის საქმიანობის სფეროს შეზღუდვა

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირებისათვის აუდიტის ბაზარზე საქმიანობის სფერო. კერძოდ, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებულ პირს და აუდიტურ კომპანიას, რომელსაც დაქირავებული ჰყავს ასეთი სერტიფიცირებული პირი, შესაძლებლობა ეძლევა რეგისტრირებული იყოს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16

1 ჭუმბურიძე ლ. მოსაზრებები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“ # 11, 2012, გვ. 28.

მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ნორმა, ჩვენ აზრით, შეიცავს დისკრიმინაციის ელემენტებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მე-16 მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილებები ისეთი რედაქციით, რომ მოიხსნას აუდიტის ბაზარზე დაშვების შეზღუდვები. აუდიტის ბაზარზე აუდიტორთა „ადგილის“ განსაზღვრის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ „პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების შედეგები.

5. პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების პროცესზე მონიტორინგის გაძლიერება

ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების რეგულირების პრობლემების გამოკვლევის საფუძველზე, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები მოიცავს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, **განათლების სტანდარტებს**, პროფესიული ეთიკის დაცვისა და მასზე კონტროლის განხორციელების მექანიზმების მარეგულირებელ დებულებებს და სხვ.

ისეთ ვითარებაში, როდესაც საქართველოში პროფესიულ ორგანიზაციებს შორის **კონკურენცია სუსტია** და აკრედიტაცია მიღებული აქვს მხოლოდ ერთ პროფესიული ორგანიზაციას – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (საქართველოს ბაფი), მიზანშეწონილია აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის (მონიტორინგის) გაძლიერება. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ მიღებული რეგულაციის წესების (სტანდარტები, დებულებები) საქართველოში მოქმედი კანონების ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს **სახელმწიფო საზედამხედველო** ორგანოს მიერ. ზედამხედველობის ასეთი პროცედურა შეედრება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას, სამეწარმეო კანონის მე-8 დირექტივას.

პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემები

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა (ბსფ) და უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოში პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების მოთხოვნები დაფუძნებულია ბრიტანეთის ნავიგ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ACCA) პროგრამაზე. სერტიფიცირების მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, მომზადდნენ გაიარონ როგორც ინგლისურენოვანი, ასევე ადაპტირებული ქართულენოვანი პროგრამით. პროგრამის საერთაშორისო აღიარებისა და პრაქტიკაში მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და განათლების სფეროში არსებული რეალობის გათვალისწინებით, თანამედროვე ეტაპზე სახეზეა სხვადასხვა პრობლემები, კერძოდ:

1. განათლებისა და სერტიფიცირების პროცესის ხანგრძლივობა და პროგრამის ღირებულება.

გრძლივობა და პროგრამის ღირებულება.

სერტიფიცირების პრეტენდენტს პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მოსაპოვებლად მოეთხოვება 14 წიგნში გამოცდის ჩაბარება. ერთ წელიწადში პრეტენდენტს შეუძლია გამოცდაზე გავიდეს 4 წიგნში ე.ი., საუკეთესო შემთხვევაში, პროგრამის დამთავრება შესაძლებელია 3,5 წელიწადში. ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს ბაფის **განათლების კომიტეტის საოქმო ჩანაწერები, 2002–2012 წლებში** სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეთა შესახებ¹. სტატისტიკით გამოირკვა, რომ პროგრამაში სხვადასხვა პერიოდიდან მონაწილე 5257 პრეტენდენტიდან ყველა გამოცდა ჩაბარებული აქვს და პროფესიონალი ბუღალტერი გახდა მხოლოდ 132 (ანუ 2,5%), რომელთა უმეტესობას მიზნის მისაღწევად (საშუალოდ) დასჭირდა 5 წელზე მეტი. პროგრამაში მონაწილე სხვა პრეტენდენტები სწავლას აგრძელებენ სხვადასხვა საფეხურზე. **პროგრამის მთლიანი ღირებულება** სასწავლო პროცესში ჩართული პრეტენდენტებისათვის შეადგენს 8400 ლარს, ხოლო დაუსწრებელი ფორმით პროგრამაში მონაწილეებისათვის 3500 ლარს. პროგრამის ხანგრძლივობა და ღირებულება პრობლემას, ძირითადად, ქმნის იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ან სტუდენტებს მესამე კურსიდან;

2. საქართველოში არ გამოიყენება ჩათვლებისა და აკრედიტაციის სისტემა.

სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეებს არ ეძლევათ **აკრედიტაცია** უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებულ იმ საგნებში, რომელსაც მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამა. ACCA–საგან განსხვავებით, საქართველოს **ბაფი არ იყენებს ჩათვლის სისტემას**. ეს შენიშვნა გაკეთებულია ROSC-ის² შეფასებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორები – შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის განსხვავებულობა, უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან პასიურობა და სხვა, **მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია**, ACCA–ის პროგრამით სერტიფიცირების ყველა მსურველმა ჩააბაროს ყველა წიგნი. ჩათვლების სისტემის არარსებობა კიდევ უფრო **პრობლემური** ჩანს, პროგრამის ზემოთ აღნიშნული ხანგრძლივობის ფონზე;

3. მოქმედი აუდიტორებისთვის არ გამოიყენება სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გაუქმების შემდეგ (2012 წლის 1 იანვარი), აუდიტის სფეროში დასაქმებული აუდიტორების საქმიანობის უფლება შემოფარგლულია გარკვეული ვადით (5 წლით). ასეთი აუდიტორებისათვის, არსებული მარეგულირებელი ნორმებით, გათვალისწინებული არ არის სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა.

1 საქართველოს ბაფის განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტის ოქმები 2002–2012 წ.

2 REPORT ON THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSIInternational, March 2008

????????????????

დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, აუდიტორული საქმიანობის უფლების შესანარჩუნებლად, მათ მოუწევთ პროფესიული სერტიფიცირების არსებული პროგრამით გამოცდების ჩაბარება, რაც, სხვადასხვა ფაქტორის გამო (მათი ასაკი, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ.), მნიშვნელოვან პრობლემებთან იქნება დაკავშირებული;

4. სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარება.

პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი და გამოკვლეული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებისათვის შეიძლება დადგენილი იყოს განათლების შედარებით მარტივი მოთხოვნები, ვიდრე საქართველოში მოქმედი სერტიფიცირების პროგრამით (ACCA) არის გათვალისწინებული. საქართველოში მოქმედი სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის აღიარების წესებით “დასაშვებია სხვა პროფესიული ორგანიზაციის (რეზიდენტი და არარეზიდენტი) ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრისათვის საქართველოს ბაზის პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის გაცემა, თუ იგი სერტიფიცირებულია საქართველოს ბაზის განათლების დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების ეკვივალენტური წინასაკვალიფიკაციო პროგრამით”¹. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამებში ზემოაღნიშნული შესაძლო განსხვავებების გამო, სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის აღიარებისათვის ეკვივალენტური განათლების მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში, შექმნის პრობლემებს, რადგან საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას ეწევა მსოფლიოში აღიარებული აუდიტორი კომპანიები („დიდი ოთხეული“ და „ქსელის კომპანიები“), რომლებსაც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 2, პუნქტი “თ”) მოეთხოვებათ, ჰყავდეთ აღიარებული პროფესიონალი ბუღალტრები.

ბუღალტრთა პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამების სრულყოფის პრიორიტეტები

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები საფუძველს გვაძლევს გვაკეთოთ დასკვნა, რომ დღეისათვის საქართველოში ბუღალტრის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული და კარგად განვითარებულია პროფესიათა შორის. ამასთან, წარსული პერიოდისაგან განსხვავებით, საკმაოდ პრესტიჟულიც.² პრესტიჟულობასთან ერთად, ბოლო პერიოდში იგი გახდა ყველაზე მოთხოვნი პროფესია, რასაც მოწმობს მსმენელთა რაოდენობა უმაღლესი სასწავლებლებსა და პროფესიული სერტიფიცირების პროგრამებში. გაზეთი კვირის პალიტრის 2013 წლის 5–11 აგვისტოს გამოკითხვის („თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა პროფესიის მქონე ადამიანებზეა მოთხოვნა დღეს ქარ-

1 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის აღიარების წესები, საქართველოს ბაზი, თბილისი 2012, გვ.3.

2 ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ, საქართველო, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, 2007 წლის იანვარი, გვ 4.

თულ კომპანიებში“) შედეგებით, ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის პირველი ადგილი ერგო ბუღალტერი/ფინანსური მენეჯერის პროფესიას.³

უნდა აღინიშნოს, რომ ბუღალტრის პროფესიის განვითარებაში მნიშვნელოვანია აკადემიური სექტორის, პროფესიული და დონორი ორგანიზაციების წვლილი, რომელთა ხელშეწყობით მნიშვნელოვნად ამაღლდა ბუღალტრთა ძირითადი ნაწილის პროფესიული დონე, მაგრამ პროფესიული მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან სრული შესაბამისობისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ბუღალტრთა სერტიფიცირებასა და განათლებასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების სრულყოფა.

ამრიგად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საკითხებთან ერთად, პროფესიის წინაშე არსებული გარკვეული პრობლემები განათლებასთანაც არის დაკავშირებული. განათლებაში არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხებზე მსჯელობისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ როგორც პროფესიული სერტიფიცირების, ასევე აკადემიური განათლების პროგრამების სრულყოფის პრიორიტეტები ცალ-ცალკე და ურთიერთკავშირში.

ბუღალტრთა სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების სფეროს სრულყოფის საკითხები სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს (იხ. სქემა 6).

სქემა 6.

1.	ბუღალტრთა პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა ეკონომიკური განათლების მქონე პირებისათვის.
2.	ბუღალტრთა პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა მოქმედი აუდიტორებისათვის.
3.	სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარება.
4.	ბუღალტრული აღრიცხვის პროფილის უმაღლესი სასწავლებლების განათლების პროგრამების დაახლოება (მისადაგება) პროფესიული სერტიფიცირების პროგრამებთან.
5.	აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის ურთიერთთანამშრომლობა.

1. ბუღალტრთა პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა ეკონომიკური განათლების მქონე პირებისათვის

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის და, შესაბამისად, აუდიტორული საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად, სავალდე-

3 გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები #31 (878), კვირის პალიტრა, ყოველკვირეული გაზეთი #32, 5–11 აგვისტო 2013, გვ.40.

ბულოა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების გამოცდების ჩაბარება. დისერტაციის თემაზე მუშაობის პერიოდში აკრედიტაცია მიღებული ჰქონდა მხოლოდ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (საქართველოს ბაფი), რომლის პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების მოთხოვნები დაფუძნებულია ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტის (ACCA) პროგრამაზე¹. სერტიფიცირების პროგრამა მოიცავს 14 საგამოცდო საგანს (წიგნს) და ითვალისწინებს როგორც **ეკონომიკური**, ასევე **არაეკონომიკური** პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პირების გადამზადებას ეტაპობრივად. გადამზადებისა და სერტიფიცირების მინიმალური ვადა 3.5 წელია (ერთ წელიწადში შესაძლებელია არა უმეტეს 4 საგნის (წიგნის) ჩაბარება).

ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებს, რომ საქართველოში ბუღალტერთა სერტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ ერთი პროგრამით (ACCA) და ერთი ორგანიზაციის (საქართველოს ბაფი) მიერ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მოპოვებული აქვს **მხოლოდ 466 ბუღალტერს**².

ამრიგად, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ბაზარზე სერტიფიცირებული პირების რაოდენობის სიმწირის, სერტიფიცირების პროგრამის ხანგრძლივობის, სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამის არარსებობის პირობებში, მიზანშეწონილია არსებობდეს სერტიფიცირების **ალტერნატიული პროგრამა** იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ ეკონომიკური განათლება, მუშაობენ ბუღალტრებად და მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

2. ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა მოქმედი აუდიტორებისთვის

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, გაუქმდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო³ და საბჭოს მიერ სერტიფიცირებულ აუდიტორებს 2013 წლიდან უფლება არა აქვთ, ჩაატარონ ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი. მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით, საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორების საქმიანობის უფლება შემოფარგლულია მხოლოდ არასავალდებულო აუდიტის ჩატარებით და მათი სერტიფიკატების მოქმედების ვადა, აღნიშნულ სფეროშიც, **შეზღუდულია 5 წლით**⁴. აუდიტორებს, რომლებიც გადაწყვეტენ დარჩენ

1 დებულება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ პრეტენდენტისათვის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, (ოქმი 5, 12.10.2005), მუხლი 5.2.

2 www.gfpa.ge გადამოწმებულია 12.09.2013

3 „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17, პუნქტი 1.

4 „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 16, პუნქტი 3.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ბაზარზე, მოეთხოვებათ საქართველოს ბაფის პროფესიული სერტიფიცირების (ACCA) პროგრამის ყველა (14) გამოცდის ჩაბარება.

აუდიტორული საქმიანობის სფეროში საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირების პრაქტიკული გამოცდილების, აუდიტის ბაზარზე პროფესიონალი ბუღალტრების მცირე რაოდენობის, საკითხისადმი სამართლებრივი მიდგომისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი აუდიტორებისათვის, საკანონმდებლო დონეზე, განისაზღვროს **სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა**. ჩვენი აზრით, სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამის საფუძვლად გამოყენებულ უნდა იქნეს ყოფილი აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სერტიფიცირების პროგრამა.

3. სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარება

საქართველოს კანონმდებლობით, სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ბაზარზე დაშვება შესაძლებელია „თუ იგი სერტიფიცირებულია საქართველოს ბაფის განათლების დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები კვივალენტური წინასაკვალიფიკაციო პროგრამით“⁵.

პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს განათლების სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც დაფუძნებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტებზე და აუცილებელი არ არის ეს პროგრამები სრულ შესაბამისობაში იყოს საქართველოში მოქმედი სერტიფიცირების პროგრამასთან (ACCA).

ჩვენი აზრით, აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ უცხოური კვალიფიკაციების აღიარების ისეთი პროცედურები, რომლებიც მოიცავს საქართველოში მოქმედი კანონებისა და წესების ცოდნის შემოწმებას. აღნიშნული საშუალებას მისცემს ინვესტირებს და სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებულ კომპანიებს, ნდობა გამოუცხადონ სხვა ქვეყნის აუდიტორებს, რამდენადაც ეცოდინებათ, რომ აუდიტი ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აუდიტორის მიერ.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ისეთი ფორმით, რომ კვალიფიკაციის აღიარების მოთხოვნად განისაზღვროს: 1. სახელმწიფო (ქართული) ენის ცოდნა; 2. საქართველოს ბიზნეს-სამართლისა და 3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცოდნა.

4. ბუღალტრული აღრიცხვის პროფილის უმაღლესი სასწავლებლების განათლების პროგრამების დაახლოება (მისადაგება) პროფესიული სერტიფიცირების პროგრამებთან

საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული და აკადემიური განათლების პროგრამების დაახლოების აუცილებლობა არსებობს 1999 წლიდან, როდესაც დაკანონდა ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირება და „ბუ-

5 სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის აღიარების წესები, საქართველოს ბაფი, თბილისი 2012, გვ.3.

????????????????

დალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა, რომ „საქართველოს სასწავლო დაწესებულებებმა ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო პროგრამები გადაამუშაონ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების შესაბამისად“¹.

საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამისა (ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიცი ბუღალტერთა ასოციაციის ქართულენოვანი ადაპტირებული პროგრამა) და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების პროგრამების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, როგორც საგნობრივი, ასევე თემატური თვალსაზრისით. პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამების საერთო მახასიათებელია მხოლოდ ის, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ასს). თუმცა, აქაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რადგან აკადემიური სექტორის სასწავლო (როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის) პროგრამები არ ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-სა და ასს-ს სწავლებას და ეფუძნება მხოლოდ მსხვილი კორპორაციების ფასს-ს და ასს-ს. საქართველოს კანონმდებლობით მსხვილი კორპორაციების ფასს და ასს გამიჯნულია მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-სა და ასს-გან. გამიჯნულია აგრეთვე სერტიფიცირების პროგრამებში მათი გამოყენების სფეროები, კერძოდ, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია სერტიფიცირებული პირის ორი კატეგორია – „სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“, რომელსაც მოეთხოვება მსხვილი კორპორაციებისათვის დადგენილი ფასს-ის ცოდნა და „სერტიფიცირებული ბუღალტერი“, რომელსაც მოეთხოვება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ცოდნა:

„სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS)“ და

„სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS for SMEs)“².

ამრიგად, ბუღალტერთა სერტიფიცირების ზემოაღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, ბუღალტერთა განათლების პროგრამების სრულყოფისა

1 საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, მუხლი 11, პუნქტი 1, 05.02. 1999 წელი

2 „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, 29.06.2012, მუხლი 2 პუნქტი: „ღ“, „მ“.

და დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის განათლების პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ბაფის სერტიფიცირების პროგრამის ძირითადი მოთხოვნები, ცალკეული დისციპლინების (საგნების) მიხედვით. აგრეთვე, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის ბაკალავრიატის განათლების პროგრამებში ისწავლებოდეს მცირე და საშუალო საწარმოების ფასს და ასს, ხოლო მსხვილი კორპორაციების ფასს და ასს გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის პროგრამაში.

5. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის ურთიერთთანამშრომლობა

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი საქართველოს უნივერსიტეტებში ისწავლება როგორც ეკონომიკის ან ბიზნესის მართვის სპეციფიკური პროგრამის ნაწილი. აღნიშნული საგნების სასწავლო პროგრამა ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება. უნივერსიტეტებს არ უჭირთ სტუდენტების მოზიდვა ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე. ამ ფაკულტეტების სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ირჩევს ბუღალტრის სპეციალობას და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთვებიან აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის (საქართველოს ბაფი) ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების (ACCA) პროგრამაში.

საქართველოს ბაფი 2002 წლიდან ქართულ ენაზე გამოსცემს (და პერიოდულად განახლებს) ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიცი ბუღალტერთა ინსტიტუტის (ACCA) ყველა სახელმძღვანელო (14 წიგნი) ლიტერატურას, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია ფინანსური მენეჯერების, პროფესიონალი ბუღალტრებისა და აუდიტორების მოსამზადებელ ერთ-ერთ საუკეთესო პროგრამად³. პროგრამით გათვალისწინებული წიგნების თარგმნაზე ACCA-ის საავტორო უფლების გაცემის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ შესაძლებელია თარგმნილი მასალის 30 პროცენტამდე გამოყენება საავტორო უფლების გარეშე⁴. რამდენადაც საქართველოს ბაფში, მიღებული საავტორო უფლების საფუძველზე, ქართულ ენაზე გამოცემულია პროგრამის სრული კურსი (14 წიგნი), არსებობს კარგი შესაძლებლობა ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების განათლების პროგრამებში გამოყენებულ იქნეს საქართველოს ბაფის პროფესიული სერტიფიცირების მასალები, არა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ნაწილში, არამედ ყველა (14-ვე) წიგნში. განახლებული განათლების პროგრამებისა და საქართველოს ბაფში არსებული ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, პროფესორ-მასწავლებლებს მიეცემათ შესაბამისი სასწავლო ლიტერატურის მომზადების შესაძლებლობა.

პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური

3 ACCA - One of the Best Online Business Degree Programs <http://www.theonlineschools.org/career-major-guide/122-one-of-the-best-online-business-programs.html>

4 Legal & Copyright Information <http://www2.accaglobal.com/disclaimer>

სექტორის განათლების პროგრამებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო, ამჟამად, საქართველოს ბაზი არ ათავისუფლებს პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეებს იმ საგნებისაგან, რომლებიც მოითხოვება სერტიფიცირების პროგრამით და სტუდენტების მიერ სიღრმისეულად იყო გავლილი საუნივერსიტეტო განათლების მიღების პროცესში. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ბაზმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის მქონე უნივერსიტეტებთან და უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებთან, სასწავლო პროგრამების კოორდინირების მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს უმაღლესი საწავლებლების კურსდამთავრებულებმა მიიღონ განათვისუფლება (ჩათვლა) პროფესიული სერტიფიცირების პირველ ეტაპზე (და პოტენციურად მეორე ეტაპზეც), უნივერსიტეტში შესაბამისი საგნის შესწავლისა და სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდეგ.

ჩვენი აზრით, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში გათავისუფლების (ჩათვლის) არსებობა შეამცირებს საქართველოს ბაზის კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო დროს და გაზრდის სერტიფიცირებაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობას. აღნიშნულის გარდა: სტუდენტები დაზოგავენ სერტიფიცირებისათვის

საჭირო დროს და თანხებს; უნივერსიტეტები სარგებელს მიიღებენ სასწავლო კურსის ხარისხის გაუმჯობესებით; საქართველოს ბაზი სარგებელს მიიღებს უფრო მეტი უნარიანი სტუდენტის მოზიდვით, ვინც უფრო სწრაფად დაამთავრებს სწავლას და გახდება სრულყოფილიანი წევრი; პროფესია სარგებელს მიიღებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ბაზარზე პროფესიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით.

ამრიგად, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სრულყოფის საკითხები მოიცავს როგორც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ასევე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის განათლების პროგრამების სრულყოფას, მათი დაახლოების მიმართულებით. პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სრულყოფის სამოქმედო გეგმის პროექტი სქემატურად (იხ. სქემა 7) შეიძლება

შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

სქემა 7

პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების სფეროს სრულყოფის სამოქმედო გეგმის პროექტი:

ა) საკანონმდებლო მარეგულირებელი ნორმები

საკითხები	ლონისძიება	რესურსები	მიღებული შედეგი
<p>საკანონმდებლო ცვლილებები:</p> <p>ა) სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული კომპანიების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებში;</p> <p>ბ) ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და პროფესიული მომსახურების სფეროების განსაზღვრის საკანონმდებლო ნორმებში;</p> <p>გ) პროფესიული სერტიფიცირების პროცესზე სახელმწიფო ზედამხედველობის წესებში</p>	<p>პროცედურები:</p> <p>ა) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადება;</p> <p>ბ) ცვლილების პროექტის საჯარო განხილვა: პროფესიის, აკადემიური სექტორის, ბიზნესისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მონაწილეობით;</p> <p>გ) ცვლილების პროექტის პარლამენტში შეტანა და ლობირება.</p>	<p>ა) ინტელექტუალური რესურსი:</p> <p>პროფესიონალთა მუშა ჯგუფი, ბიზნესმენტთა ჯგუფი, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია, ლობირების ჯგუფი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;</p> <p>ბ) ფინანსური რესურსი:</p> <p>აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია (საქართველოს ბაზი) პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;</p>	<p>განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე:</p> <p>ა) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე (მსხვილი) კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობის ამაღლება;</p> <p>ბ) ბუღალტერთა სერტიფიცირების ერთიანი წესები და სწორად განსაზღვრული პროფესიული მომსახურების სფეროები;</p> <p>გ) პროფესიული სერტიფიცირების პროცესზე გაძლიერებული სახელმწიფო ზედამხედველობა.</p>

????????????????

ბ) პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამები

საკითხები	ღონისძიება	რესურსები	მიღებული შედეგი
<p>1. ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამები:</p> <p>ა) ეკონომიკური განათლებისა და პრაქტიკის მქონე პირებისათვის;</p> <p>ბ) პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორებისათვის;</p> <p>2. ბუღალტრული აღრიცხვის პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს ბაფის თანამშრომლობა.</p>	<p>ა) პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამების პროექტების შექმნა;</p> <p>ბ) პროგრამების პროექტების განხილვა პროფესიულ წრეებში;</p> <p>გ) ალტერნატიული პროგრამების შესაბამისად სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების წესების განსაზღვრა.</p> <p>ა) ბუღალტრული აღრიცხვის პროფილის უმაღლესი სასწავლებლების განათლების პროგრამების დაახლოება პროფესიული სერტიფიცირების (ACCA) პროგრამასთან;</p> <p>ბ) განახლებული პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელო ლიტერატურის შექმნა.</p>	<p>საქართველოს ბაფი, პროფესიული ორგანიზაციები, აუდიტორი კომპანიები, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია.</p> <p>ინტელექტუალური რესურსი: უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები და პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს ბაფი.</p> <p>მატერიალური რესურსი: სერტიფიცირების პროგრამის (ACCA) ქართულენოვანი ლიტერატურა, დონორი ორგანიზაციები, საქართველოს ბაფი.</p>	<p>ა. სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამები;</p> <p>ბ) სერტიფიცირების წესებში დისკრიმინაციული ელემენტების აღმოფხვრა;</p> <p>გ) პროფესიული მომსახურების ბაზარზე სერტიფიცირებული პირების რაოდენობის გაზრდა და, შესაბამისად, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება.</p> <p>ა) უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულების განთავისუფლება გამოცდებისაგან, პროფესიული სერტიფიცირების პირველ ეტაპზე;</p> <p>ბ) უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებული ხარისხი;</p> <p>გ) მომსახურების ბაზარზე სერტიფიცირებული პირების რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა.</p>

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ", თბილისი 29.06.2012;
- "პროფესიული განათლება და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა – გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივები" საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 28-29 მაისი, 2008;
- ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) საქართველო, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, 2007 წლის იანვარი;
- აუდიტორის კომპეტენციის მოთხოვნები, პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტი (გს) 8, საქართველოს ბაფი 2012;
- საქართველოს ბაფის განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტის ოქმები 2002–2012;
- დებულება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ პრეტენდენტისათვის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, საქართველოს ბაფი, თბილისი 2005;
- ლიპარტია ზ. ჭუმბურიძე ლ. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკის ჭრილში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011;
- ჭუმბურიძე ლ. ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი 2013;
- Handbook of International Education Pronouncements 2010 Edition Current Edition;
- REPORT ON THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSI International, March 2008.
- ACCA - One of the Best Online Business Degree Programs
- <http://www.theonlineschools.org/career-major-guide/122-one-of-the-best-online-business-programs.html> Legal & Copyright Information.
- <http://www2.accaglobal.com/disclaimer>.

CHALLENGES AND IMPROVEMENT PRIORITIES IN THE SPHERE OF PROFESSIONAL CERTIFICATION OF ACCOUNTANTS AND ACADEMIC EDUCATION IN GEORGIA

Zurab Lipartia
Doctor of Economics, Full Professor of Sokhumi State University
Lavrenti Chumburidze
Doctorate of Sukhumi State University

Summary

The article consists of two main parts. The first part covers revealing of challenge and improvement issues of regulatory principles in the sphere of professional certification of accountants in Georgia. The second part covers issues and conclusions relating to the programs of professional certification of accountants and academic education in Georgia, and also necessity of its further improvement.

At the end of the article is presented the conceptual action project of the legislation base of the certification and improvement of educational programs.

№6 ოქტომბერი 2013

აუდიტორთა საქმიანობა საქართველოში და მისი ანალიზი

აუდიტორული მომსახურება წარმოადგენს ერთგვარ ხიდს კომპანიებსა და ინვესტორებს/კრედიტორებს შორის, რათა გაღრმავდეს რწმენა კომპანიების მიერ წარმოდგენილ ფინანსური ინფორმაციის მიმართ და ინვესტორებმა მიიღონ სწორი ფინანსური და ეკონომიკური გადაწყვეტილება.

2010 წელს ევროკომისიამ ბრიუსელში მიიღო ე.წ. მწვანე ფურცელი - აუდიტის პოლიტიკა - გაკვეთილები კრიზისიდან, სადაც განხილულია საკითხები აუდიტის მომსახურებისა და მისი ხარისხის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით.



თაიმურაზ ვაცხალაძე, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

აუდიტორული საქმიანობა საქართველოში

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესების განხორციელება.

საბაზრო ეკონომიკაზე ადმინისტრაციული მეურნეობიდან გადასვლის მექანიზმი, ისე როგორც სხვა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებს, საქართველოსაც არ გააჩნდა, რის შედეგადაც საქართველოში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა, სხვა ანალოგიური ფორმაციის ქვეყნების ეკონომიკის მსგავსად ძალზე რთულ და კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა.

საწყის ეტაპზე აუდიტორი ფირმების ჩამოყალიბება სპონტანურად მოხდა, რადგან არ არსებობდა ქვეყანაში კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, არ არსებობდა ლიცენზირების და ატესტირების ინსტიტუტი, ამ ფირმაში დასაქმებული აუდიტორები არ ფლობდნენ ასს წესებს და პრინციპებს, გაურკვეველი იყო მათი მომზადების დონე. რაც მთავარია, ეკონომიკურ სუბიექტებს არ ქონდათ ელემენტარული წარმოდგენა აუდიტის დანიშნულებაზე. ამასთან, აუდიტორი ფირმების არეალი მეტად შეზღუდული იყო და რაც მთავარია, მათ საქმიანობას არ აღიარებდნენ უცხოელი ინვესტორები.

საქართველოში აუდიტორულმა საქმიანობამ კარგი რეკომენდაცია გაუწია თავის თავს – საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში იქცა ბაზრის ინფრასტრუქტურის განუყოფელ ნაწილად, მაგრამ პირველ ხანებში მაინც რთულად მიმდინარეობდა აუდიტორი ფირმების როგორც ჩამოყალიბება, ისე საქმიანობა. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა აუდიტის სტანდარტების, წესებისა და მეთოდოლოგიის მწირი ბაზა და აქედან

გამომდინარე, აუდიტის ჩატარების პრინციპებისა და პროცედურების უცოდინარობა. თუ ამას დავუმატებთ განუვლი შრომის ანაზღაურების სრულიად განსხვავებულ პრინციპებს, რაც ადრე სახელმწიფო დაწესებულებაში, როგორც წესი, დადგენილი ტარიფით ხორციელდებოდა, ხოლო აუდიტის ბუნებიდან გამოდინარე, მათ ეს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე უნდა გამოემუშავებინათ. პრობლემები კიდევ უფრო მატულობდა.

1995 წელს აუდიტორული კანონის მიღებამ და პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს შექმნა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განვითარებისთვის. ასევე მოგვიანებით შეიქმნა პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას ბუღალტერიასა და აუდიტში.

აუდიტორული მომსახურების ანალიზი საქართველოში

გთავაზობთ საქართველოში აუდიტორული საქმიანობის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. ეს ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ აუდიტორული საქმიანობის სფეროში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: განუვლი აუდიტორული მომსახურების მოცულობა, ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და აუდიტორული მომსახურებების ხვედრითი წილი მთლიანად შესრულებული სამუშაოს მოცულობაში, აუდიტორულ სფეროში დასაქმებულ მომსახურეთა რაოდენობა და სხვა.

2011 წელს ინდივიდუალურმა აუდიტორებმა და აუდიტორმა ფირმებმა აუდიტორული მომსახურება გაუწიეს

????????????????


7,674 დამკვეთს და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 49,674 ათასი ლარი, ანუ წინა, 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 9,981 ათასი ლარით მეტი. ზრდამ შეადგინა 25,1%, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ზრდაა.

2011 წელს აუდიტორული საქმიანობაში დასაქმებული იყო 1,521 კაცი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 378 კაცით, ანუ 33%-ით აღემატება; აქედან აუდიტურ ფირმებში დასაქმებულთა რაოდენობამ 98.7% შეადგინა.


აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების მიერ შესრულებული სამუშაოების სტრუქტურა მოცემულია დიაგრამა №1-ში.

როგორც დიაგრამა 1 გვიჩვენებს აუდიტორული საქმიანობა ყოველწლიურად იზრდება და ბოლო წლებში ყოველწლიური ზრდა 25%-ს აჭარბებს. ასე რომ აუდიტორული საქმიანობა ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწრაფადმზარდი დარგი საქართველოში.

დიაგრამა №1
განუვლი აუდიტორული საქმიანობის მოცულობა წლების მიხედვით (ლარებში)




დიაგრამა №2
განუვლი აუდიტორული საქმიანობის მოცულობა, წლიური ანგარიშგების აუდიტური შემოწმება და აუდიტორული მომსახურება წლების მიხედვით



დიაგრამა № 3

ქონების შეფასება, ექსპერტიზა, კონსულტაცია და სხვა მომსახურება წლების მიხედვით



	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ქონების შეფასება	725.9	1262.3	1372.5	1649.9	2373.4	2620.3	2187.9
ექსპერტიზა	137.9	67	157.9	115.9	225.8	1141.6	330.3
კონსულტაცია	2652.9	4145.9	6551.9	4939.9	6012.4	9612.7	14217
სხვა მომსახურება	1252	4817.1	1872.6	4112.7	4118.2	4048	11811.7

დიაგრამა 2-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ 2011 წელს 2010 წელთან შედარებით 9,4%-ით, ანუ 2,197.2 ათასი ლარით შემცირდა წლიური ფინანსური ანგარიშგების შემონმების (აუდიტის) ხვედრითი წილი და შეადგინა 42,4%, რაც ძირითადად გამოწვეულია სავალდებულო აუდიტის მოცულობის შემცირებით. თუ 2010 წელს სავალდებულო აუდიტის მოცულობა შეადგენდა 8,295 ათას ლარს, 2011 წელს მან შედგინა 3,211.6 ათასი ლარი, ანუ 5,083.4 ათასი ლარით ნაკლები (მთელი მოცულობის ხვედრითი წილის 6,5%, როცა აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წელს შედგინა 20,9%.

საინიციატივო აუდიტის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2,886.2 ათასი ლარით, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში შემცირდა 1,8%-ით (2011 წელს ის შედგენს 35.9%-ს, ხოლო 2010 წელს შედგენდა 37.7%-ს)


სხვა აუდიტორულმა მომსახურებებმა შეადგინეს მთლიანი მომსახურების 57,6% ანუ 28600,9 ათასი ლარი, რაც წინა წლის მონაცემებს 12178.3 ათასი ლარით აღემატება. მათ შორის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს საკონსულტაციო მომსახურებას 28,7%, ანუ 14271,0 ათასი ლარი და სხვა მომსახურებას — 23,8 % ანუ 11811,7 ათასი ლარი, რაც მიუთითებს, რომ მაღალია მოთხოვნილება აუდიტორთა მიერ შეთავაზებულ ისეთ მომსახურებებზე, როგორცაა სხვადასხვა სახის კონსულტაციები, საბუღალტრო მომსახურება და სხვა.

ქონების შეფასების კუთხით მომსახურებამ შეადგინა 4,4 % ანუ 2187,9 ათასი ლარი (წინა წელს, შესაბამისად, 6,6 % და 2620.3 ათასი ლარი), ხოლო ექსპერტიზამ 0,7 %, ანუ 330,3 ათასი ლარი.

2011 წელს განეული აუდიტორული საქმიანობის მოცულობა წინა წელთან შედარებით 9,981.1 ათასი ლარით გაიზარდა და 49,674.0 ათასი ლარი შეადგინა. შესრულებული სამუშაოების მთლიან მოცულობაში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხვედრითი წილი 41,4 %, ხოლო სხვა აუდიტორული მომსახურებების 57,6 % შეადგენს.


ქვემოთ გთავაზობთ აუდიტორული მომსახურების სხვადასხვა სახეების მოცულობებს წლების მიხედვით.

წლიური ანგარიშგების აუდიტური შემონმება (სავალდებულო)




????????????????


**წლიური ანგარიშგების აუდიტური შემონემა
(საინიციატივო)**




ექსპერტიზა




კონსულტაცია



ქონების შეფასება



სხვა მომსახურება



გამოყენებული ლიტერატურა და მონაცემების წყაროები:

1. საქართველის პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო;
2. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
3. ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ 2012 წ. #5

AUDIT ACTIVITIES IN GEORGIA AND ITS ANALYSIS

Temuri Partskhaladze – Doctorate at Tbilisi state University

ABSTRACT

In article are description and analysis of audit activity in Georgia in years of 2005-2011. Analysis and study showed that Audit activity became a very important industry in Georgia and last years it grew more than 25% per year.

აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლი საქართველოში

(დასკვნები და რეკომენდაციები)

ნებისმიერი მომსახურებისთვის მნიშვნელოვანია მისი ხარისხის უზრუნველყოფა, რათა მან ამ მომსახურების სფეროს სტანდარტები და კლიენტების მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

აუდიტორული მომსახურება წარმოადგენს ერთგვარ ხიდს კომპანიებსა და ინვესტორებს/კრედიტორებს შორის, რათა გაღრმავდეს რწმენა კომპანიების მიერ წარმოდგენილ ფინანსური ინფორმაციის მიმართ და ინვესტორებმა მიიღონ სწორი ფინანსური და ეკონომიკური გადაწყვეტილება.

აუდიტორული მომსახურების ხარისხის მოთხოვნები მოცემულია, როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (220-ე სტანდარტი, თითოეული აუდიტის ჩატარების დონეზე), ასევე აუდიტორული ხარისხის კონტროლის სპეციალურ სტანდარტში (ASQC 1- აუდიტორული ფირმის დონეზე).

აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლება ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, ადექვატური საბიუჯეტო დაგეგმვისთვის.

2010 წელს ევროკომისიამ ბრიუსელში მიიღო ე.წ. მწვანე ფურცელი - აუდიტის პოლიტიკა - გაკვეთილები კრიზისიდან, სადაც განხილულია საკითხები აუდიტის მომსახურებისა და მისი ხარისხის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევა

ხარისხის კონტროლის კითხვარების ჩამოყალიბება, ამ კითხვარების დაგზავნა და შევსება აუდიტორული კომპანიების მიერ, მიღება და ანალიზი.

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა აუდიტორული ხარისხის კონტროლის კითხვარის შემუშავება. კითხვარი მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

კომპანიის ზოგადი მართვა და სტრუქტურა

- ზოგადად აღწერეთ როგორ ხდება თქვენი ფირმის მართვა (ე.ი. გეოგრაფიულ, დარგობრივ ქრილში, მომსახურების სფეროების მიხედვითა და ა.შ.).
- ზოგადად აღწერეთ როგორ მართავს ფირმა პროფესიული სამუშაოსთან დაკავშირებულ რისკებს.
- წარმოადგინეთ ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა.
- აღწერეთ ფირმის პოლიტიკა და/ან სტანდარტები, რომელიც ეხება გარიგების წერილებს, ხელშეკრულებებს.
- აქვს თუ არა ფირმას ბიბლიოთეკა ან სხვა საშუალებები, სადაც ინახება პროფესიული, მარეგულირებელი და ფირმის შიდა ლიტერატურა.
- აღწერეთ ფირმის საინფორმაციო სისტემები, საინფორმაციო უსაფრთხოების მექანიზმები

პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა

- აქვს თუ არა თქვენს ფირმას დამტკიცებული ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკა?

• მიეთითეთ პროფესიული სტანდარტები და მათი მიმღები პროფესიული ორგანიზაციის დასახელება, რომლის საფუძველზეც რეგულირდება თქვენს ფირმაში ეთიკისა და დამოუკიდებლობის საკითხები

• აქვს თუ არა ფირმას შემუშავებული სპეციალური პროცედურები დამოუკიდებლობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და რას მოიცავენ ისინი?

• აღწერეთ თქვენი ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს იმის დასაბუთებულ გარანტიას, რომ დამოუკიდებლობის მოთხოვნების დარღვევების შესახებ ეცნობება სათანადო პირებს და სათანადო ღონისძიებები ტარდება ამგვარი სიტუაციების დასარეგულირებლად.

• აღწერეთ თქვენი ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რაც მიზნად ისახავს ფირმის სათანადო თანამშრომლებისგან ბაფ-ის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ფირმის დამოუკიდებლობის პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ყოველწლიური დასტურის მოპოვებას.

• აღწერეთ თქვენი ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მოითხოვს გარკვეული პერიოდის შემდეგ გარიგების პარტნიორის როტაციას საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიების აუდიტთან, აგრეთვე სხვა მარწმუნებელ თუ დაკავშირებული მომსახურების გარიგებებთან მიმართებაში.

• აღწერეთ როგორ ითვალისწინებს თქვენი ფირმა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულირების მოთხოვნებს დამკვეთებთან და პოტენციურ დამკვეთებთან ურთიერთობებში.

დამკვეთების აყვანა / შენარჩუნება და მათთან ურთიერთობა

აღწერეთ თქვენი ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები რომელიც მოწოდებულია კონკრეტული გარიგებისათვის უზრუნველყოფს:

- შესატყვისი პერსონალით დაკომპლექტება სათანადო კვალიფიკაციის, დარგის გამოცდილების, ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების, სამართლებრივი ბაზის ცოდნის დონის გათვალისწინებით,
 - პარტნიორის და საჭიროების შემთხვევაში ხარისხის შემოწმებელი პირის სათანადო ჩართვა;
 - აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტების მონაწილეობა
 - შეთანხმებულ ვადებში სამუშაოს შესრულება
- აღწერეთ თქვენი ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეხება ინტერესთა კონფლიქტების დარეგულირებას.

პერსონალის მართვა

აღწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც არეგულირებს პროფესიული პერსონალის დაქირავების საკითხებს

აღწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ადგენს ფირმის ფარგლებში სხვადასხვა დონის პა-

????????????????

სუხისმგებლობის შესაფერის საკვალიფიკაციო ნორმებს. ალწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეხება ფირმის პერსონალის მუშაობის შედეგების შეფასებას.

ალწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეხება ფირმის პერსონალის კარიერის განვითარებასა და დანინაურებებს.

ალწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც არეგულირებს პროფესიონალურ სფეროში ახალი თანამშრომლების აყვანის საკითხს.

ალწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეხება ფირმის პერსონალის საჭიროებების შესწავლას.

ალწერეთ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეხება რანგით უფროსი, გამოცდილი მუშაკების მიერ რანგით უმცროსი და ნაკლებად გამოცდილი მუშაკებასათვის რჩევა-დარიგებების. მიცემას.

პროფესიული ზრდა

ალწერეთ ფირმის პროფესიული ზრდის პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ:

უნყვეტი პროფესიული განათლების მინიმალური ნორმების დაკმაყოფილების მოთხოვნებს; დოკუმენტაციის წარმოებას,

რომელიც ადასტურებს, რომ ფირმის პერსონალი აკმაყოფილებს უნყვეტი პროფესიული განათლების მოთხოვნებს;

პერსონალისთვის აუდიტისა და აღრიცხვის სტანდარტებში, ფირმის პოლიტიკასა და ა.შ. მომხდარი ცვლილებების ინფორმირების საკითხებს (პროცედურებს).

ახალი პერსონალის სწავლების პროგრამას.

პერსონალისთვის ფირმის ეთიკისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკის ინფორმირების საკითხებს;

ალწერეთ, როგორ ხორციელდება პროფესიული განათლების პროგრამები ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებში.

ბარიბაჰის / აუდიტორული შემოწმების შესრულება

აქვს თუ არა თქვენს ფირმას აუდიტის და დაკავშირებული მომსახურები შესრულების მეთოდოლოგია/სახელმძღვანელო?

ხელმძღვანელობს თუ არა თქვენი ფირმა პროფესიული ორგანიზაციის მიერ გამოცემული სტანდარტებით? თუ კი, გათხოვთ დაასახელოთ ეს პროფესიული ორგანიზაცია.

რამდენად ედრება თქვენი ფირმის აუდიტის მეთოდოლოგია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს?

აქვს თუ არა ფირმას პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სამუშაო სრულდება სათანადო სამუშაო პროგრამების შესაბამისად, ხოლო გადაცდომების შესახებ დროულად ეცნობება შესაბამის პარტნიორს/მენეჯერს?

მოითხოვს თუ არა თქვენი ფირმა სტანდარტიზებული ფორმების, საკონტროლო საკითხთა უწყისებისა და კითხვარების გამოყენებას?

აქვს თუ არა ფირმას წერილობითი სახელმძღვანელო, რომელიც ეხება:

შიდა კონტროლის, მათ შორის კომპიუტერული კონ-

ტროლის საშუალებების შეფასებას;

შიდა კონტროლის შეფასებასა და ძირითად ტესტებს, აუდიტორულ რისკსა და არსებითობის მოსაზრებებს შორის ურთიერთკავშირს;

ანალიტიკურ პროცედურებს;

არსებით ტესტირებას;

სამუშაო დოკუმენტების ფორმასა და შინაარსს.

აქვს თუ არა ფირმას აუდიტის შესრულების შესაფასებელი საკონტროლო საკითხთა უწყისების, რომელსაც ხელს აწერენ სათანადო პირები?

აქვს თუ არა ფირმას დოკუმენტირებული პროცედურები, რომელიც ეხება ანგარიშების, ფინანსური ანგარიშგებისა და სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვას?

აქვს თუ არა ფირმას პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამუშაო დოკუმენტები მომზადებული იყოს დოკუმენტის შინაარსისთვის დადგენილი სტანდარტული ნიმუშის შესაბამისად?

ალწერეთ სამუშაო ქალაქების ფაილები (საქმეები) წარმოების სისტემა თითოეული გარიგებისთვის?

აქვს თუ არა ფირმას ტიპიური დოკუმენტაციის ნიმუშების ბაზა?

ალწერეთ ფირმის პოლიტიკა არქივაციასთან მიმართებაში.

ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემა

ალწერეთ, როგორ ხდება თქვენი ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის შესაბამისობის უზრუნველყოფა სტანდარტის მოთხოვნებთან. სტანდარტის მიხედვით ხარისხის კონტროლის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდნ შემდეგ მოთხოვნებს:

• ფირმაში ხელმძღვანელის ან უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს პასუხისმგებლობა ხარისხის კონტროლზე (კომპანიის) შიგნით

• ეთიკური მოთხოვნები

• კლიენტის მიღება, მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა და სპეციფიკური გარიგებები

• ადამიანური რესურსები

• გარიგების განხორციელება

• მონიტორინგი

ფირმაში ხელმძღვანელის ან უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს პასუხისმგებლობა ხარისხის კონტროლზე (კომპანიის) შიგნით

ალწერეთ ფირმის პროცედურები რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ფირმამ(კომპანიამ) უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მიმართული იქნება შინაგანი კულტურის წარმოქმნისკენ, რაც თავის მხრივ დაეფუძნება ხარისხის არსებითობას შეთანხმებათა შესრულებისას. ასეთი პოლიტიკა და პროცედურები უნდა ითხოვდეს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორისგან (ან ალტერნატიული ფიგურისგან), ან თუ მიზანშეწონილია, ფირმის(კომპანიის) პარტნიორთა მმართველი საბჭოსგან, აილოს საბოლოო პასუხისმგებლობა ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემაზე.

ალწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ნებისმიერ პირს, ან პირთა ჯგუფს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ოპერაციული პასუხისმგებლობა ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემაზე კომპანიის აღმას-

რულებელი დირექტორის ან პარტნიორთა მმართველი საბჭოს მიერ, უნდა გააჩნდეთ საკმარისი, შესაბამისი გამოცდილება და აუცილებელი უფლებამოსილება, რათა აიღონ ასეთი პასუხისმგებლობა.

ეთიკური მოთხოვნები

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ფირმამ(კომპანიამ) უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შექმნილი იქნება იმ მიზნით რომ მოიპოვოს მართლზომიერი მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია და მისი პერსონალი აკმაყოფილებს მნიშვნელოვან ეთიკურ მოთხოვნებს.

კლიენტის მიღება, მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა და სპეციფიური გარიგებები.

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები კლიენტის მიღების, მასთან ხანგრძლივი ურთიერთობის და სპეციფიურ გარიგებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მართლზომიერ მტკიცებულებას რომ, გარიგებები (აუდიტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება) ხორციელდება ან გრძელდება მხოლოდ შემდეგი მოთხოვნების უზრუნველყოფის პირობებში:

- ხორციელდება კლიენტის პატიოსნების გათვალისწინება და არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც მიანიშნებს კლიენტის არამართლზომიერ ქმედებაზე.

- კომპანიას გააჩნია შესაბამისი კომპეტენტურობა, ტექნიკური და ადამიანური რესურსები

- აკმაყოფილებს ეთიკურ მოთხოვნებს

ფირმის მიერ უნდა ხორციელდებოდეს ინფორმაციის მოპოვება რომელიც შესაბამისია და აუცილებელია ახალი კლიენტის აქცეპტირებისთვის, არსებულ კლიენტთან ურთიერთობების გაგრძელებისთვის და არსებულ კლიენტთან ახალი ტიპის გარიგების დადებისთვის. როდესაც დაფიქსირებულია გარკვეული საეჭვო ინფორმაცია და ფირმა გადაწყვეტს კლიენტთან ურთიერთობის გაგრძელებას, მაშინ უნდა მოხდეს დოკუმენტირება თუ როგორ მოხდა საეჭვო ინფორმაციის გავლენის ანუ აღიქვამა.

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

თუ კომპანია მოიპოვებს ინფორმაციას, რომელიც გამოიწვევდა გარიგების დაუდებლობას, იმ შემთხვევაში, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო უფრო ადრე, მაშინ, გარიგების გაგრძელების და კლიენტთან ურთიერთობის პოლიტიკისა და პროცედურების განხილვის საგანი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- სიტუაციის შესაბამის პროფესიულ და იურიდიულ პასუხისმგებლობას, მათ შორის მოეთხოვება თუ არა კომპანიას რომ ჩააბაროს ანგარიში იმ პიროვნებას ან პიროვნებებს, რომელმაც დანიშნა კომპანია ამ გარიგების შესასრულებლად, ან დამატებით სხვა შემთხვევაში, ჩააბაროს ანგარიში მარეგულირებელ ორგანოებს, და

- კომპანიის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესაძლებლობას ან კომპანიის მიერ ხელშეკრულების და კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობას.

ადამიანური რესურსები

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მისცემს მას მართლზომიერ მტკიცებულებას, რომ კომპანიას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო და შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობები, კომპეტენცია და ეთიკური პრინციპების დაცვით მზად არიან შეასრულონ სამუშაო პროფესიული სტანდარტებისა და საკანონმდებლო და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, რათა კომპანიას ან გარიგების პარტნიორს შესაძლებლობა მიეცეს, გასცენ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი ანგარიში.

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ეთიკური სამუშაოს შესრულებისას, კომპანიამ უნდა გადაანალიზოს პასუხისმგებლობა შესაბამის გარიგების პარტნიორზე. კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ხელშეკრულების პარტნიორის ვინაობა და ფუნქცია უნდა იქნეს გაცნობილი კლიენტის უფროს მენეჯმენტს და ხელმძღვანელ პირებს;

- ხელშეკრულების პარტნიორი უნდა ფლობდეს შესაბამის ტექნიკურ შესაძლებლობებს, კომპეტენციას, უფლებამოსილებასა და დროს იმისთვის, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო, და

- ხელშეკრულების პარტნიორის მოვალეობები გარკვევით უნდა განისაზღვროს და ეცნობოს პარტნიორს.

ასევე გარიგების შემსრულებელი ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს სათანადო პერსონალით, რომელიც ფლობს შესაბამის ტექნიკურ შესაძლებლობებს, კომპეტენციასა და დროს იმისთვის, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაოები პროფესიული სტანდარტებისა და საკანონმდებლო და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, რათა კომპანიას ან გარიგების პარტნიორს შესაძლებლობა მიეცეთ რომ გასცენ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი რეპორტი.

მონიტორინგი

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს პროცედურები და პოლიტიკა რომელიც უზრუნველყოფს მართლზომიერ მტკიცებულებას იმისა, რომ კომპანიის ხარისხის კონტროლის პროცედურები არის რელევანტური, ადეკვატური, ოპერირებისას ეფექტური და შესაბამისობაშია პრაქტიკის მოთხოვნებთან. ასეთი პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს მიმდინარე ანალიზს და შეფასებას ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემისა, რომელიც მოიცავს დასრულებული გარიგებათა ფაილების შემოწმებას.

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

კომპანიამ უნდა შეაფასოს მონიტორინგის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების ეფექტი, ამასთან, უნდა შეაფასოს შემდეგი:

- აღმოჩენილი ფაქტები არ მიანიშნებს რომ ფირმის ხარისხის კონტროლის პროცედურები არასათანადოა იმის უზრუნველყოფისთვის, რომ კომპანიამ განახორციელოს მომსახურება პროფესიული სტანდარტებისა

????????????????

და საკანონმდებლო და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად; ასევე კომპანიას ან გარიგების პარტნიორს შესაძლებლობა მიეცეთ რომ გასცენ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი რეპორტი.

• ეს ნაკლოვანება წარმოადგენს სისტემატურ, მნიშვნელოვან ნაკლოვანებას და იგი მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას.

კომპანიამ უნდა მოახდინოს შესაბამისი პარტნიორთან და პერსონალთან დაკავშირება, რათა მიანოდოს მათ საჭირო ინფორმაცია აღმოჩენილ ნაკლოვანებასა და გამოსწორების გზებზე.

ყველა სახის აღმოჩენილი ნაკლოვანებისთვის უნდა იქნეს განუყოფელი შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- გამოსწორების გზები კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებით;
- ტრეინინგის პროცესში ნაკლოვანების გათვალისწინება;
- ხარისხის კონტროლის სისტემაში შესატანი ცვლილება, და
- დისციპლინარული სანქციები ფირმის შიგნით დამრღვევის წინააღმდეგ.

წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს ხარისხის კონტროლის მონიტორინგის შედეგების გაცნობა პარტნიორებისთვის, შესაბამის პერსონალისთვის, მმართველი პარტნიორისთვის და მმართველი ორგანოებისთვის. ასეთი სახის კომუნიკაცია უნდა უზრუნველყოფდეს მათი მხრიდან გამოსწორების პროცედურების განხორციელებას წინასწარი განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

კომპანიას უნდა ჰქონდეს გააზრებული შესაბამისი პროცედურები, რათა ჩამოყალიბდეს ადეკვატური მიდგომები, როდესაც:

- ფირმას დაედება ბრალი მომსახურების განვიცასა პროფესიული და მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისა, და
- ფირმას დაედება ბრალი ხარისხის კონტროლის არაკმარისად უზრუნველყოფისთვის.

დოკუმენტირება

აღწერეთ ფირმის პროცედურები რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ფირმამ უნდა ჩამოაყალიბოს პროცედურები რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის თითოეული ელემენტის ოპერირების ასახვასა და მტკიცებულებას.

აღწერეთ ფირმის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტანდარტის შემდეგ მოთხოვნას:

ეს კითხვარები დაეგზავნათ აუდიტორულ ფირმებს და კითხვარების ანალიზის მიხედვით, პირველად საქართველოში შეიქმნა სურათი აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის შესახებ.

აუდიტის ხარისხის კონტროლის კითხვარების შემდგომი დასკვნა

ხარისხის შემოწმების მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენებით აუდიტორული ფირმების შემოწმება.

ამის შემდეგ მოხდა აუდიტის ხარისხის შემოწმების მეთოდოლოგიის შემუშავება და მის საფუძველზე შემუშავდა ახალი კითხვარები. ამ ახალი კითხვარებით უკვე მოხ-

დება გასვლითი შემოწმებების ჩატარება აუდიტორულ ფირმებში. ეს ახალი კითხვარი დაყოფილია ორ ნაწილად:

პირველი არის აუდიტის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმძღვანელოს არსებობა და მისი შესაბამისობა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან. კითხვარი შეიცავს 45 კითხვას.

კითხვები შეიცავს ზოგად პრინციპებს და მიდგომებს, რომლებიც გამომდინარეობს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის კონტროლის სტანდარტის მოთხოვნებიდან:

სახელმძღვანელოში მითითებულია თუ არა აუდიტის ძირითადი მიზნები;

მოთხოვნილია შესაბამისობა პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსთან და შესაბამის პრონციპებთან (დამოუკიდებლობა, პატიოსნება, ობიექტურობა, კომპეტენტურობა, კონფიდენციალურობა, პროფესიული ქცევა);

სახელმძღვანელო მოითხოვს აუდიტის ჩატარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

სახელმძღვანელო განსაზღვრავს აუდიტის პარტნიორის მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს ასევე განსაზღვრავს აუდიტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დოკუმენტურად გაფორმების წესებს.

მეორე კითხვარი ეხება აუდიტორულ პროცედურებს და მათ შესაბამისობას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან. კითხვარი შეიცავს 51 კითხვას. თითოეული კითხვასთან არის მინიშნება რომელ საერთაშორისო აუდიტის სტანდარტისგან გამომდინარეობს და/ან მოთხოვნა. კითხვარი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ჩატარდა და დოკუმენტურად გაფორმდა კლიენტის აყვანა/მენარჩუნების პროცედურები;
- კლიენტთან დადებულია და შესაბამისად გაფორმდა გარიგების წერილი/კონტრაქტი;
- განსაზღვრულია აუდიტორული რისკი და არსებითობის დონე, რაც დოკუმენტურად არის გაფორმებული

მოხდა აუდიტის დაგეგმვის დოკუმენტურად გაფორმება, რაც მოიცავს აუდიტის პარტნიორის მიერ დადასტურებულ გეგმას აუდიტის სტრატეგიაზე, მამტაბზე, შესწავლილ რისკებსა და მათ საპასუხო ქმედებებზე, შერჩეული ტესტირების მეთოდებზე.

სამუშაო დოკუმენტებში მოცემულია: სათაური, ჩატარებული პროცედურების მიზანი; ჩატარებული სამუშაოს აღწერა, დასკვნა, შედეგის თარიღი, შემდგენის და შემოწმების ვინაობა.

აუდიტორული დასკვნა შედგენილია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და რეალობის გათვალისწინებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევა, ასევე ჩატარებული ხარისხის კონტროლის გამოკითხვები და შემოწმებები გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველებს:

- იმისა, რომ აუდიტორული მომსახურება შედარებით ახალი დარგია საქართველოში, მან დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი საქარველოს ბიზნეს წრეებში და გააჩნია მნიშვნელოვანი პერსპექტივები განვითარებისათვის.

• ბოლო წლებში აუდიტორული საქმიანობა და მომსახურება იზრდება მინიმუმ 25%-ით წელიწადში, რაც იმის დასტურია, რომ ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიორები და საბანკო წრეები სულ უფრო ენდობიან აუდიტორებს და უკვეთავენ მათ მომსახურებას.

• მნიშვნელოვნად იზრდება საინიციატივო აუდიტორული მომსახურების წილი სავალდებულო (საკანონმდებლო) აუდიტთან შედარებით.

• ახალი კანონმდებლობის მიღება აუდიტის და ბუღალტერიის სფეროში, რომელიც განხორციელდა 2012 წელს, არის მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განვითარებისა და მისი ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფისთვის.

• საქართველოში მოქმედი აუდიტორული დიდი ოთხეულის კომპანიებს (KPMG, Deloitte, Ernst and Young, PriceWaterhouseCoopers) შესაბამისობაში აქვთ აუდიტორული მომსახურების ხარისხი და მისი კონტროლის სიტემა როგორც, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე, აუდიტის ხარისხის კონტროლის სტანდარტთან და მათ შიდა მოთხოვნებთან.

• საქართველოში მოქმედი საერთაშორისო აუდიტორულ ქსელებში განეწვრიანებულ აუდიტორულ კომპანიებს (Baker Tilly Georgia, BDO Georgia, PKF Georgia, Crowe Horwath Georgia, Grant Thornton Georgia) ძირითადად, შესაბამისობაში აქვთ აუდიტორული მომსახურების ხარისხი და მისი კონტროლის სიტემა, როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე, აუდიტის ხარისხის კონტროლის სტანდარტთან და მათ შიდა მოთხოვნებთან.

• საქართველოში მოქმედ ქართულ საშუალო და მცირე აუდიტორულ კომპანიების უმეტესობაში არ არის შესაბამისობაში აუდიტორული მომსახურების ხარისხი და მისი კონტროლის სიტემა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან და აუდიტის ხარისხის კონტროლის სტანდარტთან.

• მათ დაჭირდებოდათ მნიშვნელოვანი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების მობილიზება, რათა მიიღონ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ზოგადად IFAC-ის მოთხოვნებს აუდიტორული მომსახურების ხარისხის დაკმაყოფილების კუთხით.

• ჩვენს მერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საყოველთაოდ მიღებული „ჭეშმარიტება“, რომ რაც უფრო დიდია აუდიტორული კომპანია, გამომდინარე მათი ტექნიკური, ფინანსური და ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან, მით უკეთესია მომსახურების ხარისხი, ყოველთვის არ არის სწორი, რადგან ეს დამოკიდებულია კონკრეტულ აუდიტორულ კომპანიაზე, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ განვითარებაზე და აუდიტორული საქმიანობის რეგულირებაზე.

• აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის ამაღლება და შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის სანდოობის ამაღლება ხელს შეუწყობს საფონდო (ფასიანი ქაღალდების) ბირჟის განვითარებას (რადგან საქართველოში ბიზნესი დღეს საბანკო სექტორიდან გამოყოფილ კრედიტების შემყურეა და მეორე დიდი სტიმული საფონდო ბირჟა თითქმის ვერ ფუნქციონირებს) და შესაბამისად იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

• აუდიტორული მომსახურების ხარისხის განვითარება მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფოსათვის, რათა მას ჰქონდეს ადეკვატური ფინანსური ინფორმაცია, სწორად დაგეგმოს და შეაგროვოს საგადასახადო შემოსავლები.

• მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული კომპანიებისათვის უნდა იყოს პროპორციული მოთხოვნა ხარისხის კონტროლის შემომწმებისათვის და მათთვის უნდა შემუშავდეს ხარისხის კონტროლის შემომწმების სპეციალური მეთოდოლოგია.

• უნდა მოხდეს ხარისხის კონტროლის სისტემების გაცნობა და ტრენინგების ჩატარება საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიების ხელმძღვანელებისა და იქ მომუშავე აუდიტორებისათვის.

• აუდიტორების შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აუდიტორის **დამოუკიდებლობას** და მის **კომპეტენტურობას**.

• უნდა განვითარდეს კორპორატიული კულტურა ქართულ აუდიტორულ კომპანიებში.

• ასევე რეგულარულად უნდა მოხდეს აუდიტის პარტნიორების და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და განვითარება.

• უნდა განვითარდეს აუდიტორული შემომწმების პროცესი (მეთოდოლოგია).

• უნდა ამაღლდეს აუდიტორული დასკვნის რეალურობა და სარგებლიანობა ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისათვის.

თეიმურაზ ფარცხალაძე,
ოსუ ეკონომიკის და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არენს, რანდალ, ბეასლი „ აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება, 2006 წ.
2. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია „აუდიტის ტექნიკური დოკუმენტები, საერთაშორისო სტანდარტები. თბილისი, 2005 წ. ევროკომისია „მწვანე ფურცლები“ 2009.
3. www.ifac.org; 4. www.ifrs.org; 5. www.gfpaa.ge

ABSTRACT

Temuri Partskhaladze –
Doctorate at Tbilisi State University

The issue of the audit audit quality is very important for Investors, Government bodies, business communities in Georgia as for the developing country.

In the article we provide research about audit service quality in Georgia and make conclusions and recommendation for future developments.

როგორ გამოვიანბაროთ სადაზღვევო პრემია



სადაზღვევო პრემია, ანუ სადაზღვევო შენატანი არის დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის გადასახდელი თანხა, რომელიც გამიზნულია მზღვეველის მიერ მისთვის განუღლი სადაზღვევო მომსახურების ხარჯებისა და სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზარალის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში ასანაზღაურებლად. ამდენად, დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანი (პრემია) უნდა ფარავდეს კომპანიის ხარჯებს (როგორცაა: თანამშრომლების ხელფასი, საკომისიო ანაზღაურებანი, შენობის იჯარის გადასახადი და სხვ.) და უზრუნველყოფდეს მის მოგებას, იყოს მზღვეველის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების გარანტი.

ნათო კაკაშვილი,
თსუ, პროფესორი

სადაზღვევო მომსახურების ფასი – განსაზღვრავს დაზღვევის ტარიფს, რომელიც წესდება სადაზღვევო თანხის ერთეულზე, განსაზღვრულ დროში. ტარიფის ეკონომიკური საფუძველი არის სადაზღვევო მომსახურების თვითღირებულება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სადაზღვევო ფონდის საშუალებებზე და საქმის წარმოების ობექტურ მოთხოვნებზე.

სადაზღვევო ტარიფის შინაარსი და სტრუქტურა განსაზღვრება დაზღვევის არსიდან გამომდინარე.

სადაზღვევო-ეკონომიკური ურთიერთობები ფუნქციონირებს მხოლოდ შემთხვევითი საშიშროებების არსებობის მიზეზით და აქვს კომერციული მოგების მიღების შესაძლებლობა, რაც აქტუარებს აიძულებს გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ რეალური დანაკარგები, პირველ რიგში, შემთხვევითია, და მეორე, შეიძლება იყოს სხვადასხვა სიხშირის (ალბათობის). უფრო სწორად, წელიწადში შეიძლება მოხდეს 100 ან 200 შემთხვევითი ზარალი. ამასთან, მათი ერთობლივი მოცულობა შეიძლება იყოს განსხვავებული.

მთლიანი დანაკარგი 100 სადაზღვევო შემთხვევიდან შეიძლება იყოს:

- ნაკლები 200 სადაზღვევო შემთხვევის ზარალის ღირებულებაზე;
- 200 ზარალის ოდენობაზე მეტი;
- 200 ზარალის მოცულობის ტოლი.

აქედან გამომდინარე აქტუარები სადაზღვევო ტარიფში ითვალისწინებენ ორ ნაწილს: **საშუალო სტატისტიკური ზარალს** წლის განმავლობაში მოსალოდნელ საფრთხეებზე დაკვირვების შედეგად და **სარისკო დანამატს**.

თუ კი ფაქტიური დანაკარგების მაჩვენებელი აღმოჩნდება საშუალო სტატისტიკურის ტოლი, მაშინ, მზღვეველს ეყოფა რეზერვები მთელი პორტფელის ზარალის დასაფარად. თუ ფაქტიური აღმოჩნდება ნაკლები საშუა-

ალოზე, მაშინ, კომპანიას ექნება ეკონომია გადახდებზე, რომელსაც იგი გამოიყენებს შემდეგ პერიოდში. ხოლო, თუ ფაქტიური მაჩვენებელი იქნება საშუალოზე მაღალი, მაშინ, მზღვეველს რეზერვები არ ეყოფა ზარალის ასანაზღაურებლად. ასეთ სიტუაციაში, გადახდისუნარიანობის პრობლემა რომ არ შეიქმნას, აქტუარები ითვალისწინებენ სწორედ სადაზღვევო ტარიფის მეორე ნაწილს – **სარისკო დანამატს**. სარისკო დანამატით წარმოიქმნება რეზერვის ის ნაწილი, რომლითაც შეძლებს კლიენტების წინაშე წარმოშობილი ვალდებულებების დაფარვას. ამდენად, სადაზღვევო ზარალის შემთხვევითი და ალბათობითი ხასიათი მზღვეველებს აიძულებს ტარიფში ჩართონ ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს იმ ზარალის გადაფარვას, რომელიც გადააჭარბებს საშუალო მაჩვენებელს.

სარისკო დაზღვევაში სადაზღვევო ეკონომიკური ურთიერთობები ფუნქციონირებს ზარალის ჩაკეტილი და სოლიდარული განაწილების პრინციპით. ზარალის ანაზღაურება დაზღვევაში ხორციელდება **კოოპერატივის პრინციპით**. დამდგარი შემთხვევებით მიღებული ზარალის გადანაწილებით ყველა დაზღვეულზე. ამიტომ, სადაზღვევო ტარიფის ნეტო ნაწილი გამრავლებული დაზღვეულთა რიცხვზე საკმარისი უნდა იყოს სადაზღვევო რეზერვების შესაქმნელად. დაზღვევაში რეზერვების მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს სადაზღვევო კომპანიის ვალდებულებებს იმ კლიენტების წინაშე, რომლებიც იხდიან შენატანებს ტარიფის ზაზაზე და იღებენ ანაზღაურებას პრინციპით: **„ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“**. სადაზღვევო შენატანი უნდა გადაიხადოს ყველა დაზღვეულმა, ხოლო ანაზღაურება ზარალისათვის უნდა მიიღოს იმ ნაწილმა, რომელთა დაზღვეული ინტერესების დაზარალებაც მოხდა გარეგნის ფარგლებში.

სადაზღვევო ურთიერთობები რეალიზდება დრო-ისა და სივრცის მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში. დაზღვევის ფასი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლიენტებისთვის. ამასთან, მომგებიანი სადაზღვევო ეკონომია კარნახობს მზღვეველს, რომ დაზღვეულთან შეთანხმოს ვადები და ტერიტორიები, რომლებსაც მოიცავს დაზღვევა. აღნიშნული მოთხოვნები რეალიზდება დაზღვევის ტარიფის შესაბამის გამოხატულებაში, რომლებიც სადაზღვევო შენატანების სახით გადაიქცევა სადაზღვევო რეზერვის შესაბამის ნაწილად.

სადაზღვევო-ეკონომიკური ურთიერთობების არსი მდგომარეობს სადაზღვევო შენატანების დაბრუნებადობის პრინციპში. მას ასევე უწოდებენ გარიგების მონაწილე მხარეების ინტერესების ექვივალენტურობის პრინციპს.

სადაზღვევო პრაქტიკაში მიმართავენ სადაზღვევო პრემიების (შენატანების) სხვადასხვა სახეებად (ჯგუფებად) დაყოფას. ძირითად საკლასიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს დანიშნულება.

დანიშნულების მიხედვით სადაზღვევო შენატანი იყოფა **სარისკო პრემიად, ნეტო-პრემიად, შემნახველ (დამაგროვებელ) შენატანად, საკმარის შენატანად, ბრუტო-პრემიად** (სატარიფო განაკვეთი).

სარისკო პრემია ეს არის სუფთა ნეტო პრემია ანუ ფულადი სადაზღვევო შენატანის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია რისკის დასაფარად. ის დამოკიდებულია სადაზღვევო შემთხვევების ალბათობის ხარისხზე, კონკრეტულ სიტუაციაზე, სადაზღვევო ობიექტზე, რისკის გამოვლენის დროსა და ადგილზე.

ნეტო-პრემია სადაზღვევო შენატანის ნაწილია, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო გადახდებისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში დამზღვევის ამა თუ იმ სახეობებისთვის.

ნეტო-პრემია ნორმალურ პირობებში სარისკო პრემიის ტოლია, თუ არ შეიძლება რისკის გეგმური განვითარება. პრაქტიკაში რისკის გეგმური განვითარების სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ადგილი ექნეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით გადახრებს. ამიტომ სიტუაციის უარყოფითი მიმართულებით განვითარების (რისკების მოსალოდნელი გაზრდის) შემთხვევაში სარისკო პრემიას ამატებენ ე.წ. საგარანტიო ანუ სტაბილიზაციურ დანამატს და მიღებული ჯამი განსაზღვრავს ნეტო-პრემიის სიდიდეს.

შემნახველი (დამაგროვებელი) შენატანი გამოიყენება სიცოცხლის დაზღვევაში, სადაზღვევო ხელშეკრულების დროის გასვლის შემდეგ სადაზღვევო გადახდების დაფარვისას. მისი ოდენობა იცვლება დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ხდება შენატანის დაგროვება. ადამიანში ფულის დაგროვების სურვილი ქმნის სხვადასხვა სახის დამაგროვებელ დაზღვევას და შემნახველ შენატანებს, მაგრამ მიზანშეწონილია დაგროვების ფუნქციიდან გამოვყოთ კონკრეტული რისკის დაზღვევა. ამიტომ, დაზღვევის პირობებში უნდა გავითვალისწინოთ **სარისკო პრემია** და **შემნახველი შენატანი**, რითაც შევინარჩუნებთ ნეტო-პრემიას დაზღვევით გათვალისწინებული მთელი დროის განმავლობაში. **საკმარისი შენატანი** შედგება ნეტო-პრემიისა და დატვირ-

თვის ხარჯების ჯამისგან, რომელიც ჩართულია მზღვეველის ხარჯებში. **ბრუტო-პრემია** – ეს არის მზღვეველის სატარიფო განაკვეთი, რომელიც შედგება საკმარისი შენატანებისგან და დანამატისგან ისეთი ხარჯების დასაფარად, რომელიც დაკავშირებულია გამაფართოებელი ღონისძიებების ჩასატარებლად, რეკლამისათვის, დამატებითი ელემენტი, რომელიც ჩართულია ბრუტო-პრემიაში, იწვევს სატარიფო განაკვეთის გაზრდას.

საოჯახო მეურნეობებისთვის სადაზღვევო ტარიფი არის ძალიან რთული წარმონაქმნი, რაც განაპირობებს მისი ეკონომიკური არსისა და გააზრების მრავალფეროვან მიდგომებს.

სადაზღვევო ტარიფი – ეს არის აქტუარულ თეორიებზე დაყრდნობით მათემატიკურად დათვლილი დაზღვევის საბაზისო ტარიფი, სადაზღვევო პროდუქტის სავარაუდო მოცულობა გამოხატული ფულად ფორმაში, რომელიც გამოითვლება მეცნიერული პროგნოზის საფუძველზე დაზღვევის ერთეულზე ან მთელ სადაზღვევო მოცულობაზე.

სადაზღვევო ტარიფის არსებითი მახასიათებლებია:

1. **ფულადი ფორმა** – ეს არის ყველა ფასის ნიშანი.

2. **ამ ფასის სავარაუდო მნიშვნელობა** – „სავარაუდო“ ნიშნავს, რომ ფასის თეორიულად დათვლილი მოცულობა შეიძლება დაემთხვეს ფაქტიურს და შეიძლება არც დაემთხვეს – აღმოჩნდეს უფრო მაღალი ან დაბალი.

3. **მეცნიერული პროგნოზის საფუძველზე დათვლილი ნიშნავს**, რომ მზღვეველს არ აქვს საბაზისო მეცნიერული ინსტუმენტები იმისთვის, რომ ზუსტად განსაზღვროს პროდუქტის ფასი, მისი თვითღირებულება და მოგება.

მზღვეველს გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომით გამოწვეული ზარალის მოცულობის განსასაზღვრავად აქვს აქტუარული გათვლების თეორია, რომელიც წარმოადგენს შემთხვევითობის თეორიასა და მათემატიკური სადაზღვევო სტატისტიკის თეორიის სინთეზს. აღნიშნული თეორია შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ თვითღირებულებისა და მოგების მხოლოდ დაახლოებითი, მოსალოდნელი მნიშვნელობები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო ტარიფი შეუძლებელია იყოს კომერციულ დაზღვევაში საბოლოო საბაზრო ფასი. ნებაყოფლობით დაზღვევაში სადაზღვევო ტარიფი არის წინასწარი, მიახლოებითი ფასი ცდომილებებით. სადაზღვევო პროდუქტის საბოლოო ფასი განისაზღვრება ბაზარზე საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორის ზემოქმედების შედეგად და ღებულობს სადაზღვევო შენატანის (პრემიის) სახელს. პოტენციურ კლიენტებსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ფასის შეთანხმების ვალდებულებების ფაქტი საშუალებას იძლევა ჩამოვაცალიბოთ სადაზღვევო ტარიფის განმარტება: სადაზღვევო ტარიფი ეს არის მეცნიერულ გათვლებზე დამყარებული, გარიგების მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმებული ფულადი ვალდებულებების სავარაუდო მოცულობა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო სისტემისა და სადაზღვევო ტარიფის ფაქტიური საბაზრო ფასის ფორმირების ძირითად ეკონომიურ ბაზისს.

სატარიფო განაკვეთის განსაზღვრა სადაზღვევო



ურთიერთობების ძირითადი ელემენტი. ნებისმიერ სადაზღვევო მომსახურებას აქვს ფასი, რომელიც გამოსახება სადაზღვევო შენატანში (პრემია), რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს. დაზღვევის პრემია დგინდება ხელშეკრულების გაფორმების მომენტში და რჩება უცვლელი მისი მოქმედების ვადის განმავლობაში. სადაზღვევო მომსახურების რეალური ღირებულება არის ის, რომ თუ დადგა სადაზღვევო შემთხვევა, მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევისაგან მიყენებულ ზარალს. ვინაიდან სადაზღვევო საქმიანობა ორიენტირებულია მოგებაზე, სადაზღვევო ტარიფი მოიცავს საქმის წარმოების ხარჯებისა და მოგების უზრუნველყოფის ღირებულებასაც.

სადაზღვევო პრემიის სიდიდემ უნდა უზრუნველყოს: დაზღვეულის ზარალის ანაზღაურება მთლიანად ან ნაწილობრივ; დაზღვეულის რეზერვების შექმნა; მოგების ფორმირება.

სადაზღვევო მომსახურების ფასი, როგორც ყველა საბაზრო ფასი მოთხოვნა-მიწოდების კანონების მოქმედებით ცვალებადია. იგი იცვლება განსაზღვრულ ინტერვალში, რომლის ქვედა ზღვარი განისაზღვრება ტოლობით:

სადაზღვევო შემოსულობები = სადაზღვევო ანაზღაურება + კომპანიის ხარჯები.

ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში კომპანია მოგებას ვერ მიიღებს.

პრემიის ზედა ზღვარი განისაზღვრება მოთხოვნის სიდიდისა და საბანკო პროცენტის მიხედვით. სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა იწვევს ფასების ზრდას, შედეგად ბაზარზე გამრავლება კონკურენტი კომპანიები და ფასებიც თანდათანობით გამოთანაბრდება.

დამზღვევების მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია აკუმულირდება სადაზღვევო კომპანიაში და ინვესტირდება სხვადასხვა საქმიანობაში, მათ შორის კომერციული ბანკების დეპოზიტებზე. ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ბანკებს და სადაზღვევო ტარიფი შეარჩიოს ისეთი, რომელიც გავლენას მოახდენს კლიენტის არჩევანზე სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ. საინვესტიციო საქმიანობიდან შემსავლები ფარავს კომპანიის ხარჯებს და ხელს უწყობს მოგების ფორმირებას, რაც მზღვეველებს საშუალებას აძლევს შეამცირონ მომსახურების ფასი.

სადაზღვევო მომსახურების ფასი განისაზღვრება სპეციფიური ფაქტორებითაც, როგორებიცაა: სადაზღვევო კომპანიის მდგომარეობა, სადაზღვევო პორტფელის მოცულობა და სტრუქტურა, მმართველობითი ხარჯები, შემოსავლები და ა. შ.

სადაზღვევო ტარიფის აგება დამოკიდებულია წინა წლებში მიღებული ზარალის სიდიდეებზე, რომლის საფუძველზე გაინგარიშება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის სიხშირე, ალბათობა და ამის შემდეგ ზარალის საშუალო სიდიდე და მისი განაწილება, ანუ ხელშეკრულების თანახმად დამზღვევი იხდის სადაზღვევო პრემიას, რის საფუძველზე მას აქვს უფლება მიიღოს დაზღვევის თანხა შემთხვევის დადგომისას. ე.ი ალბათობისა და სადაზღვევო თანხის მიხედვით ნეტო პრემია

$$P = P * S \text{ (ექვივალენტურობის პრინციპი).}$$

სადაზღვევო ტარიფების გაანგარიშების ტექნიკა დაფუძნებულია მათემატიკურ კანონზომიერებებზე. სადაზღვევო ტარიფის შემდეგი ელემენტია დატვირთვა. პრაქტიკაში მიღებულია სატარიფო განაკვეთის სტრუქტურაში დატვირთვის წილი ნეტო-პრემიის 5%-დან 30%-მდე დაზღვევის სახეობების მიხედვით. დაზღვევის სხვადასხვა სახეობებისათვის დატვირთვის მოცულობა შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს ზემოთ დასახელებულისაგან. დატვირთვის ძირითადი ნაწილია სადაზღვევო საქმის წარმოების ხარჯები. საქმის წარმოების ხარჯები ანალიზის მიზნით იყოფა შემდეგ ნაწილებად:

საორგანიზაციო – სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნების ხარჯები;

აკვიზიციური – ხარჯები, რომლებიც დაავშირებულია ახალი დამზღვევის მოზიდვასთან. მისი ძირითადი ნაწილი იხარჯება სადაზღვევო ბროკერებისა და აგენტების საკომისიო გადახდელებზე;

საინკასაციო – ხარჯები, რომლებიც დაავშირებულია საანგარიშსწორებო მოქმსახურებასთან;

სალიკვიდაციო – ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ზარალის დასარეგულირებლად, სასამართლო ხარჯები, სამივილინებო ხარჯები, ექსპერტების მომსახურების ანაზღაურება და სხვა.

მმართველობითი – მოიცავს შრომის ანაზღაურების ხარჯებს, სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებს. ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, იჯარის, წარმომადგენლობითი ხარჯების, ამორტიზაციის ხარჯებს და სხვა.

გარდა ჩამოთვლილი ხარჯებისა, დატვირთვა შეიცავს ასევე სარეზერვო ფონდის ფორმირების ხარჯებს. დატვირთვის შემადგენელია მოგება – **გეგმიური მოგება**, შესრულებული საქმიანობისგან მიღებული მოგება. ბრუტო განაკვეთის სტრუქტურაში მოგების ელემენტების არსებობა ხაზს უსვამს სადაზღვევო საქმიანობის სამეწარმეო ხასიათს.

სადაზღვევო ტარიფის გაანგარიშებისათვის აუცილებელია პარამეტრები:

1. S_1, S_2, \dots, S_n – სადაზღვევო თანხა;
2. P_1, P_2, \dots, P_n – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა;
3. $\Pi_1, \Pi_2, \dots, \Pi_n$ – სადაზღვევო პრემია;
4. Z_1, Z_2, \dots, Z_n – ზარალის სიდიდე;
5. q_1, q_2, \dots, q_n – სადაზღვევო შემთხვევის არ დადგომის ალბათობა.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობის დასადგენად საჭიროა წინა წლების სტატისტიკური

ინფორმაცია. რაც მეტია საანალიზო პერიოდი, მით მეტია მონაცემები და უფრო ზუსტად განისაზღვრება რისკის ალბათობა. სადაზღვევო პრემია გადაიხდება დამზღვევის მიერ ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას რაღაც პერიოდის შემდეგ. აქედან გამომდინარე, მზღვეველს აქვს გარკვეული დრო, რომლის განმავლობაში შეუძლია მოახდინოს საშუალებების ინვესტირება და მიიღოს დამატებითი შემოსავალი. სადაზღვევო ხელშეკრულებაზე გადახდის სიდიდე შემთხვევითი სიდიდეა და შესაბამისად მთელ პორტფელზე გადახდების სიდიდეც შემთხვევითია. კომპანიის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა დამოკიდებულია სადაზღვევო ფონდის მოცულობაზე, რომელიც ფორმირდება სადაზღვევო პრემიისაგან. დაზღვევის თითოეულ სახეს აქვს თავისებურებანი, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო ობიექტის და სადაზღვევო შემთხვევის ხასიათზე.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ა. ცინცაძე, ნ. სვანიძე აქტუარული ანგარიშები დაზღვევაში თბ., 2009
2. გ. გიგოლაშვილი სადაზღვევო საქმე, თბ., 2010
3. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე, თბ., 2012
4. Балабанов И.Т., Балабанов А.И., Страхование. М., 2004;
5. Marsh Risk Management Research “Global insurance market quarterly breafing april 2013”
6. OECD “Global Insurance Market Trades” 2012
7. www.parliament.ge
8. www.nbg.ge

Abstract

THE THEORETICAL BASIS FOR THE CALCULATION OF INSURANCE PREMIUMS

NatoKakashvili - TSU Professor

Insured deposits are insured by the insurer for the insurance premium is the amount that the insurer intended by him for the costs of insurance and insurance services under the agreement for compensation for damage caused accidentally. The price of insurance services - setting insurance rates, the amount prescribed in insurance unit, specified period of time. Cost models include two groups of factors: a possible adaptation of the insurance risk (net -bet precautionary measures and exclusion) and a market area change (proceedings of the expense and profit) risk. Tariff for economic reasons is the cost of insurance services, the impact on the insurance fund and the means of production requirements. Insurance rates are determined by the content and structure of the essence of insurance.

მიმდინარე აქტივები

მიმდინარე აქტივების ნაწილს, რომელთა საშუალებით ხდება მიმდინარე ვალდებულებების განაღდება სწრაფად ლიკვიდური აქტივები ეწოდება. ესენია: ფულადი საშუალებები, დებიტორული ანგარიშები, მოკლევადიანი ინვესტიციები და თამასუქები. სასაქონლო-მატერიალური მარაგებიც მიმდინარე აქტივებს განეკუთვნება, მაგრამ ისინი ნაკლებად ლიკვიდურნი არიან და ლიკვიდურ და გრძელვადიან აქტივებს შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ.



ნატო გაბიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

ფულადი საშუალებები მიმდინარე აქტივებს შორის ყველაზე მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა. ისინი საწარმოს შეიძლება ჰქონდეს სალაროში ნაღდი ფულის სახით, ან ბანკში საბანკო ანგარიშებზე — ანგარიშსწორების ანგარიშზე ეროვნული ვალუტა და უცხოური ვალუტა სავალუტო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს იმაზე მეტი ფული აქვს, ვიდრე, საჭიროა მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად, მიზანშეწონილია სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების (განსაკუთრებით მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში) შექმნა. ოღონდ, ეს ფასიანი ქაღალდები უნდა აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან პირობას: ისინი არ უნდა განიცდიდნენ ფასების მნიშვნელოვან ცვლილებებს და ამასთანავე, შესაძლებელი უნდა იყოს მათი ადვილად რეალიზება. მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოკლევადიანი ინვესტიცია იქნება ლიკვიდური აქტივი.

მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები (ანუ დებიტორული თამასუქი) აძლევს უფლებას თამასუქის მფლობელს მოსთხოვოს სესხის ამღებს თამასუქში აღნიშნული თანხა განსაზღვრული ვადისთვის. თამასუქებით ანგარიშწორებას ის უპირატესობა აქვს კრედიტში ვაჭრობასთან შედარებით, რომ იგი წარმოადგენს შემოსავლის დამატებით წყაროს მასზე პროცენტის დარიცხვის გამო. გარდა ამისა შესაძლებელია თამასუქის გაყიდვა, ზოგ შემთხვევაში გასაყიდი ფასი შესაძლებელია ნომინალზე (თამასუქში დაფიქსირებულ სიდიდეზე) მეტიც კი იყოს.

მოკლევადიანი მოთხოვნები — დებიტორული ანგარიშები

საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდ ფულზე, როდესაც მყიდველი იხდის საფასურს მაშინვე და მიაქვს საქონელი, ისე კრედიტში.

ამ შემთხვევაში მყიდველი მაშინვე არ იხდის. იგი იღებს საქონელს და შესაბამის ანგარიშ-ფაქტურას, სადაც ჩამოთვლილია შეძენილი საქონელი, ფასი და ანაზღაურების პირობები. დარიცხვის (რეალიზაციის) პრინციპიდან გამომდინარე მყიდველის მიერ საქონლის მიღებისთანავე ფიქსირდება რეალიზაციიდან შემოსავალი და დებიტორული დავალიანება. არ არის საჭირო ფულის რეალურად მიღების ლოდინი. გაყიდვის მომენტისთანავე ანგარიშებში უნდა დავაფიქსიროთ **დებეტი** — დებიტორები, **კრედიტი** — შემოსავალი რეალიზაციიდან.

რასაკვირველია კრედიტში მოვაჭრე ფირმა დაინტერესებულია, რომ ყველა დებიტორმა გადაიხადოს. ამ მიზნით ფირმები ქმნიან სპეციალურ საკრედიტო განყოფილებებს, რომლებიც შეისწავლიან მყიდველების გადახდისუნარიანობას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს საკრედიტო განყოფილება, ყოველთვის მოიძებნება მყიდველი, რომელიც არ, ან ვერ გადაიხდის კრედიტს. თუ კლიენტი საეჭვოა და იგი გაქრა ვალის გადახდამდე ე.ი. იგი ამ ვალს საერთოდ არ გადაიხდის, ან თუ მყიდველი გამოცხადდა გაკოტრებულად, მაშინაც ნაკლებმოსალოდნელია ვალის გადახდა. თუ კლიენტს აქვს ფინანსური სიძნელეები, მაშინ, საეჭვო მან გადაიხადოს. იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმო არის სიტუაციაში, როდესაც ჩანს დებიტორი არ გადაიხდის ვალს, ასეთი დავალიანება ითვლება უიმედოდ და ხდება მისი ჩამონერა.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან ფულის მიღება შესაძლებელია მაგრამ საეჭვოა მან გადაიხადოს, ასეთი დავალიანება იწოდება **საეჭვო მოთხოვნად**. რადგან არის იმედი, რომ შეიძლება მყიდველმა გადაიხადოს, ამიტომ, საეჭვო მოთხოვნების ჩამონერა არ ხდება, მაგრამ სიფრთხილის პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი ვალი უნდა ცალკე იყოს გამოყოფილი და აღრიცხული. ეს ნიშნავს, რომ ზარალი მოსალოდნელი არ გადახდიდან უნდა

იყოს გათვალისწინებული, მაგრამ თვითონ ვალის თანხა დარჩება დებიტორის ანგარიშზე იმ შემთხვევისთვის, თუ ის მაინც გადაიხდის.

თუ დადგენილია, რომ ვალი უიმედოა, ხდება მისი ჩამონერა ზარალში გატარებით: **დებეტი** — ზარალი, **კრედიტი** — მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (ანუ დებიტორები).

საექვო ვალის შემთხვევაში მისი პირდაპირი ჩამონერა არ შეიძლება, ამიტომ არსებობს სპეციალური ანგარიში — **საექვო მოთხოვნების კორექტირება**. ამ ანგარიშზე იქმნება რეზერვი საექვო ვალების დაფარვაზე. მაგალითი: სანარმოს აქვს მოთხოვნები 350 000. გამოირკვა, რომ 10 000 ვალი არის უიმედო, ხოლო 30 000 საექვო. ბალანსში ასე გამოისახება: (10 000 პირდაპირ ჩამოინერა)

დებიტორი	340 000
საექვო მოთხოვნების კორექტირება	30 000
	310 000

შესაბამისად მოგება-ზარალის ანგარიშში გვექნება: საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები 30 000.

საექვო ვალების რეზერვის განსაზღვრას სარეალიზაციო მეთოდით საფუძვლად უდევს კრედიტში რეალიზებული საქონლის მოცულობა და გამოცდილება წინა წლებისა თუ რამდენი პროცენტი დებიტორული დავალიანებისა არ იქნება დაფარული. მაგალითად, თუ გაყიდულია საქონელი 100 000 ხოლო გამოცდილებით ვიცით, რომ 3% საექვო დავალიანებაა, მაშინ უნდა შეექმნათ რეზერვი $100\,000 \times 3\% = 3\,000$.

მეორე მეთოდია **დებიტორული დავალიანების ანალიზის მეთოდი**. ამ დროს ვადაგადაცილებული დავალიანება უნდა დაჯგუფდეს ვადის გადაცილების მიხედვით და ყოველ ჯგუფს უნდა განესაზღვროს დაუფარავი ნაწილის სავარაუდო პროცენტი.

მენეჯერისთვის მნიშვნელოვანია დებიტორულ ანგარიშთა ანალიზი განადგობის ვადების მიხედვით. ამისთვის უნდა შედგეს დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება თითოეული მყიდველის დავალიანება სულ და კლასიფიკაცია შემდეგი ჯგუფების მიხედვით: დავალიანების დაფარვის ვადა არ დამდგარა, ვადა გადაცილებულია 1-30 დღით, 31-60 დღით, 61-90 დღით, 90-ზე მეტი დღით. თუ ასეთი დოკუმენტი ხელთ ექნება მენეჯერს ყოველი თვის ბოლოს, ის ადვილად განსაზღვრავს შემდეგი თვის ამოცანებს და შესაბამის საკრედიტო პოლიტიკას. წინა წლების გამოცდილებიდან ხდება განსაზღვრა იმ პროცენტისა, რომელიც საექვოა რომ დებიტორმა დაფაროს. რაც უფრო მეტადაა ვადა გადაცილებული, მით უფრო საექვოა ვალის დაბრუნება. მაგ.: კომპანიის დებიტორული ანგარიშები:

		% რეზერვის თანხა	
დაფარვის ვადა არ დამდგარა	- 100 000	0.2	200
ვადა გადაცილებ. 1-30 დღით	- 30 000	1	300
ვადა გადაცილებ. 31-60 დღით	- 25 000	8	2 000
ვადა გადაცილებ. 60 დღ.მეტი	- 7 000	40	2 800
სულ	162 000		5 300

ე.ი. მოსალოდნელია, რომ 162 000 საერთო თანხიდან არ იქნება გადახდილი 5 300.

რეალურად ჩამონერილი დებიტორული ანგარიშების სიდიდე იშვიათად ემთხვევა წინასწარ შეფასებულს, როცა რეალურად ჩამონერილი თანხა მეტია, ვიდრე, წინასწარ შეფასებული, ანგარიშს ექნება დებეტური ნაშთი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — კრედიტული. თუ საექვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიშზე გვექნება დებეტური ნაშთი 500 ე.ი. რეალურად არ გადახდილი და ჩამონერილი დებიტორების ანგარიშების სიდიდეა 5 800, ამიტომ, საჭიროა კორექტირება — წინასწარ განსაზღვრული საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდა.

იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი, რომლის დავალიანებაც ჩამონერილი იყო როგორც საექვო, იპოვის საშუალებას და დაფარავს დავალიანებას, საჭიროა ჩამონერილი თანხის აღდგენა და შემდეგ ჩვეულებრივად დებიტორული დავალიანების დაფარვის ასახვა ანგარიშგებაში.

არსებობს დებიტორული ანგარიშების ჩამონერის პირდაპირი მეთოდი. ამ დროს არ იყენებენ საექვო ანგარიშების წინასწარი შეფასების მეთოდებს და საექვო ანგარიშებს ჩამონერენ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი სრულიად უიმედოდ ჩაითვლება.

პირდაპირი მეთოდი საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებიდან გამომდინარე არ ითვლება კარგ მეთოდად, რადგან ერთმანეთს ვერ უკავშირებს შემოსავლებსა და ხარჯებს, რის გამოც ირღვევა შესაბამისობის პრინციპი. ამ მეთოდის მიხედვით, საექვო ანგარიშებს, როგორც ხარჯებს, მიაკუთვნებენ იმ საანგარიშგებო პერიოდს, როცა მათ აღმოაჩენენ და არა იმ პერიოდს, როცა მოხდა რეალიზაცია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გამოთვლისას ითვალისწინებენ მხოლოდ დებიტორული ანგარიშების ჩამონერის პირდაპირი მეთოდის გამოყენების შედეგებს. ამიტომ, საგადასახადო მიზნებისთვის ახდენენ კორექტირებას, ფინანსურ ანგარიშგებაში კი ამჯობინებენ სააღრიცხვო პრინციპების დაცვას.

დებიტორულ ანგარიშთა სპეციალური სახე არის ვაჭრობა საკრედიტო ბარათების გამოყენებით. ამ დროს გამყიდველს ურთიერთობა აქვს არა უშუალოდ მყიდველთან, არამედ, საკრედიტო ბარათების გამომწვებ ორგანიზაციასთან. საკრედიტო ბარათების გამომწვები ყველაზე ცნობილი კომპანიებია: American Express, Diners Club International, Master Card, VISA.

მუნიციპალიტეტების განვითარების ტენდენციები საზღვარგარეთის ქვეყნებში

საზღვარგარეთის ქვეყნებში მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი და ტრადიციები. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უცხოეთში ხშირად მუნიციპალურ თვითმმართველობას უწოდებენ. საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ყველგან ადგილობრივი თვითმმართველობა მმართველობის დეცენტრალიზებული ფორმაა, რომელიც ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს საკუთარი ფინანსები, ქონება და მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი ბაზა გააჩნიათ.

1985 წლის 15 სექტემბერს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში მიღებულ იქნა ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ქარტიით დამტკიცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან გადაწყვეტილებები მიიღონ მათ მიერვე დემოკრატიული გზით არჩეული ორგანოების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ავტონომია მათი კომპეტენციის, ამ კომპეტენციის განხორციელებისა და ამისთვის აუცილებელი სახსრების მიხედვით.

ადგილობრივი თვითმმართველობები თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას ახდენენ საბჭოებისა და ანსაბლიების მიერ, რომლებიც, თავის მხრივ შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან.

აღნიშნული ქარტიით მკაცრად არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციის სფეროები. ადგილობრივ ორგანოებს კანონის ფარგლებში აქვთ სრული უფლება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილონ და გადაწყვიტონ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის საჭირო პროტო საკითხები.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, არის სრული და ექსკლუზიური, იგი არ შეიძლება იქნას შეზღუდული სხვა ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური მართვა.

საზღვარგარეთის ადგილობრივ თვითმმართველობებს საქართველოს თვითმმართველობების მსგავსად გააჩნიათ წარმომადგენლობითი (საკრებულოები) და აღმასრულებელი (გამგებოები) ორგანოები. ყველგან წარმომადგენლობითი ორგანოების ვალდებულებაა მიიღონ ადგილობრივი მნიშვნელობის კანონები თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო აღმასრულებელი ორგანოები ვალდებული არიან აღასრულონ მიღებული გადაწყვეტილებები. ადგილობრივი თვითმმართველობების ტიპური წარმომადგენლობითი ორგანოებია--საგრა-

ფოს საბჭო, გენერალური საბჭო, მუნიციპალური საბჭო, კომუნალური საბჭო და სხვა¹.

საზღვარგარეთის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის წესები განსხვავებულია. ადგილობრივ თვითმმართველობებში (თითქმის ყველგან) საარჩევნო უფლება აქვს მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და გარკვეული პერიოდის მანძილზე მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩეული შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი.

არჩევითო ორგანოების უფლებამოსილების ვადა მერყეობს 1-დან 6 წლამდე. არსებობს სახელმწიფოები, სადაც ადგილობრივი და უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები ირჩევა ერთდროულად. თითქმის ყველგან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საკანონმდებლო მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს სესია, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პერიოდულობით ტარდება. აშშ-ში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების სესია ტარდება კვირაში, ორ კვირაში, ან თვეში ერთხელ, საფრანგეთის დეპარტამენტში წელიწადში ორჯერ, გერმანიაში თვეში ერთხელ, ინგლისში კვარტალში ერთხელ, რუსეთში თვეში ერთხელ და ა.შ.

შვეციაში სახელმწიფო მმართველობა დაყოფილია სამ ნაწილად, ესენია; სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობა. შვეცია შედგება 24 რეგიონისგან, 23 ლანდსტინგისაგან (რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) და 288 კომუნისგან, მსგავსად სხვა ქვეყნებისა, შვეციაშიც ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ფუნქციები და კომპეტენციები განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გააჩნიათ საკუთარი ქონება და ფინანსები, ასე ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკმაოდ ფართო უფლებები. შვეციაში სახელმწიფო მმართველობის უმთავრეს რგოლს წარმოადგენს კომუნა. იგი არის ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომლის გამგებლობაში შედის შემდეგი საკითხები; ბუნების დაცვა,

1 www.nala.ge - საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი.

სამაშველო სამსახურის ორგანიზება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტექნიკური მომსახურება (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ენერგომომარაგება). კომუნები ახდენენ ასევე სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზებას, ისინი აფინანსებენ ბიუჯეტიდან მათ ხარჯებს, (ხარჯების ნაწილი ფინანსდება მშობლების შენატანებითაც). კომუნების ბიუჯეტით ფინანსდება ასევე სოციალურად დაუცველების შენახვაც.

აშშ შედგება 50 შტატისგან, მათ შორის ალიასკას და ჰავაის კუნძულები. თითოეულ შტატს გააჩნია მნიშვნელოვანი ხარისხის დამოუკიდებლობა. შტატები იყოფიან მხარეებად. თითოეული შტატი თვითონ განსაზღვრავს თავისი ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობას. აშშ-ში მუნიციპალიტეტის შექმნისთვის საჭირო მოსახლეობის მინიმალური ოდენობა წესდება შტატების მიერ. მაგალითად ალაბამის შტატში ის შეადგენს მინიმუმ 75 კაცს, იუტის შტატში 100 კაცს, კანზასის შტატში 300 კაცს. ცენტრსა და რეგიონს შორის ზოგჯერ არსებობს გარკვეული უთანხმოებანი. ხშირ შემთხვევაში დაპირისპირების მიზეზია ცენტრის მიერ წარმართული ფისკალური პოლიტიკა. წარმოებული პოლიტიკით ცენტრი ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი ინტერესები, ადგილობრივი რეგიონების უფლებების შემცირების ხარჯზე. აშშ-ში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უფლებები ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები სულ უფრო მხარდ როლს იძენენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მართვის სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობები მაქსიმალურად ახდენენ ადგილებზე საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტას, რაც მნიშვნელოვნად უმსუბუქებს ცენტრალურ ხელისუფლებას მუშაობას. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ფინანსდება ისეთი სამსახურები, როგორცაა პოლიცია (საშუალოდ 75%), სახანძრო (100%), სანიტარული სამსახური (100%), ასევე მნიშვნელოვანი დაფინანსება მიდის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების საინვესტიციო მიზიდველობას. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით აშშ-ში ადგილობრივი ორგანოები ახდენენ საცხოვრებელი სახლების ფართომასშტაბიან მშენებლობას განსაკუთრებით იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც აქვთ დაბალი შემოსავლები და თავისი შემოსავლებით ვერ ყიდულობენ ბინებს. ადგილობრივი თვითმმართველობები მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ ადგილობრივი სამუშაო ძალების მომზადებასა და გადამზადებაში, რადგანაც ეკონომიკის ახალი დარგების განვითარება მოითხოვს სამუშაო ძალების შესაბამის ადაპტაციას. ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აშშ-ში ადგილობრივი თვითმმართველობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის გაუმჯობესების მიმართულებით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შედგება 16 მიწისგან, (ასე ქვია მხარეებს გერმანიაში), რომელთა შემადგენლობაში 3 ქალაქია (ბერლინი, ჰამბურგი და ბრემენი). მიწები თანამედროვე სახით ჩამოყალიბდა 1945 წლიდან, გერმანიის კონსტიტუციით განსაზღვრულია,

რომ მიწები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ერთეულს, თავად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენს მიწების გაერთიანებას. თავად მიწები შედგება რაიონებისგან, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ქალაქის ტიპის, ასევე სოფლის ტიპის. რაიონების დონეზე ფორმირებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები. რაიონები შედგება სათემოებისგან, რომლებსაც გააჩნიათ თავისი თვითმმართველობები, სათემოები ექვემდებარებიან რაიონებს. ტერმინი „რეგიონი“ გერმანიის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. ხშირად რეგიონური მმართველობის ქვეშ ევროკავშირის პოლიტიკოსები გულისხმობენ ფედერალურ მიწებს. გერმანიის მართვის რეგიონული დონე გამოიხატება ორ ფორმაში: პირველი - ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც შექმნილია მიწების მმართველობისგან, მეორე კი მუნიციპალური წარმონაქმნების ნებაყოფლობითი ასოციაციები. გერმანიის რეგიონული ადმინისტრაციების ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სივრცითი განვითარება, რეგიონული ეკონომიკა, ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში ტრანსპორტის განვითარება.

გერმანიაში მოქმედებს რეგიონული თვითმმართველობების განვითარებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამები. ევროკავშირი გერმანიის განვითარების მიმართულებით წარმოდგენილია 5 ფონდის სახით. რეგიონული განვითარების კუთხით არსებობს 2 ფონდი-- რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი, რომელიც შეიქმნა 1975 წელს, და ევროპის საინვესტიციო ფონდი, რომელიც შეიქმნა 1994 წელს. განსაკუთრებული დახმარებით სარგებლობენ ისეთი რეგიონები, რომლებიც გამოირჩევიან შედარებით ჩამორჩენილობით. ამის განსაზღვრელი კრიტერიუმებია:

- უმუშევრობის დონე, რომელიც აღემატება ევროკავშირის უმუშევრობის ზღვრულ დონეს;
- სამრეწველო სექტორში დასაქმების დონე;
- საშუალო შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე;
- დახმარება გამოიხატება შემდეგი ფორმით:
- მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარება;
- ინოვაციური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა;
- ადგილობრივი ტექნოლოგიური ცენტრების, მათ შორის ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნება და გადმარება;
- დასაქმების და მუშაკთა გადამზადების საქმეში დახმარება;
- ადგილობრივ დონეებზე ინოვაციური მიდგომების დანერგვა „ცოდნაზე დამყარებული“ ეკონომიკური პრინციპების გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ფონდების როლი გერმანიის რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაში უმნიშვნელოვანესია და ხელს უწყობს გერმანიის განვითარებას.

გერმანიის რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკის მნიშვნელოვანი განვითარება. აღნიშნულ მიზანს ისინი აღწევენ ისეთი კანონების მიღებით, რომელიც მორგებულია რეგიონის განვითარებაზე და მაქსიმალურად უწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

საფრანგეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა ცენტრალური მმართველობიდან დეცენტრალიზებულ მართვლობაზე გადასვლაში. ამ პროცესის დაწყებას საფუძველი ჩაუყარა 1976 წელს შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ. კომისიის დასკვნაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, რომ აღნიშნული პერიოდისთვის ცენტრალური ხელისუფლების ხელში თავმოყრილი იყო უფლებებისა და რესურსების განუსაზღვრელი რაოდენობა, მაშინ როცა ადგილობრივი თვითმმართველობები ამ კუთხით მზარდ დეფიციტს განიცდიდნენ. სწორედ იმ პერიოდში ხელისუფლებაში მყოფმა სოციალისტურმა პარტიამ აიღო კურსი მმართველობის დეცენტრალიზაციისკენ, რომელიც ითვალისწინებდა მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის ადგილებზე გადატანას და ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდას. ასეთი პრინციპი მმართველობის განაწილებისა საფრანგეთში მოქმედებს ამ პერიოდისთვისაც. საფრანგეთში რეგიონი არის მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული. სულ ქვეყანაში არის 22 რეგიონი. თითოეულ რეგიონს ჰყავს დანიშნული პრეფექტი და რეგიონული საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტი. თავის მხრივ, დეპარტამენტები წარმოადგენს შუალედურ ადმინისტრაციულ ერთეულებს კომუნებსა და რეგიონებს შორის. რეგიონი შედგება დეპარტამენტებისგან, ხოლო დეპარტამენტები კომუნებისგან. სულ ქვეყანაში 96 დეპარტამენტი, დეპარტამენტის სათავეში დგანან პრეფექტები და საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტი. კომუნა ეს არის რთული ისტორიული წარმონაქმნი მოსახლეობის გაერთიანებისა. იგი არის მოსახლეობის რაოდენობით და ტერიტორიით არასტანდარტული გაერთიანება. კომუნაში არის ცენტრალური ქალაქი თავისი მერით და საქალაქო საბჭოთი. თავის მხრივ, მერი წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას.

1990 წლიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოხდა რეგიონული მმართველობის სამივე რგოლზე (რეგიონი, დეპარტამენტი, კომუნა) მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების გადაცემა; დაგეგმვა და განვითარება საქალაქო და სასოფლო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო-საგზაო ქსელის მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურის სფერო, მუნიციპალური პოლიცია, რეგიონული ეკონომიკის განვითარება, მოსახლეობის დასაქმება და სხვა. ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი ვალდებულება კანონით დადგენილ საზღვრებში რეგიონული ხელისუფლებების ლეგიტიმური ზედამხედველობა და კონტროლი. ადგილობრივი თვითმმართველობები თავისუფალნი არიან თავისი კომპეტენციების ფარგლებში. ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ თავისი ტერიტორიის ფარგლებში დამოუკიდებლად დააწესონ გადასახადები. 1986 წლიდან ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვთ სრული უფლება კაპიტალის ბაზარზე გამოვიდნენ როგორც წევრები და აიღონ კიდევ სესხი. საფრანგეთში ასევე ფუნქციონირებს ასოციაციები, საკონსულტაციო საბჭოები, ექსპერტული წრეები, სხვადასხვა კავშირები,

აღნიშნული ორგანიზაციების წევრები შეიძლება იყოს რიგითი მოქალაქეებიც.

იტალიაში სახელმწიფო მმართველობის სისტემა საკმაოდ რთულია. იგი წარმოადგენს ქვეყანას სადაც მართვის ძირითადი ბერკეტები გადაცემულია რეგიონებზე, პროვინციებზე და კომუნებზე. სულ ქვეყანაში 20 რეგიონია. რეგიონებს გააჩნიათ თავისი არჩეული პარლამენტი, რომელიც ცნობილია რეგიონული საბჭოს სახით, რეგიონის ძირითადი ფუნქცია არის საკანონმდებლო და დაგეგმარებითი. **პროვინციებში** პირდაპირი კენჭისყრით ირჩევენ საბჭოებს, რომლებიც ნიშნავენ საკუთარ აღმასრულებელ ხელისუფლებას--პრეზიდენტს. თითოეულ პროვინციაში ასევე არის პრეფექტი, რომელიც ადგილებზე წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებას. პროვინციების ძირითადი ფუნქციაა ტერიტორიის ზონირება, ადგილობრივი პოლიციის და სახანძრო სამსახურის მართვა, ადგილობრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეგულირება.

ადგილობრივ პროვინციებს ცენტრალური ხელისუფლებიდან გააჩნიათ ეკონომიკური და ფინანსური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. **კომუნა** წარმოადგენს ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს, კომუნის მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით ირჩევს მუნიციპალურ საბჭოს, რომელიც შემდეგ ნიშნავს აღმასრულებელ ხელისუფლებას--მერს. მართვის ასეთი ფორმა იტალიაში მოქმედებდა 1990 წლამდე. 1990 წლის 8 ივნისს მიღებული იქნა ახალი კანონი, რომლის შემდეგაც კომუნის მაცხოვრებლები პირდაპირი წესით ირჩევენ მერს. იტალიაში მოქმედი კონსტიტუციით კომუნები და პროვინციები დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულები არიან, რომლებიც არ ემორჩილებიან ერთმანეთს. კომუნისა და პროვინციის შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონები ვრცელდება მათ სამოქმედო ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად კერძო და სახელმწიფო ორგანოების მიერ.

სომხეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით 11 ოლქია, ათი მარზი და დედაქალაქი, რომელსაც აქვს ასევე მარზის სტატუსი. მარზები თავის მხრივ იყოფა სოფლისა და ქალაქის თვითმმართველ საზოგადოებებად. ამჟამად სომხეთის იურისდიქციაში 930 თვითმმართველი თემია, რომელთაგან 871 არის სოფლის, ხოლო 59 ქალაქის. რეგიონულ ხელისუფლებას არა აქვს თვითმმართველი გადაწყვეტილებების უფლება, იგი ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას. რეგიონული საბჭოები შედგება მერების და თემების ლიდერებისგან, რომლებიც ემორჩილებიან ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნულ გუბერნატორებს რეგიონებში. გუბერნატორის უფლებამოსილებები განსაზღვრულია ისეთ სფეროებში როგორცაა; ფინანსები, საბინაო-კომუნალური, სატრანსპორტო და გზების მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და მიწის გამოყენება, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, კულტურა, სპორტი, ბუნება და გარემოს დაცვა, ამ სფეროებში გუბერნატორები თავის უფლებამოსილებებს ანხორციელებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარებით. სომხეთის თვითმმართველობებს ამჟამად არ გააჩნიათ ფართო დამოუკიდებლობა და ძირითადი ფუნქციები

მინც ცენტრალური ხელისუფლების ხელში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია დეცენტრალიზაციის შესახებ, ადგილობრივ დონეებზე მინც შეინიშნება ფინანსური და სამართლებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

ყაზახეთში მმართველობა წარმოდგენილია რაიონის, ქალაქის, მხარის დონეზე, აღნიშნულ დონეებს შორის კანონით მკაცრადაა გამიჯნული კომპეტენციები. ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები შედიან რესპუბლიკის მთლიან აღმასრულებელ სტრუქტურაში. სამხარეო და საქალაქო დონეებზე ხელმძღვანელ პირებად ინიშნებიან აკიმები. აკიმებს თანამდებობებზე ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით. პრეზიდენტი უფლებამოსილია აკიმები გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან. ყაზახეთში ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ არის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ჰარმონიული ურთიერთობა ჩამოყალიბებული. ადგილობრივი თვითმმართველობები მათი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად არიან ჩართულნი ადგილობრივ მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის ოპტიმალური თანაშეწყობის როლის ზრდა მკაცრადაა განსაზღვრული ყაზახეთის მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც „ყაზახეთი-2030“-ის სახელით არის ცნობილი. აღნიშნულ სტრატეგიაში ძირითად მიზნად დასახულია კომპაქტური და პროფესიონალური ადგილობრივი ხელისუფლებების ჩამოყალიბება. სტრატეგიაში მკაცრადაა გამიჯნული ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების კომპეტენციები, ასევე ყურადღება გამახვილებულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვის მეთოდის შემდგომ სრულყოფაზე. ამ სტრატეგიის ძირითადი მიზანია ადგილობრივ ხელისუფლებებს გადაეცეთ მართვის ძირითადი ფუნქციები.

ყაზახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ შემადგენლობაში შედის შემდეგი ერთეულები; აული (სოფელი), დასახლება, რაიონი ქალაქში, მხარე. ყაზახეთი მთლიანობაში შედგება რეგიონებისგან და დასახლებული პუნქტებისგან. ზემოდაღნიშნულ ერთეულებში ხორციელდება ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობა ადგილობრივი წარმომადგენლებისა და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. აღნიშნული ორგანოები ვალდებული არიან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გაატარონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ხოლო თავად ადგილობრივი თვითმმართველობები საქმიანობენ მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმმართველობები ანგარიშვალდებულნი არიან ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე. თავად რეგიონი შედგება რამოდენიმე დასახლებული პუნქტისგან.

რეგიონებს წარმოადგენს ასევე მხარეები და სოფლის დასახლებები, როგორც რესპუბლიკური მნიშვნელობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ძირითადი რგოლი.

დასახლებული პუნქტები თავის მხრივ წარმოადგენს ქვეყნის დასახლებული უბნების ნაწილს, რომელიც შედგება აღნიშნულ დასახლებებში კანონიერად მცხოვრები არანაკლები 50 კაცისგან.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი „ყაზახეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ“ მკაცრად მიჯნავს ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლებების კომპეტენციებს, სრულყოფილი მმართვეა მინც არ ხორციელდება, რაც ყაზახი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ ტარდება ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილებზე მოქალაქეების დასაქმებას მათი ცოდნისა და შესაძლებლობების ფარგლებში, ყაზახეთის ადგილობრივ თვითმმართველობებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს პროფესიული გადამზადების ცენტრები, რომლებმაც მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა პროფესიული დონის ამაღლება. ყაზახეთის მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში--„ყაზახეთი-2030“, აღნიშნულია, რომ ყაზახეთს გააჩნია მძლავრი ადამიანური რესურსი, ქვეყანაში ცხოვრობს მაღალგანვითარებული მოსახლეობა მაღალი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალით. როგორც ცნობილი ყაზახი პროფესორი ვ.ნ. უვაროვი აღნიშნავს, სწორედ ეს მძლავრი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი წარმოადგენს ყაზახეთის განვითარების ძირითად ქვაკუთხედს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება თუ საქართველო აირჩევს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთ სტრატეგიას, რომელიც მორგებული იქნება ჩვენი ქვეყნის ტრადიციებზე და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს რეგიონული მთავრობების საფინანსო-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. სწორედ ფინანსურად დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმმართველობები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტს.

**ბორის ჭიჭინაძე,
ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ
МУНИЦИПАЛИТЕТОВ В ЗАРУБЕЖНЫХ
СТРАНАХ**

Чичинадзе Б. Д.
Докторант Кутаисского им. А.Церетели Государственного Университета.

Грузия должна выбрать такую стратегию развития местного самоуправления, которая бы максимально заботилась о финансовой независимости самоуправления.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა, როგორც ინდივიდის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მექანიზმი (ინსტიტუტი)

საქართველოში მიმდინარე რეფორმის ძირითადი მიზანია განათლების ხარისხის ამაღლება და მისი საყოველთაო მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბუნებრივია დაისმება კითხვა: რა არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად? პასუხი აშკარაა – ბევრი რამ. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია პროფესიონალი და თავისი საქმის ერთგული მასწავლებლის პრობლემა.

დღევანდელი ეპოქა, როდესაც ქვეყნის წარმატება ყველაზე მეტად იმაზე დამოკიდებულია, თუ რაოდენ განათლებულები არიან მისი მოქალაქეები და რამდენად შეესაბამება მათი უნარ-ჩვევები გლობალიზებული სამყაროს მოთხოვნებს, ცხადია, მასწავლებლებსაც ახალ გამოწვევებს სთავაზობს.



ასმათ შახმუროვა,
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნებისმიერი სკოლის მართვისთვის ძირითადი ელემენტია ეფექტიანი საკადრო პოლიტიკის გატარება. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, წესებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელიც ადამიანურ რესურსებს სწორ მიმართულებას აძლევს, დასახული მიზნების მიღწევისას. აღნიშნული წესებისა და ნორმების ერთობლიობა უნდა ჩამოყალიბდეს ფორმალურად. ყველა ღონისძიება, რაც დაკავშირებულია საკადრო პოლიტიკასთან – კადრების შერჩევა, დასაქმება და პროფესიული განვითარება წინასწარ იგეგმება სკოლის საერთო მიზნებიდან გამომდინარე. ვპედაგოგიური კადრების პროფესიული ცოდნის დონე, ანუ, მოკლედ, პროფესიონალიზმი, განსაზღვრავს არა მხოლოდ მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ, თვისობრივსაც, როგორცაა: ადამიანური რესურსების ფორმირება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და ათვისების ტემპი და სხვ.

ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა სკოლის განვითარებისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა, რადგან მიმდინარე რეფორმის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია ამ პროცესში ჩართული

პირების ცოდნასა და უნარზე, მათი შესაძლებლობების მიზანმიმართულად გამოყენებაზე. სკოლის განვითარების გეგმის შესრულება კი მხოლოდ შეთანხმებული, მიზანზე ორიენტირებული და პროფესიულად მოაზროვნე ადამიანების გუნდითაა შესაძლებელი. ამიტომ, ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის მიზანია სასწავლო-აღმზრდელი პროცესში ჩართული წარმომადგენლების ერთ გუნდად შეკვრა, მათთვის ხელშეწყობა, თითოეულის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, დადებითი ნახალისება და უარყოფითის გამოსწორებისთვის ზრუნვა. ეს კი მიიღწევა ნათლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურით, დასაქმებისა და შეფასების ობიექტური სტანდარტებით. ადამიანური რესურსების მართვის ამ ფუნქციების შესრულებით შესაძლებელი გახდება სკოლისთვის საჭირო პედაგოგიური კადრების მოზიდვა-დაქირავება, თითოეული სამტატო ერთეულის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა, მათი მოტივაციის ამაღლება.

ამდენად, სკოლაში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისთვის საჭიროა: ა) კარგად მოფიქრებული და გაცნობიერებული,

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე ორგანიზაციული სტრუქტურა; ბ) გააზრებული, ეფექტიანი და სამართლიანი დასაქმების პოლიტიკა, რაც გულისხმობს შერჩევის, დასაქმებისა და გათავისუფლების გამჭვირვალე პროცედურებს; გ) დასაქმებულების შეფასების გამართული სისტემა (მონიტორინგი, შეფასება და ა.შ.); დ) ნახალისების მექანიზმების პერმანენტული სრულყოფა; ე) თანამშრომლების პროფესიული განვითარებისა და ზრდის პროგრამის შემუშავება; ვ) სამუშაო გარემოსა და პირობების გაუმჯობესებისთვის მუდმივი ზრუნვა.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვას და მასთან დაკავშირებული სტრატეგიების განხორციელებას კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ავალებს სამეურვეო საბჭოსა და მენეჯერს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს, უფლება/მოვალეობებს.

სამეურვეო საბჭოს, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, სტრატეგიული როლი, საქმიანობის მიმართულების განსაზღვრის ფუნქცია აკისრია. ადამიანური რესურსების მართვაშიც იგი ამ ფუნქციას ასრულებს და ამით უზრუნველყოფს



სკოლის მისიით დასახული მიზნების შესრულებას. იგი ანგარიშვალდებულია ერთი მხრივ, სკოლის: მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების, საზოგადოების წინაშე. მის ფუნქციებში შედის: ა) საკადრო პოლიტიკის განხორციელების ზედამხედველობა; ბ) თანამშრომლების საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავების უზრუნველყოფა; გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი ადამიანებიდან დირექტორის კანდიდატურის შერჩევა და მის საქმიანობაზე ზედამხედველობა; დ) სკოლის მენეჯერის საქმიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა; ე) დისციპლინური კომიტეტის არჩევა; ვ) საჩივრების განხილვა და დროული რეაგირება; ზ) ბიუჯეტის დაგეგმვასა და წახალისების სისტემის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ადამიანური რესურსების მართვაში აღმასრულებელ ფუნქციას სკოლის მენეჯერი ასრულებს. მას ევალება ხელმძღვანელობა დამართვა ისე, რომ სკოლაში შექმნას კარგი სამუშაო გარემო, თანასწორობა, ნდობა, ურთიერთდახმარების ატმოსფერო მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, როგორც წარმატების საწინდარი. მის ფუნქციებსა და მოვალეობებში შედის: ა) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ბ) ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, სამეურვეო საბჭოსთან ერთად, თანამშრომ-

ლების სახელფასო განაკვეთების, პრემიების და საჭირო შემთხვევაში, ახალ საშტატო ერთეულებთან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრა; გ) სამეურვეო საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში, თანამშრომლების შეფასების პოლიტიკის შემუშავება; დ) თანამშრომლების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელება და მათი საქმიანობის შეფასების წარმოება; ე) სწავლა/სწავლების პროცესის სტანდარტების შემუშავება-შეფასება; ვ) თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ზ) საჩივრების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება.

ამრიგად, მენეჯერი ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოს, სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე.

იმისათვის, რომ თანამედროვე ხელმძღვანელმა ეფექტიანად მართოს ორგანიზაცია, მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები, იმუშაოს ადამიანებთან, ერთმანეთს უნდა შეუთავსოს საკუთარი შესაძლებლობები, გამოცდილება, ცოდნა და მაქსიმალურად გამოიყენოს ისინი მმართველობითი საქმიანობისას.

ხელმძღვანელი, უპირველესად, უნდა ფლობდეს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, რაც არც თუ ისე ადვილია და განაპირობებს მისი ფსიქოლოგიური მომზადების აუცილებლობას. თანამშრომლებთან ჰარმონიული ურთიერთობის

დასამყარებლად მას უნდა შეეძლოს მათი მდგომარეობიდან გამომდინარე (რა თქმა უნდა, კორპორატიული ინტერესების გათვალისწინებით), საკუთარი ქმედებების კორექტირება, კოლეგების სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა, რათა უკეთ განაწილოს ადამიანური რესურსები. ხელმძღვანელის მოვალეობაა ძლიერი, ერთსულოვანი კოლექტივის შექმნა (ამაზე იქნება დამოკიდებული მისი მმართველობითი საქმიანობის წარმატება. ამისთვის მას უნდა ჰქონდეს მდიდარი შემოქმედებითი აზროვნების უნარი, მაგრამ არ უნდა გასცდეს რეალობას), სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა, კომპეტენციები სწორად არის განაწილებული, ორგანიზაციის ყველაწევრს საკუთარი ადგილი აქვს მინიჭებული და ეს ყველაფერი კოლექტივის ეფექტიანი მუშაობის წინაპირობაა.

ხელმძღვანელის ფუნქციების განხორციელება შეუძლებელია ფსიქოლოგიის ცოდნისა და მისი პრაქტიკული გამოყენების გარეშე, ასე რომ, ამ მეცნიერების როლი მართვის პროცესში უდავოდ დიდია. მენეჯერს მოეთხოვება თანამშრომელთა ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა და მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომა. მართვა გაჯერებულია ფსიქოლოგიური შინაარსით, რომლის მთავარ მოქმედ ფიგურად გვევლინება ადამიანი — თავისი შესაძლებლობებით, ინტელექტით, მოტივაციითა და პიროვნული თავისებურებებით.

როგორც რთული სისტემური

ნარმონაქმნი, **მართვა** დაკავშირებულია მრავალმეცნიერებასთან, მათ შორის ფსიქოლოგიასთანაც, ამიტომაც წარმოიშვა ცალკე მეცნიერება — **მართვის ფსიქოლოგია**. მას, როგორც მართვის მეცნიერების ნაწილს, უშუალო კავშირი აქვს ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებასთან. ის სწავლობს ადამიანის ფსიქიკას, აძლევს ფსიქოლოგიურ დახასიათებას მის მმართველობით ქმედებას და აანალიზებს უნარებს, რომელიც აუცილებელია მართვის წარმატებით განხორციელებისთვის.

მართვის ფსიქოლოგია შეისწავლის ურთიერთობებს ხელმძღვანელსა და შემსრულებლებს შორის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ობიექტი ადამიანების **ორგანიზებული ქცევაა**. ეს უკანასკნელი კი — არა მხოლოდ საერთო ინტერესების, მიზნების, სიმპათიების ან ღირებულებების მქონე ადამიანების ერთობლივი მოქმედებაა, არამედ იმ პიროვნებებისა, რომლებიც ერთ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული. ისინი ემორჩილებიან მის წესებსა და ნორმებს, ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, ყოველი თანამშრომლის მოქმედება ემსახურება ერთიანი ამოცანის გადამწყვეტას.

ადამიანური რესურსების შერჩევისას ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა თვისებებია აუცილებელი კანდიდატისთვის ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად. **ის უნდა იყოს ზომიერად გულახდილი, მაგრამ არა ფამილარული, პატივისცემდეს თანამშრომლების ღირსებას, ცდილობდეს გაუგოს და დაეხმაროს მათ. ამავე დროს, მისი მხრიდან დაუშვებელია, სიცრუე და პირფერობა. ასეთი მიდგომა საშუალებას მისცემს მას, ზეგავლენა მოახდინოს კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაუმჯობესებაზე.**

მმართველობითი ფუნქციის განხორციელებისას მენეჯერს უხდება თანამშრომლებისთვის მითითებების მიცემა, რომლების შესრულებისას ამ უკანასკნელებს თავიანთი პროფესიული ღირსებების გამოვლენის შესაძლებლობა ეძლევათ. აღნიშნულ პროცესს მმართველი უნდა წარ-

მართავდეს დელიკატურად, მათი პიროვნული ღირსების შეუღახავად. ასეთი ტიპის საქმიანობა უწყვეტი პროცესია, რაც საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, ხელმძღვანელს, კარგად გაეცნოს კოლექტივის ყველა წევრს, ხოლო, მეორე მხრივ, თანამშრომლებს — აიმაღლონ პროფესიული დონე. მმართველმა ეფექტიანად უნდა გამოიყენოს პედაგოგიური მიდგომის ინდივიდუალური პრინციპები, რაც ითვალისწინებს ასაკს, სქესს, ფსიქოლოგიურ-პიროვნულ თავისებურებებს. ხელმძღვანელმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას სამუშაო პროცესში და აგრეთვე მათი შესაძლებლობების განვითარებას. ეს იწვევს გარკვეულ ცვლილებებს პიროვნების ფსიქიკის შემეცნებით, ნებელობით და ემოციურ სფეროებში.

ადამიანების გონივრული მართვისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ მათი ხასიათის თავისებურებები, რადგანაც ეს უკანასკნელი ინდივიდის ფსიქიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, იგი ვლინდება და ყალიბდება გარკვეული საქმიანობისას, სირთულეებისა თუ წინააღმდეგობების გადალახვისას.

ხასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა კარგად გაცნობიერებული ღირებულებები და იდეალები. მის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს თვითაღზრდა. მენეჯერის პირდაპირი მოვალეობაა, მიუთითოს შემსრულებელს პროფესიული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, თვითაღზრდის ეფექტიან გზებსა და მეთოდებზე. ხასიათი არ არის თანდაყოლილი თვისება. ის ყალიბდება ცხოვრების განმავლობაში, სადაც ადამიანი თავად მონაწილეობს და პასუხისმგებელია ხასიათის ნეგატიურ გამოვლინებებზე. თითოეული პიროვნების ხასიათი ინდივიდუალური და უნიკალურია.

პროფესიონალი პედაგოგიური კადრების მომზადება ნებისმიერი სახელმწიფოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი არსებითი ამოცანაა. ეს იმითაა განპირობებული, რომ ქვეყნის, როგორც ორგანიზებული საზოგადოების, ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ძლიერი განათლების სისტემა. მასობრივ ცნობიერებაში ამგვარი

საგანმანათლებლო სისტემა ძლიერ სკოლასა და პროფესიონალ პედაგოგიურ კადრებთან ასოცირდება. ეს ჭეშმარიტება ცივილიზებული სამყაროსთვის დიდი ხანია ცნობილია. ამიტომ კადრების განვითარებაზე სერიოზულად ზრუნავს ყველა სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზანი — იყოს მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებული წევრი, გვავალდებულებს საქართველოს მოქალაქეებს მივცეთ ისეთი განათლება, რომელიც დაეხმარება მათ, იყვნენ კონკურენტუნარიანები შრომისა და განათლების საერთაშორისო ბაზრებსა და სწავლების დონის შეფასებებში. ამ მიზნის განხორციელებას ყველაზე მეტად ემსახურება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

სკოლის ორგანიზებასა და მის ეფექტიან მართვაზე ზრუნვა მენეჯერის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. დირექტორმა, პედაგოგების მეთოდურ სამსახურთან აქტიური თანამშრომლობის გზით, ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის მიღწევა-შენარჩუნებას, მოსწავლეების სწავლების შედეგების გაუმჯობესებას, **წამახალისებელი** და საიმედო სასკოლო გარემოს შექმნასა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას ისე, რომ მინიმალური დანახარჯებით (ფინანსური, მატერიალური, შრომითი, ორგანიზაციული, დროის და სხვ.), მიაღწიოს პოზიტიურ შედეგებს. სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან, ასევე — საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით, მოახდინოს კოლექტივის აკადემიური დიფერენცირება, გამოკვეთოს საერთო პრობლემური მხარეები, დაადგინოს სკოლაში მომუშავე მასწავლებლების კატეგორიები მათი მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და **წახალისების** სისტემის შექმნის მიზნით. განმანათლებლების კატეგორიებად დაყოფის დროს, მეთოდურმა სამსახურმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს — დაეყრდნოს მათ პროფესიულ მონაცემებს (დიპლომი, სტაჟი, პრო-

ფესიული მიღწევები, მოსწავლეების წარმატებები და სხვ.).

სკოლის მენეჯერი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს დამწყები (ახალბედა) მასწავლებლის საქმიანობას, რათა: *** იგი არ „შეშინდეს“ და არ აღმოჩნდეს იმედგაცრუებული; * იგრძნოს არჩეული პროფესიით განცდილი პირველი სიხარული; * შეიყვაროს ის, პერმანენტულად აიმაღლოს კვალიფიკაცია და განუვითარდეს პედაგოგიური უნარჩვევები.**

დამწყებ მასწავლებლებთან თანამშრომლობა სასურველია და ვინცოთ მუდმივი პროფესიული განვითარების რეჟიმში მისი „ჩასმით“, დახმარებითა და არა გაუთავებელი შემონემებითა და „ჩხრეკით“. მიუხედავად იმისა, თუ რა ისწავლა მან უნივერსიტეტში, სტუდენტობის წლებში, საჭიროა ნასწავლის სრულყოფა და გამოცდილების პრაქტიკული გამდიდრება. წმუშაობის დაწყებისთანავე, სასურველია, შევახსენოთ დიდაქტიკის საფუძვლები.

დამწყებ პედაგოგებს ამ და მრავალ სხვა საკითხზე უნდა მივანოდოთ საჭირო ინფორმაცია და მივუთითოთ შესაბამისი წყაროები. ამისთვის, კონსულტაციების განვეის მიზნით, მეთოდურმა სამსახურმა უნდა შეიმუშაოს ეფექტიანი მუშაობის სტრატეგია, რათა გააცნოს მასწავლებლებს დიდაქტიკის ძირითადი კანონები, კომპლექსური და დიფერენცირებული პროგრამების მოთხოვნები, ზოგადსაგანმანათლებლო პროცესების ეფექტიანი მართვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ასპექტები, ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდები და მიდგომები თუ სხვ.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმატებულობა საბჭოურ სკოლაში განისაზღვრებოდა იმით, თუ როგორი დისციპლინა ჰქონდა პედაგოგს კლასში, მაგრამ XXI საუკუნეში, ინოვაციური სწავლების პირობებში, მკვეთრად შეიცვალა განმანათლებლის მიმართ ნაყენებული პროფესიული მოთხოვნები. აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ რამდენად შესწევს მასწავლებელს უნარი, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობასა და აქტიურობას მისცეს **სტიმული**. ამიტომაც დადგა სასწავლო პროცესში

ფსიქოლოგის ჩართვის აუცილებლობა. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ დამწყებმა პედაგოგმა ყოველი გაკვეთილი ფსიქოლოგის ან გამოცდილი კოლეგის დასწრებით ჩაატაროს. საქმე ეხება მთელ კლასთან მუშაობის ჩვევების დაუფლებას, მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სწავლასა და აღზრდაში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას.

დამწყებმა პედაგოგმა, ფსიქოლოგისა და გამოცდილი მასწავლებლის რჩევების გათვალისწინებით, უნდა შეძლოს ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების ამოცნობა და დაფიქსირება, ასევე მიმიკით, გამოხედვით, საუბრის ტონით ისეთი ფსიქოლოგიურად კომფორტული კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების ყურადღების კონცენტრირებას, გახსნილობას, რაც განმანათლებლისგან **„სამსახიობო ნიჭსაც“** კიმოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ყველა სკოლას აქვს თავისი „ფსიქოლოგიური კლიმატი“, „ურთიერთობის სტილი“, „პედაგოგიური ხელნერა“, დამწყები მასწავლებელი აუცილებლად უნდა გაეცნოს სკოლის ძირითად მახასიათებლებსა და კოლეგებთან ურთიერთობის სტილს. თუ სკოლაში კარგი „კლიმატია“, ყველა მასწავლებელი ეცდება დაეხმაროს ახალგაზრდა კოლეგას; რაც შეეხება მშობლებთან კომუნიკაციას, აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც თვით ისინიც ნაკლებ თავშეკავებულობას იჩენენ დამწყები პედაგოგის მიმართ, ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი ფსიქოლოგიური აქსიომა — **ურთიერთობის კარი გააღე მხოლოდ შენსკენ!**

ჩვენ ვიზიარებთ განათლების ექსპერტის **გიორგი ლაცაბიძის** მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის ხელმძღვანელი ძალიან კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებსა და ცვლილებების განხორციელების სტრატეგიამში.

ეფექტიანად დაგეგმილი სტრატეგია ორგანიზაციის გამარჯვების საწინდარია. ეს არის მთავარი მექანიზმი, რომელზეც ამა თუ იმ დაწესებულების წარმატებაა დამოკიდებული. მას შემდეგ, რაც XXI

საუკუნეში, საქართველოში, საჯარო სკოლა თვითდაფინანსებაზე გადავიდა, დირექტორი მოიაზრება არა მარტო სკოლის ადმინისტრატორად და ხელმძღვანელად, არამედ სტრატეგიის ავტორადაც. ვფიქრობთ, უკვე ეჭვი აღარავის ეპარება იმის აუცილებლობაში, რომ სკოლამ უნდა შეიმუშაოს არსებულ ვითარებასთან მორგებული ეფექტიანი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩახედული სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროცესში მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება, მოსწავლეების აღზრდის გამართული სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, წარმოადგენს სკოლის უმთავრესს მიზანსა და ამოცანას. სამეურვეო საბჭომ და მენეჯმენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

აუცილებელია ისეთი სასკოლო სისტემის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ წარმოაჩენს განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის თეორიულ საფუძვლებს, არამედ, გარანტირებულად შეძლებს მის მიღწევას შესაბამისი უწყვეტი აქტივობებითა და მკაცრი მონიტორინგით.

უმნიშვნელოვანესია გავითვალისწინოთ, რომ ეს მრავალკომპონენტური სისტემაა, რაც გონივრულ დაგეგმვასა და ბევრი ადამიანის შეთანხმებულ, კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს. შესაბამისად, სრულიად ნათელია, რომ მხოლოდ კონკრეტული სკოლის ძალისხმევით ხარისხის პრობლემა ვერ გადაწყდება, რადგან, სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის აქტიური თანადგომის გარეშე წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

სკოლის საქმიანობისა და მართვის პროცესის ანალიზის არსი მდგომარეობს, ალბათ, არა იმდენად სოციალური მართვის პროცესში სპეციალური ფუნქციების გამოყოფასა და შეფასებაში, არამედ, იმაში, რომ მართვის თეორიასა და პრაქტიკაში შემოვიტანოთ ანალიზის ისეთი ერთეულები, რომლებიც მოიცავენ სკოლის მართვის უზრუნველყოფის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტების ანარეკლს.

სკოლის მართვა მნიშვნელოვნად

განსხვავდება სანარმოს ან ორგანიზაციის მართვისაგან. იგი არსებით სახეს მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც ივსება კონკრეტული პედაგოგიური შინაარსით, ორიენტირებულია სასწავლო-აღმზრდელი პროცესის სრულყოფასა და მის საბოლოო შედეგზე – მოსწავლის პიროვნების განვითარებაზე.

სასკოლო პრაქტიკაში, მმართველობითი საქმიანობის დროს, მართვის სხვადასხვა ფორმებს ვხვდებით: **სოციალურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ** და ა.შ. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და მათი დიფერენცირება ფორმების მიხედვით ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. თუმცა, მთავარი, რაც განსაზღვრავს მათ დანიშნულებას სკოლაში, საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება. ეს ინტეგრირებული პროცესია და ერთ-ერთი ასპექტის დაუსაბუთებელმა პრევალირებამ შეიძლება ძნელად გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სკოლის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

სპეციალისტები თვლიან, რომ არ შეიძლება განათლების და აღზრდის დაყვანა მხოლოდ დიდაქტიკამდე, ან აღზრდის თეორიამდე, რადგან მათ გააჩნიათ სპეციფიკური ობიექტები, ამოცანები და მიღწევის საშუალებები. ამასთანავე, თვითაღზრდა და განათლება ძალზე დასუსტდება სკოლის ორგანიზაციული მმართველობითი ასპექტის გამყარების გარეშე. როგორც ცნობილია, ზოგადად მართვის ჩარჩოებში არსებობს სოციალური გარემოს მართვის თეორიები და კონკრეტული დებულებები. ეს უკანასკნელები არ წარმოადგენენ მხოლოდ ამონარიდს ზოგადი თეორიიდან, არამედ ისინი დამოუკიდებელი დასკვნებია, რომლებიც კეთდება კონკრეტული სოციალური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის საფუძველზე, მართვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ განათლების მართვის თეორია ეფუძნება სოციალური მართვის ზოგად კანონზომიერებებს ცალკეული სფეროების სპეციფიკის აუცილებელი გათვალისწინებით, მათ შორის განათლების, რაც აისახება მართვის ობიექტებზე, ამოცანებსა და ფუნქციებზე, პედაგოგიური საქ-

მიანობის კავშირების რთულ სისტემაზე, სხვა ტიპის საქმიანობებსა და პროცესებზე.

სკოლის მმართველი ორგანოები ვალდებული არიან, სრულყოფილად იცოდნენ სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესის მართვა, რომელშიც ჩართული უნდა იყოს მართვის ყველა რგოლი დაწყებული მენეჯერიდან დამთავრებული საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებით.

პედაგოგიური კოლექტივის მართვის სრულყოფის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება

კოლექტივის ურთიერთთანამშრომლობის ფორმებს, შინაარსსა და პროცედურებს, რომლებიც ექვემდებარებიან განვითარებას გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულ მიმართულებას ბევრი საინტერესო მხარე აქვს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ რაც უფრო მეტი პროფესიონალი ჩაებმება ასეთი სახის პრობლემების შესწავლასა და შეფასებაში, მით უფრო ობიექტურად და საღად გამოიკვეთება სკოლის მენეჯერის მასწავლებლებთან მუშაობის ძირითადი ორიენტირები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე თ., „მართვის ფსიქოლოგიური გარემო“, გვ. 21-23; ლაცაბიძე გ., „სტრატეგიის პირველადი დაგეგმვის ორი ათსაფეხურიანი მოდელი“, გვ. 41; მონიავა ნ., „სასწავლო პროცესის მართვის ანატომია“, გვ. 48-49; მურღულია გ., „განათლების ხარისხი საჯარო სკოლაში“, გვ. 45; ნიკლაური ნ., კოპალიანი ბ., „სკოლის ხელმძღვანელის პედაგოგებთან მუშაობის ძირითადი ორიენტირები“, გვ. 59-64; სამეცნიერო-მეთოდური ჟ. „სკოლის მართვა“ №1, თბ., 2007წ.;
2. „სკოლის მართვის სახელმძღვანელო“, გვ. 109-110 თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2006წ.;
3. განათლების რეფორმები თანამედროვე მსოფლიოში. მ., 1995წ. რუსულ ენაზე);
4. მიტჩელი პ., პედაგოგიური საშუალებების, კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების ენციკლოპედია, ლონდონი; 1978წ. (ინგლისურ ენაზე);
5. დავიდოვი ვ. სასწავლო მოქმედებების ფსიქოლოგიური თეორია; ტომსკი, 1992წ. (რუსულ ენაზე).

EDUCATIONAL SYSTEM, AS INDIVIDUAL'S ECONOMICAL INTERESTS REALIZATION MECHANISM (INSTITUTE)

SUMMARY

Asmat Shamugia, Postdoctoral student of Sukhumi State University

In this given article there is examining about the pedagogical collective's manage process improvement directions at the public school.

The school management radically differences from enterprise's or organization's management. It acquires essential face only then, when it fills with concrete pedagogical contents, is oriented for to improve educational process and its final result is to develop pupil as an individual person.

The school management organ is obliged to improve knowledge of how to raise teaching quality process management, in which must be include all manage circles beginning from director ending with object chairs managers.

In the pedagogical collective's manage improved process resolute meaning confers collective's each other collaboration forms, contents and procedures. Which subordinate in outer surroundings running changes accordingly.

In up designation direction has many interesting sides. We denote that as many professionals include such sort of problems learn and value, as much objective and healthy will be exposed of school manager's manage quality.

ქართული წეს-ტრადიციები და ეკონომიკა (ეთნობრაჟიული მასალის მიხედვით)

საქართველოს თემებში მოძიებული ახალი ეთნოგრაფიული მასალები, ქართველურ ჩვეულება-ტრადიციებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ საუკუნეების განმავლობაში შეიცვალა პიროვნული ურთიერთობები, ადამიანთა მახასიათებლები, აგრეთვე სოციალური უფლებები და მდგომარეობა. თვალსაჩინოა უკვე მოთხოვნილებად ქცეული სწრაფვა, ეგრეთწოდებული “თავისუფალი, პრაქტიკული, ზედმეტად ტრადიციული, კომპლექსიგან თავისუფალი ცხოვრებისაკენ”. ცვლილებები გამოიწვია სხვადასხვა ცხოვრებისეულმა სიტუაციამ, უცხო კულტურათა გადმოღებამ, მიმბაძველობამ. შეცვლის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიგვაჩნია ეკონომიური მდგომარეობა, რამდენადაც ბევრ ქართველურ წეს-რიტუალს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური საფუძველი გააჩნია.

საქართველოში სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მსოფლმხედველობრივი და თეორიული საფუძველი ფაქტობრივად ყოველთვის იყო წმინდა წერილი და მასზე დაფუძნებული სამეურნეო საქმიანობის გაძლიერება. ეს უკანასკნელი უპირატესად მოიაზრებოდა, როგორც მეცნიერება პატიოსანი შრომის, შინამეურნეობებისა და საერთოდ, ეროვნული მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმართვის, სიყვარულით შექმნისა და უპოვართა მხარდაჭერის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე. თუმცა, მონოთეისტურ ქრისტიანობას საქართველოშიც წინ უსწრებდა რელიგიამდელი, ჯადოქრული გზით ბუნებაზე ზემოქმედების რწმენის პერიოდი, როცა მაგიურ რიტუალებს ადამიანი სასურველი მიზნების მისაღწევად საკულტო ცერემონიებით და შელოცვებით, ზებუნებრივი ძალის მქონე, რეალურ საგანთა განდიდებისთვის წელიწადში ორჯერ მაინც, გაზაფხულსა და შემოდგომაზე აღასრულებდა. საქართველოს განსაკუთრებით მთიან რეგიონებში დღესაც დასტურდება ნათესების დაცვის, მოსავლიანობის გაზრდის, მაგიის დაცვითი ფორმისა და შინაარსის რიტუალები.

მსგავსი რიტუალების რიგში შეიძლება დავასახელოთ ადღომის კვირის ხუთშაბათის (დიდი ხუთშაბათი) სვანური რიტუალი “თანფაცააშ”, რომელიც ოჯახის ავი თვალისგან დაცვას, განწმენდა-განახლებას ემსახურება. “ხუთშაბათ დილით ოჯახის უფროსი ქალი, ან მამაკაცი მდინარიდან მოიტანს თეთრ ქვას და ვედროთი წყალს. ჩაატარებს განწმენდით და სიუხვე-დოვლათის შენარჩუნების განმაპირობებელ რიტუალს. იგი ითვალისწინებს მილოცვას ოჯახის წევრებისთვის, ბელისთვის, საქონლისთვის. რიტუალის შემსრულებელი აადულებს წყალს, ჩადებს შიგნით მოტანილ ქვას და რომ გაყრის შინშხლებს, დაილოცება, რომ მის ოჯახს ჰქონდეს იმდენი სიკეთე და სიუხვე, რამდენიც ეს შინშხლება. ამ დღეს ჩაირეცხება ყოველივე ცუდი, ავი თვალთ შემონახედი და ცუდი კარგით განახლდება. ქვა მთელი წლის განმავლობაში დევს სახლის წინ, ისეთ ადგილას, რომ ჭიშკარს უყურებდეს და მას კი შემოსულის ავი თვალი მოხვდეს”.

მოსავლის მიღებაზე ზრუნვა გაზაფხულის დადგომიდანვე იწყებოდა. სვანეთში, თებერვალში დათქმულ დღეს იხდიდნენ “ლამპრობას”. ლამპარი იყო არყის ხის “თავის მხარეს დაჩქევილი კონა. პირველი ლამპარი მზადდება მოსავლიანობის მფარველი ღვთაების წმინდა მარიამის სახელზე, მეორე წმინდა გიორგის სახელზე კაცური ძალის დასაცავად და მესამე ცის ძალთა საამებლად, რომ წელი მშვიდობიანად და უხვად დასრულებულიყო. ლამპრობის დღესასწაულისთვის აცხოვდნენ სალოცავ კვერებს -“ლემზირებს”.

მსგავსი შინაარსისა იყო შუაზე ხის ძელდატნეული და წვერში ჯვარდასმული თოვლის კოშკის აგების ტრადიცია. “ლენტეხლები ეჯიბრებოდნენ ლაშხეთის თემის მკვიდრებს. გუნდებად დაყოფილი დღესასწაულში მონაწილენი ცდილობდნენ კოშკის თავისი მხარეზე წაქცევას. ვინც თავის მხარეს წაქცევდა, იმის მხარეს იმ წელს მეტი მოსავალი მოვიდოდა”.

სამეგრელოში, იმისთვის, რომ ავადმყოფობა და სატკივარი დამარცხებულიყო, ჯანსაღ ადამიანებს მუშაობა შეძლებოდათ და მოსავალიც უხვად მიეღოთ, არ იმუშავებდნენ მიწაზე შაბათ დღეს; მთიან სამეგრელოში ადგილის ღმერთის სახელზე ოქტომბერში ჩატარებული ლოცვა _ “გიმათუა” და ზემო რაჭული „კოლოკრობა” ერთი შინაარსისაა. “ოქტომბერი მოსავლის მოწვევის თვეა. რომ ხვავიანი ოქტომბერი გვექონდეს აღვნიშნავთ გიმათუას”¹. სამეგრელოში დღესაც არსებობს რწმენა, რომ, “თუ გიორგობას საქონელს რქაზე დაამაგრებ და დაანთებ სანთელს, გარანტირებული იქნება მისი უხვად წველადობა”; ყველიერის წინა ხუთშაბათს სამეგრელოში იხდიდნენ “კაპუნობას”. მსხვერპლად წირავდნენ ამ

1 ჰ. ჭარაიას და ი. ყიფშიძის განმარტებით, გიმათუთა, გუმათუთა, გჰმათუთა (გი/ჰმათუთა) ოქტომბერია, მკათათვეა. გიმათუთა<გიმუა თუთა<გიმუაში თუთა _ მკის, ტეხის თვე. ამ თვეში ტეხდნენ მკიდნენ ღმს. „სადარაჯოს გეურეთ გიმათუთაში ნაშიბუს“ _ დარაჯად უდგებართ ოქტომბრის მონაპოვარს (ო. ქაჯაია, I, 2001, გვ. 340)

№6 ოქტომბერი 2013

ქართული ტრადიციები

დღისთვის სპეციალურად გაზრდილ კერატს. დაკვლამდე ღორს კერას სამჯერ შემოატარებდნენ და თან კაპუნისას ეხვეწებოდნენ: “ღმერთო კაპუნია მრავალი ასეთი დღე გაგვითენ და ჩვენი ოჯახი ავესე საქონლით, დოვლათით. შემდეგ ღორს კერიაზე დააკლავდნენ. ცლიდობდნენ, რაც შეილება მეტი ხორცი ეჭამათ: კარგის ნიშანია და კაპუნია გაიხარებსო”.

ანალოგიური დღესასწაული იყო და არის მთიან აჭარაში - “შუამთობა”: “შუამთობის დღესასწაული არის შუა პერიოდი, როცა იაილებზე ვიმყოფებით. ამ დღეს ვმადლობთ ღმერთს, რომ ჩვენი იაილებზე ცხოვრება ნაყოფიერია, ბუნებისგან ხელშეწყობილი ვართ და ხორცი და საქონლის პროდუქტიც უზვად გვაქვს. ვილოცებით, რომ დარჩენილი პერიოდიც იაილებზე ყოფნისა ასევე ხვავრიელი იყოს”. მსგავსი რიტუალების შესახებ ცნობილია მთელს საქართველოში.

ზუსტად იგივე შეიძლება ვთქვათ ახალ, სავსემთავრეობასთან დაკავშირებულ რწმენებზე. იმერეთის ერთი პროვინციის, ოკრიბის მკვიდრთა თქმით: “რატომ არ ვიცი, ვერ ვხსნი მარა დაკვირვებით ვიცი, რომ ყველაფერი: თესვა, მოსავლის აღება-მინახვა, ყურძნის კრეფა, საზამთროდ გასაკეთებელი ძველ, სავსე მთვარეზე უნდა დაამზადო, რომ არ გაფუჭდეს და სავსედ და მსუყედ იყო მთელი ზამთარი. სამასალე ხეც ძველ მთვარეზე უნდა მოჭრა, რომ გაძლოს და მალე შესაცვლელი არ გაგიხდეს. გათხოვება-თხოვების საქმესაც სავსე მთვარეზე იზამდნენ, რომ სავსე შთამომავალი გაჩენილიყო”.

ამდენად, წინაპრებმა იცოდნენ (თუმცა ამას ვერ ხსნიდნენ), რომ არსებობს გარკვეული „სასურველი“ და „არასასურველი“ პერიოდები სამეურნეო საქმიანობაში, რომელთა დაცვა აუცილებელი იყო. ეს ერთგვარად ზეციურ ძალთა დამოკიდებულებაზე და მორჩილებაზეც მიანიშნებს, რომ ინდივიდს არ ძალუძს სამყაროში ყველაფრის უგულვებელყოფა და ყველაფერი უფლისგან არს. ღვთის მოსაწონი მოძრაობა, მოქმედება, გარჯა არის უფლისაგან სანაცვლოს მიღების ერთგვარი გარანტია: “ისიამოვნე უფლის მიერ და ის აგისრულებს გულის წადილს” (ფს. 36:4).

ცნობილია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში, გარდა ხევსურეთისა, არსებობდა გაუყოფელი დიდი ოჯახები. მსგავსი ოჯახების არსებობის საფუძველი იყო საქართველოს მოცემული კუთხის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით განპირობებული მეურნეობის ფორმა. “დიდ მეურნეობას სჭირდებოდა დიდი მუშახელი. კარგად მოვლილი მეურნეობა კი დიდი შემოსავლის და კეთილდღეობით ცხოვრების საფუძველი იყო”. გაუყოფელი ოჯახის ტიპი XIX საუკუნის ბოლომდე იქნა შენარჩუნებული საქართველოს იმ რეგიონებშიც, სადაც ძალით გაამაჰმადიანეს და საიდანაც იძულებით გაასახლეს ადგილობრივი მოსახლეობა საბჭოეთის მაჰმადიანურ რესპუბლიკებში. იანეთელ რეპატრიანტებს “ვიდრე სახელმიფო ისე მოეწყო, რომ ერთ, გაუკოპელ¹ ოჯახს ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო კარგად შეეძლო ცხოვრება”, შენარჩუნებული ჰქონდათ ასე ცხოვრების ტრადიცია. “ვიდრე გაკოპამდე, მამის დიდი ოჯახისთვის დამახასიათებელი იყო ქონებაზე საკუთრების საერთო-საოჯახო ხასიათი. გაუყოფელ ოჯახებად, საბიძგელო დიდი ოჯახად ცხოვრების ტრა-

დიცია უზბეკეთში გადასახლების პერიოდში დაიკარგა. ქალი მოიყვანე, მაგის ბავშვები არის, ერთი ოჯახობაა, მეორეც, ერთი ოჯახი უყე არის ხო?! ერთი ოჯახში ხო არ შიიზლება 20 სული. თან ცხოვრება თანდათან უკეთდებოდა”. გაყოფის შემდეგ, რეპატრიანტ მესხთა წეს-ტრადიციითაც სახლში დამრჩომ უმცროს ბიჭს ბოლოს, “დედ-მამის მოვლის სანაცვლოდ”, მათი გარდაცვალების შემდეგ რჩებოდა მშობლების ქონება: “პატარის მამასთან დარჩენის მიზეზი ის იყო, რომ ის პატარაა. გაყოფისას მამას თავის წილი ერგებოდა, წასასვლელ ძმებს თავთავისი. მამის სიკვდილის შემდეგ მამის წილი მასთან დარჩენილ უმცროსი შვილის იყო. სრული წილი ერგებოდა ნაშვილებ შვილსაც”. XIX საუკუნის ბოლომდე, არც აჭარელ გამაჰმადიანებულ ქართველთა ოჯახებში შეცვლილა გაუყოფლად ცხოვრების ტრადიცია. მიზეზი აქაც მეურნეობის ფორმა იყო, შედეგი კი “ძლიერი წელ-გამართული ცხოვრების შექმნა”. საქართველოს ყველა თემში არსებული წესით, გაყოფისას ძმებს მიწას შეიძლება არ გაუყოფდნენ, თუმცა მისი წილის შესაბამის მიწას, “არსებობის მთავარ სახსარს” უყიდდნენ. ოჯახში დარჩენილ, გაუთხოვარ ქალსაც თავის წილი მიწა ჰქონდა. გათხოვების შემდეგ “თუ მამის ოჯახთან ახლოს გათხოვდებოდა, მიწას გაუყოფდნენ, არა ძმის წილს, მაგრამ მაინც. თუ არა და, უყიდდნენ”. ღირს ვიფიქროთ, რომ „გაუყოფელი ოჯახი“ მისაღები იყო ქართველთათვის, რამდენადაც ყოველწლიური კომლობრივი გადასახადის გადახდისას (მაგალითად, ჯიზიათი არაბთათვის) დაყოფა ზრდიდა საგადასახადო ტვირთს ოჯახისთვის.

საქორწინო წესების კვლევა ადასტურებს კავკასიაში, შუა აზიასა და ებრაელებში ფართოდ გავრცელებულ და “სვანეთში იშვიათად მომხდარ”, დაქვრივებული რძლის მაზლზე გათხოვების შემთხვევას. სვანეთში აღნიშნული ფაქტი იშვიათი იყო და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ იგი გვაროვანი წყობილებიდან შემორჩენილ ტრადიციად. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, შეიძლება სულ ბოლო ფაქტორად, მაგრამ მაინც დავასახელოთ შვილმკვდარი ოჯახის ფინანსური დაინტერესების ფაქტორი. დაქვრივებულ, გათხოვილ რძალს გათხოვების შემთხვევაში ქმრის ოჯახიდან შეიძლება წაეღო თავისი მოტანილი მზითვი და მისი შვილის წილიც. ეს კი ოჯახისთვის “ეკონომიკურად დიდი დანაკლისი” იყო. დასახელებული ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ რძალი მეორედ არ გათხოვილიყო და ოჯახიც ეკონომიკურად არ დაუძლურებულიყო.²

საქართველოს მთაში არსებული ხევისბერისა და მახვიშის ინსტიტუტები დღეს აღარ არსებობს. თუმცა 2013 წლის ექსპედიციის დროს ლაშხეთის თემში ჩაწერილი მასალები ადასტურებს, რომ არსებობს თემის საკითხების გამრჩევი (სამი-ოთხეკაციანი კომისია) და სულიერების

2 ეთნოგრაფიული მასალები ასახელებენ აგრეთვე: ბებია-ბაბუსთვის შვილიშვილის შესაძლო დაკარგვისგან დაცვის მიზეზს; მუშაობდა პრინციპი “ჩემი კარგი მე მყავდესო”; ქართულ ოჯახში ქალი, აღიქმებოდა, როგორც ინდივიდი, იგი საკუთარი ქმარ-შვილის და ოჯახის ერთგული, ღირსება და დედა იყო და ამდენად მთავარი “რძლისგან პატიოსნების, შეურცხვენელი სახელის” შენარჩუნება იყო.

1 დიალექტური ფორმები ძირითადად დაცულია.

საკითხის “მომწესრიგებელი“ “მლზნ“-ის ინსტიტუტი. “მლზნ“ შეიძლება იყოს 3-4 კაციანი კომისიის წევრი. კომისია წყვეტს სოფლის საჭირობოროტო საკითხებს. “მთავრობამ რომ გამოყოფილი, კომისია მიუთითებს მას რაში დახარჯოს. თუ არ დაემორჩილა ოფიციალური ხელისუფალი, მაშინ მთელი თემი განუდგება. ერთ წელიწადს ამ ფულით მე, როგორც კომისიის წევრმა მიცვალებულის “ლედნიკი“ და ჭირის სუფრისთვის ჭურჭელი ამოვიტანე. ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს წესი შევინარჩუნეთ ამ ფორმით.” ამდენად, ეს ფაქტობრივად არის ადგილობრივი თვითმმართველობის გარკვეული ფორმა, რომელიც ადგილობრივი საჭიროებების მოგვარებაზე პასუხისმგებელი; ეს ორგანო ასრულებს გამგეობის რწმუნებულის (ე.წ. სოფლის რწმუნებულის), ფუნქციასაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამა თავისი არსით გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და ამ საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული ინსტიტუტის საქმიანობის კვლევამ დაადასტურა, რომ დანარჩენი საქართველოს მსგავსად, ბევრ წესსა და რიტუალს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური საფუძველი გააჩნია. კონკრეტულად, შეიძლება ყურადღება გამახვილდეს გადასახადის ფულად და მიგებით ფორმაზე. კომისიის და “მლზნ“-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით ეხმარებიან პიროვნებას ისეთ სავალდებულო საქმეში, რასაც ჰქვია მიცვალებულის დაკრძალვის ორგანიზება. “ათხოვებენ დღესასწაულის დროს მლზნ-ის დალოცვის საფუძველზე შემოსულ თანხას. შესაბამისად, მოცემული პიროვნებას, მთლიანად ოჯახს ექმნება ზუსტად ანალოგიური ხასიათის ვალდებულება და მხმარეთა მიმართ, რომ გაისტუმროს თანხა. რა თქმა უნდა, ასეთ ვალდებულებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა, პიროვნება ვალდებულად თვლის თავს, ახლობლებში შერცხვენის, თუ მომავალში ასეთი დახმარების ვერ მიღების შიშით“ (მთხრობელი თემურ ლობჯანიძე). საქართველოს მთავრი დღესაც არსებობს ტერიტორიულ-სამეზობლო თემი და მას არაფერი აქვს საერთო პირველყოფილ საზოგადოებასთან. სოფელთა გაერთიანებას, ერთ გვარს, ან გვარის განაყოფს (დღეს სვენეთში “ლამხუბი“, “მოგვარა/განაყოფი იგივე თემია), თემის წევრების მიერ არჩეული, ასაკით და შესაბამისად გონიერებით, სამართლიანობით, მიუკერძოებლობით, წეს-ტრადიციების დამცველობით, ქართულის სიყვარულით გამორჩეული მახვში (ხევისბერი, ხუცესი, ხუცი) ჰყავდა. იგი იყო სასულიერო ხელისუფალიც. თემთა გაერთიანებულ შეკრებაზე, ხევის ყრილობაზე სვანეთში გაერთიანებული თემების ხევისბერთან ერთად ირჩეოდა თემის საჭირობოროტო საკითხები: ცხოვრების სტრატეგია, საზღვრების საკითხები, ეკლესიების, ხატმსახურების (მაგ., ხატის მიწებზე მოწეული მოსავლის დღესასწაულებისთვის გამოყენების და ა.შ) მომენტები, გზათა მშენებლობის საკითხები, იურიდიული, ჩვეულებითი სამართლის საკითხები, სასჯელის ფორმები: “პატივისცემა და რიდი იყო. იცოდა, რომ ყველა გადაწყვეტილება შენთვის სასიკეთო იყო. სვანეთში ყოველგვარი უბრა-

ლო, თუ სასიხლო საქმე ადგილობრივ სასამართლოში მორვალის (მსაჯულ-მედიატორის) მეთავეობით განიხილებოდა. აირჩევდნენ ორივე მოდავე მხრიდან, ვისაც შეეძლო სამართლიანად გადაეწყვიტა. “ისინი განაჩენის გამოტანამდე თხოვდნენ ღმერთს, რომ მიეცა მათთვის სწორი განაჩენის დაყენების უნარი. დამნაშავე მხარე გადაუხდოდა დაზარალებულ მხარეს იმ საფასურს, რასაც დაუდგენდნენ. მართალია ეს სრული კომპენსაცია არ იყო, მაგრამ ფინანსური მხარე უუმჯობესდებოდა დაზარალებულს და ემორჩილებოდა განაჩენს“. მთავორიან საქართველოში მოწეული პროდუქტები მცირე და მწირი იყო. ამიტომ, “ცხოვრების უკეთესი პირობების მოწყობისთვის, ოჯახის და სტუმარ-მასპინძლის პატივისთვის“ საქართველოს მთისა და მთისწინეთის მკვიდრნი (სვანები და რაჭველ-ლეჩხუმლები) თესვას და დათესილის მოვლას მორჩებოდნენ და გარე სამუშაოებზე (“ფიზიკურად შემძლე სვანის ფასიც უფრო ძვირი იყო ვიდრე სხვებისა“ - აღნიშნავენ მთხრობელები) დადიოდნენ. დამქირავებლის ძირითადი ინტერესი ფიზიკურად ძლიერი და მაღალი შრომის ნაყოფიერების მქონე მუშახელი იყო, ხოლო დაქირავებულის მოტივაცია - ფულადი შემოსავლის მიღება. ამინდის ხშირი ჭირვეულობის და ცვალებადობის გამო საჭირო იყო გადარჩენილი მოსავლის დროულად აღება. ეს იყო მიზეზი გავრცელებული შრომის კოოპერაციის მეთოდისა - ნადის. შრომის ბაზრის განუვითარებლობის პირობებში საუკეთესო გამოსავალი იყო „გაცვლა“ - შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ეფექტიანობის ამაღლების ერთგვარი საშუალება, ავანსი, რომელიც იმავე ფორმით ეტაპობრივ გასტუმრებას საჭიროებდა: “ოჯახს ეხმარებოდნენ ანაზღაურების გარეშე, სამაგიერო დახმარების იმედით. სვანეთში, ლინდი (მამითადი) გამოიყენებოდა ერთი ოჯახის შესაძლებლობების ფარგლებს აღმატებული ქვის სახლებისა და კომპების აშენების დროსაც“. საქართველოს ყველა რეგიონში უნდა მიექცეს ყურადღება ტურიზმის განვითარებას, თუმცა ვფიქრობთ, რომ ტურისტული პროდუქტისთვის ისტორიული იერ-სახის შეცვლა და თანამედროვე ტექნოლოგიების მასში შერევა არც თუ სასურველ შედეგს გამოიღებს. ვფიქრობთ ყველა განხილული და სხვა უამრავი საკითხის ჩვენს მიერ შემოთავაზებული კუთხით შესწავლა, საშუალებას მოგცემს გავაანალიზოთ ეთნოსის სამეურნეო და ეკონომიკური მდგომარეობა, საქმიანობის პრობლემები როგორც წარსულში, ისე თანამედროვე პირობებში, შევფასოთ ტრადიციულ სამეურნეო ყოფასა და წეს-რიტუალებზე ეკონომიკის ზემოქმედების ხარისხი.

დავით შავინაძე

ისტორიის აკადემიური დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკ. ნერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოც. პროფესორი

ნიკო ჩხლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის
დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

THE FINANCIAL-ECONOMICAL BASIS OF THE GEORGIAN CUSTOMS

(Based on the ethnographic material)

David Shavianidze

Ph.D. in History, Associate professor of Akaki Tsereteli State University

Niko Chikhladze

Doctor of Economics, Doctor of Theology, Full Professor of Kutaisi University

Latest material gained from the Georgian communities and the observation on Georgian customs makes it clear that personal relationship, personal features and also social rights and condition have undergone some kind of changes.

The ideological and theoretical basis to conduct agricultural activities in Georgia was the Holy Scripture and how to lead the agricultural work was based on it. The latest was considered to be the science about the honest work, to lead the household and in general, the national thrift (economy) with the own strength, to work with love and support on the basis of Christian doctrine. Though, monotheistic Christianity was preceded by the period of faith to influence on nature by the magic way, when people with the help of magic rituals twice a year in spring and autumn perform religious ceremonies and spells to achieve their goals. In the mountainous regions of Georgia there are still some rituals to protect crops and increase productivity.

Among such kind of rituals we can name Thursday of Easter week (Holy Thursday) ritual in Svaneti – “tanpatsaash”, that protects the family from the evil eye, it serves to clean and renew the family. Preparations for harvesting started immediately from the early spring. In Svaneti, “lamproba” was celebrated in February on a fixed day. “Lampari” it was a bunch of a birch tree. The first “Luminari” (lampari) was done in the name of St. Mary the guardian deity of crop capacity, the second one in the name of St. George to protect the man’s power and the third one to please the year to be peaceful and plentiful. For this holiday a special pie “lemzirebi” are baked.

In Samegrelo (Megrelia), in order to overcome the illness and ailment and a healthy man to have the opportunity of work and have a lot of harvest, the did not use to work on the land on Saturdays; The prayer “Gimatua” performed in October for the name of the God of places in Samegrelo and “Kolokroba” performed in the upper part of Racha had the same sense.

The similar holiday was and is still celebrated in the mountainous part of Achara “Shuamtoba”: This is the middle period of the holiday. On this day we thank God that our life in is fruitful, nature helps us and we have plenty of meat and products. We’ll continue to pray to have the abundant future. Rituals like this are known throughout Georgia.

The same can be said about the faith of the full moon phase. As the residents of Okriba, the province in Imereti, say: “I don’t know exactly, but according to the observation everything- sowing, harvesting, vintage, keeping products for winter – should be done during the full moon phase not to be spoiled and to be kept throughout the winter. Timber should be cut during the old moon phase to endure and not to be replaced soon. The wedding ceremony also took place during this period to have the good descendants.

Thus, our ancestors knew (though they could not explain), that there exists to be ‘desired’ and “undesirable” periods in agriculture and it was vital to follow them. It also indicates that there is some kind of divine power of dependence and obedience, and an individual can’t neglect everything and everything is from God. The activities liked by God are in return for guarantee.

It is known that in all parts of Georgia except Khevsureti existed big families. It was due to the natural-geographic conditions of the farm. “Big farm needs a lot of manpower. Well kept farm was the basis of a good life and income.” This type of families were till the late period of the XIXth century even in those regions where the residents by converted

into Moslems force were and were exiled to the Moslem republics of the Soviet union.

Unmarried woman in the family had her share of the land. If she got married not far from the family her share was given or the new land was bought for her. These kind of big families were acceptable for Georgians, as the taxes were very hard for them to pay.

There no longer exists foreman (khevisberi). Though, material gain in Lashkheti proves that there exists a group of 3-4 men and they deal with the problems of community. They solve the problems of the village. When the government funded the village, they give instructions how to spend it. If the officials do not obey them then the whole community opposes. Thus, this is actually a form of local self-government, which is responsible for local needs; this institution serves as the board’s representative (called the trustee) function. It is worth noting that in the last years the government carried out State Rural Support Program. The program in its essence implies the various needs of the local population and society’s involvement to solve them. The research of the work of the given institution has proved that like the rest of Georgia, a lot of customs and rituals have economical and financial basis. With the committee’s decision a person is helped in a range of cases for example to organize funeral.

In the mountainous part of Georgia there still exists territorial – neighboring Community and it has nothing in common with the primitive society. The union of villages and families had a foreman elected by the members of community distinguished from others by his age and intelligence, fairness and impartiality, was tradition protector and devoted to Georgian language. At the community meetings in Svaneti together with the foreman the issues of the community were discussed: the strategy of life, the issues of borders, churches, building the roads, legal points and the forms of punishment: “There was respect and esteem. One knew that every decision was for your benefit.” Every point, either simple or difficult was discussed by the local judge-mediator. They were chosen from the both sides. “Before making any decision they begged God for help in making the right verdict. The side, pleaded guilty, had to pay the victim the stated charge. It did not mean the full compensation, but the victim’s financial condition was improved and he obeyed the verdict.” The harvested crops in the mountainous part of Georgia was little and not enough. So “to create better living conditions, to respect family and guests” the residents of mountain (people from Svaneti and Racha-lechkhumi) while finishing the sowing and other agricultural works they used to go outside to work somewhere else (it is said that “A man from Svaneti in a good physical form was worth more than any other”). Main interest of the employer was to have physically strong and efficient employees, but the motivation of the employee was the financial income. Because of the changeable weather it was necessary to harvest crops in time. It was the reason of the spread working cooperative method – Nadi. As the working market was not developed the best way out was “exchange” – one of the ways to increase the working productivity and efficiency,

Payment on account, which needed to be paid time by time. The development of tourism should be paid attention in every region of Georgia, though we think that changing the historical exterior and mixing modern technologies in it won’t be successful. We think that all the discussed issues from our point of view will help us to analyse agricultural and economic conditions of ethnos, problem in the past and nowadays, evaluate the effect of economy on economic conditions and customs and rituals

ქართული ეკონომიკური აზრის სიმასინჯის კლასიკური მახალითი

„არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და არც რამ დამალული, რომ არ გამომჟღავნდეს“, ბიბლია, მარკოზი 4.22.

გამომცემლობა „უნივერსალმა“ 2013 წელს გამოსცა ლალი ხიხაძის წიგნი „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი შეთანხმებები და საქართველოს საგარეო პოლიტიკა“. წიგნის სამეცნიერო რედაქტორად ავტორმა ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე, თვითნებურად მიწერა სახელოვანი მეცნიერისა და უპატიოსნესი ადამიანის გვარი, რომელსაც ფაქტობრივად არანაირი წვლილი არ მიუძღვის სარეცენზიო წიგნის რედაქტირებაში. მისი სამეცნიერო ტიტულებისა და მაღალი ავტორიტეტის ფარულად გამოყენება წიგნის ავტორისთვის ჩვეული თაღლითობის ერთ-ერთ რიგით მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან წიგნზე რეცენზენტებად მინიშნებულია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს სრული პროფესორი **თეიმურაზ შენგელია** და ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **გულნაზ ერქომაიშვილი**. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რეცენზენტებსაც, ისევე როგორც სამეცნიერო რედაქტორს, აღნიშნული წიგნის ხელნაწერთან შეხება არ ჰქონიათ და მასზე არანაირი დასკვნები არ დაუწერიათ. თუ მართლაც მეცნიერული კეთილსინდისიერებით დაიწერა რეცენზიები უთოდ უარყოფითი იქნებოდა.

ვიდრე წიგნის შინაარსის შეფასებაზე გადავიდოდეთ, მინდა მკითხველს მივაწოდო რამდენიმე ფრიად საგულისხმო ინფორმაცია. ზემოხსენებული სათაურით გამოცემული წიგნი ლ. ხიხაძემ 2013 წლის გაზაფხულზე წარადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კომისიაზე, სადაც იგი აცხადებდა პრეტენზიას ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე. ნაშრომი წარმოდგენილი იყო კონკურსანტის ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციის (მონოგრაფიის) სტატუსით. მეორე საგულისხმო მომენტი ისაა, რომ წიგნი ავტორმა გამომცემლობა „უნივერსალს“ დააბეჭდვინა ორ ეგზემპლარად, საიდანაც ერთი დაიტოვა თავისთვის და ერთი ცალი წარუდგინა აკადემიური პერსონალის შესარჩევ საკონკურსო კომისიას. მას შემდეგ, რაც კომისიამ (და მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორმა) უარყოფითად შეაფასა კონკურსანტ **ლ. ხიხაძის** ზემოხსენებული სამეცნიერო ნაშრომი და სამართლიანად ვერ დაიკავა მიუღებელი აკადემიური თანამდებობა, მან მისთვის ჩვეული „მოხერხებულობით“ მიაღწია მისი პირადი საკონკურსო საბუთებიდან წიგნის ამოღებას. წიგნის ორივე ეგზემპლარი მის ხელთ აღმოჩნდა, თუმცა ლ. ხიხაძემ ის ვერ გაითვალისწინა (უფრო კი არ იცოდა), რომ გამომცემლობებს

აქვთ ვალდებულება მათ მიერ გამოცემული ბეჭდური პროდუქციის ერთი ეგზემპლარი მაინც საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკას უნდა მიაწოდონ. ასეც მოხდა, გამომცემლობამ წიგნის ერთი ეგზემპლარი გაუგზავნა ბიბლიოთეკას და იგი როგორც იშვიათი ერთეული, სპეციალურ ფონდში ინახება. გამომდინარე აქედან, წიგნი არ გავრცელებულა არც ერთ საქალაქო ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში. ამრიგად, ლ. ხიხაძის მიერ წიგნის 2 ეგზემპლარად გამოცემის მთავარი მიზანი იყო საკონკურსო კომისიისთვის თვალის ახვევა და შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რასაც მან ვერ მიაღწია. საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე განაწყენებული ლ. ხიხაძე იწყებს ჩივილს სასამართლოში (მან ამ ბოლო 2 წელიწადში 3-ჯერ მიიღო მონაწილეობა კონკურსში და სამივე წარუმატებლობა გასაჩივრა სხვადასხვა ინსტანციებში) და უჩივის როგორც კომისიას, ასევე კონკურსში გამარჯვებულს, მომჩივანის საკანდიდატო დისერტაციის მეცნიერ ხელმძღვანელს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ლარისა ყორღანაშვილს**, რომელმაც წარმატებით გაიარა კონკურსის ყველა ეტაპი და ღირსეულად დაიკავა ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. არ მინდა ამ მოვლენას შეფასება მივცე, მაგრამ აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ჩვენი დიდებული მეგობრის აკაკი წერეთლის გენიალური ნაწარმოები „**გამზრდელი**“. მას შემდეგ, რაც **ლ. ხიხაძეს** სასამართლომ არ დაუკმაყოფილა სარჩელი (თუმცა, როგორც ჩანს, იგი მისთვის ჩვეული ხრიკებით კიდევ აგრძელებს დავას), მან მიმართა ახალ თაღლითურ მეთოდს და შეეკედლა სპეციალურად კონკურსის დამთავრებისთანავე რევენშიზმის მიზნით თანამოაზრეებთან (კონკურსში წარუმატებელთა) ერთად შექმნილ ე. წ. „განათლების რეფორმის მხარდამჭერთა ასოციაციას“. ამ ორგანიზაციის მთავარი დანიშნულებაა არა განათლების სისტემაში რეფორმების მხარდაჭერა, არამედ, მათთვის მიუღებელ და მტრად გამოცხადებულ პირთა ლანძღვა და ტალახის შესხმა, რასაც ისინი აკეთებენ კიდევაც. ამ ნაწილში აქ დავსვამ წერტილს და ქვემოთ შევეცდები იმის დასაბუთებას, რატომ არ დავუჭირე მე, როგორც აკადემიური პერსონალის შესარჩევი კომისიის წევრმა, მხარი **ლ. ხიხაძის** კანდიდატურას და შეიძლება თუ არა მისი და მისი მსგავსი „მეცნიერების“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად არჩევა.

თავიდანვე ვიტყვი, რომ **ლ. ხიხაძის** მონოგრაფიული ნაშრომი „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი შეთანხმებები და საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ კომისიის თვალის ასახვევად და პროფესორის თანამდებობის

დასაკავებლად გამოიცა და ფართო საზოგადოებისა და მეცნიერ-ეკონომისტებისთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, არის ქართული ეკონომიკური აზრის სიმახინჯე, რაც ნამდვილად სამწუხაროა, რადგან ეს ფაქტი ლახავს მთლიანად თანამედროვე ქართული ეკონომიკური სკოლის ავტორიტეტს. თუმცა სიტუაციას არბილებს ის გარემოება, რომ ამ ნაშრომის ავტორი ლ. ხიხაძე როგორც მეცნიერი თვით ეკონომისტებშიც კი არ წარმოადგენს ცნობად სახეს და იგი საზოგადოების გარკვეულ წრეში აღიარებულია, როგორც საკუთარ თავზე ამპარტავნული წარმოდგენისა და თანამდებობის მისაღებად არაკეთილსინდისიერი ინოვაციების ავტორი, რაზეც მეტყველებს მის მიერ ყოველი კონკურსის შემდგომ კომისიის წევრებზე უამრავი ღია და ფარული პასკვილებისა და ბინძური ჭორების ნოვატორული მეთოდებით გავრცელება.

როგორც წიგნის დასათაურებიდან ჩანს, მასში კვლევა უნდა წარმართულიყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ძირითადი შეთანხმებებიდან გამომდინარე საქართველოს საგარეო პოლიტიკაში განხორციელებულ სიახლეებზე და თავისებურებებზე. ნაშრომის შინაარსის უბრალო დათვალიერებაც კი საკმარისია იმის დასადგენად, რომ წიგნის სათაური და შინაარსი ისეა დამორებული ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა.

წიგნი იწყება შესავლით, სადაც უაზრო საუბარია ყველაფერზე და საბოლოო ჯამში არაფერზე. არადა, მონოგრაფიული გამოკვლევის აუცილებელი ეტაპებია კვლევის მიზნის ფორმულირება, კვლევის ამოცანების ჩამოყალიბება და საკვლევი პრობლემის ირგვლივ გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, მიღწეული შედეგების ანალიზი და შეფასება და არსებულ პრობლემათა გამოვლენა. ავტორმა მიიჩნია, რომ იგი საგარეო ვაჭრობის პრობლემებზე ერთადერთი მკვლევარია საქართველოში და არც კი მოიხსენია არა თუ ამ დარგის მსოფლიოში და საქართველოში ცნობილი მკვლევარები, არამედ, ისინიც, ვისგანაც პირწმინდად გადაწერა და არაკეთილსინდისიერი გზით შეაკოწიწა თავისი ნაშრომი.

ნაშრომის სტრუქტურა (შინაარსი) ღიმილის მომგვრელია. იგი იწყება ნაწილი 1-ით, რომელაც ჰქვია „გლობალიზაცია სამეურნეო ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ფორმა“. ამ დასათაურებაში კარგად ჩანს ავტორის კვალიფიკაციის დონე. მისი აზრით გლობალიზაცია მხოლოდ სამეურნეო ინტერნაციონალიზაციაში ვლინდება, რაც ნამდვილად ახალი „მიგნება“ თანამედროვე მეცნიერებაში. ამას თავი დავანებოთ, აქ სხვა რამ არის უფრო საყურადღებო. ნაშრომის სტრუქტურაში ნაწილი 2 საერთოდ გამოტოვებულია, იგი არც ტექსტში იძებნება, თუმცა, ტექსტში არც პირველი ნაწილი არაა ცალკე გამოყოფილი. ასეთი ზერეღე მიდგომა მკითხველისადმი უპატივცემლობა და ავტორის „მაღალი განსწავლულობა“ ნაშრომის თითოეულ გვერდზე მკაფიოდაა გამოხატული.

ნაშრომი შედგება ორი თავისა და 8 პარაგრაფისგან, რომლებიც სიახლოვესაც არ ასახავენ მის დასათაურებას და შინაარსს. გაუგებარია თავში „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მისია გლობალიზაციის პირობებში“ რა პრინციპით იქნა შეტანილი პარაგრაფი „საქართველოს

სატარიფო პოლიტიკის შესახებ“, ხოლო მეორე თავში „საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ეროვნული მოდელის სრულყოფის შესახებ“ რატომ აღმოჩნდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში კომერციული დავების მოგვარების საკითხები. ამრიგად, ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც მისი დასახელებიდან გამომდინარე უნდა ორიენტირებულიყო ორ ძირითად ასპექტზე - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ შეთანხმებებზე და საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკაზე, იგნორირებულია და შესაბამისად ტექსტი წარმოადგენს ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელ პარაგრაფთა უაზრო კონგლომერატს, რომლებსაც არათუ მეცნიერული ღირებულება, არამედ სასწავლო დანიშნულებაც არ გააჩნიათ.

ნაშრომის პირველ პარაგრაფს „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფუნქციები, პრინციპები, მიზნები და ამოცანები“, არაფერი საერთო არა აქვს წიგნის სათაურთან, არანაირ მეცნიერულ მიგნებებს არ შეიცავს და სამწუხაროდ არც სასწავლო დანიშნულებით არ შეიძლება მისი გამოყენება, რადგან, იგი უაზროდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაგმენტების ნაზავია და სიღრმისეულად არც ერთ საკითხს არ ასახავს. ამავე დროს იგი (10, 11, 13, 14, 15, 16 გვერდები) პირწმინდად გადაწერილია სხვა ნაშრომებიდან (წყარო: ოხანაშვილი ნ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №22, აპრილი, 1999, გვ.3-4; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი: http://mfa.gov.ge/?sec_id=547&lang_id=GEO).

ამასთანავე, იმდენად მოძველებული მასალაა გამოწერილი, რომ დღევანდელი გადასახედიდან არც ერთ საკითხს არ გააჩნია მეცნიერული დატვირთვა. უფრო მეტიც, პარაგრაფის სათაური და გადმოწერილი ტექსტი ერთმანეთთან შეუსაბამოა, სათაურში ხსენებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებზე ტექსტში ერთი სიტყვაც არა არის ნახსენები.

ნაშრომის მეორე პარაგრაფის „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი შეთანხმებები“ გვერდები 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49 სიტყვა-სიტყვით გადაწერილია შემდეგი ნაშრომებიდან: ოხანაშვილი ნ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და საქართველო, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №22, აპრილი, 1999, გვ. 23-24; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოხსენებული ვებ-გვერდი. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორის მეცნიერულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სხვის ნაშრომში სიტყვების „მსო-ს“ (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) „ვმო-დ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) გადაკეთება. ნაშრომის ეს ნაწილი, რომელიც გატანილია წიგნის დასათაურებაში, აბსოლუტურად არ ასახავს დღევანდელ რეალობას. ლ. ხიხაძე ჩარჩა 1999 წლის სივრცეში და ზედაპირულად გადმოწერა ის სამი გენერალური შეთანხმება, რომელიც იმ დროისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვანს, რადგან, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი შეთანხმებები (მაგ-

ლითად, „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“, „სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ“ და სხვ.) გაფორმდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ შემდგომ წლებში, რაც, ბუნებრივია. 1999 წელს გამოცემულ გამოკვლევაში ვერ აისახებოდა.

ასევე განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი **ლ. ხიხაძის** მეცნიერულ „პატიოსნებას“. კერძოდ, მის „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ **1999 წელს გამოცემული ნაშრომიდან, როდესაც ჯერ კიდევ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ახალი დაარსებული იყო და საქართველო არ იყო მასთან საბოლოოდ მიერთებული, მან არ „დაამახინჯა“ სხვისი ნაშრომი და ყველაფერი უცვლელად გადმოიტანა თავის 2013 წელს გამოცემულ წიგნში.** მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. **ნ. ოხანაშვილი** თავის ზემოხსენებულ ანალიტიკურ გამოკვლევაში მოიხსენიებს საქართველოს კანონს „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 20 მარტს. პლაგიატი **ლ. ხიხაძე** არც დაფიქრებულა იმაზე, რომ, ჯერ ერთი, კანონს ეწოდებოდა „საბაჟო ტარიფის...და არა საბაჟო ტარიფების (რაც გაეპარა გამოკვლევის ავტორს), ხოლო მეორე, აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 1 იანვრიდან მას შემდეგ რაც 2006 წელს მიღებულ იქნა საბაჟო კოდექსი. ეს უკანასკნელი კი გაუქმდა მას შემდეგ, რაც 2011 წელს ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი.

ლ. ხიხაძის პლაგიატობას ემატება თავხედობაც, რაც უნიკალური მოვლენაა მეცნიერებაში. ამის მკაფიო მაგალითია **ნ. ოხანაშვილის** ნაშრომიდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი შემდეგი ნაწილი: „სხვა ქვეყნების საბაჟო ტარიფების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი უმრავლესობა იმპორტის რეგულირების მიზნით იყენებს ფართო დიაპაზონში დიფერენცირებულ განაკვეთებს. ამასთან, როგორც წესი, სოფლის მეურნეობის სფეროში საშუალო შეწონილი ტარიფი საგრძნობლად უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობის სექტორში. განვითარებულ ქვეყნებში როგორცაა მაგალითად ჩეხეთი, კანადა, აშშ-ფართოდ გამოიყენება ე. წ. „სატარიფო ქვოტები“ იმპორტზე, როცა დადგენილი ქვოტის ზევით იმპორტი ექვემდებარება გაზრდილი განაკვეთით დაბეგვრას“. ზუსტად ამის იდენტური ტექსტია გამოცემული **ლ. ხიხაძის** სარეცენზიო წიგნში 46-ე გვერდზე. როგორც ჩანს, **ლ. ხიხაძესაც** შეუსწავლია სხვა ქვეყნების საბაჟო ტარიფები და 1999 წელს **ნ. ოხანაშვილის** მიერ გაკეთებულ დასკვნებამდე მისულა. აქ უკვე კომენტარის გაკეთება ზედმეტია.

ნაშრომის მეორე თავში „საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ეროვნული მოდელის სრულყოფის შესახებ“ არც ერთი პარაგრაფი არ ასახავს მის შინაარსს. რა მოდელზეა საუბარი და რაში მდგომარეობს მისი სრულყოფის გზები და მიმართულებები, ამაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. ეს ნაწილი, როგორც ჩანს, წარმოადგენს ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული სტატიების მექანიკურ კრებულს, რომლებზეც უაზროდ მორგებულია არაფრის მთქმელი სათაური.

დაკვირვებული მკითხველი **ლ. ხიხაძის** მონოგრაფიაში აუცილებლად შეამჩნევს ავტორის კრეატიულ-თავ-

ხედური შემოქმედების არაერთ მაგალითს. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ავტორი სხვისი ნაშრომებიდან გადმოწერილ ტექსტში მექანიკურად ცვლის ძველ თარიღებს ახალი თარიღებით, ხოლო დანარჩენ მოძველებულ სტატისტიკურ მონაცემებს უცვლელად ტოვებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. მონოგრაფიის 56 გვერდზე წერია, რომ 2011 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 6456,9 მლნ აშშ დოლარი, აქედან ექსპორტი 1240,0, ხოლო იმპორტი-5616,7 მლნ აშშ დოლარი. ეს ციფრები ოფიციალური სტატისტიკის მაჩვენებლებთან ახლოსაც კი არაა და მილიარდობით ცდომილებას შეიცავს. ფაქტობრივი მაჩვენებლები სავაჭრო ბრუნვის, ექსპორტისა და იმპორტის შესაბამისად შეადგენდა 9247,0, 2189,0 და 7058,0 მლრდ აშშ დოლარს. ავტორმა ინტერნეტ-რესურსიდან აიღო 2011 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემები და იგი „გაასადა“ როგორც მთელი წლის შედეგები.

2. წიგნის 57 გვერდზე ავტორი წერს, რომ „საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2011 წელს 3976,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს“ და შემდეგ ჩამოწერილია მთელი სტატისტიკა, რომელთაგან არც ერთი მაჩვენებელი არაა სიახლოვეს ოფიციალურ სტატისტიკასთან. მაგალითად, 2011 წელს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო ფაქტობრივად შეადგენდა 4869, 9 მლნ აშშ დოლარს და არა ავტორის მიერ გამოგონილ ზემოხსენებულ ციფრს.

3. ნაშრომის 62 გვერდზე **რ. ფუტკარაძის** სტატიიდან გადმოწერილ ციტატას უაზროდ მიზმული აქვს შემდეგი „უმსხვრილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის დსთ 4 ქვეყანა და მათზე მოდის მთელის (? ი.მ.) საგარეო სავაჭრო ბრუნვის 30,9%, 2012 წლის ამავე პერიოდში (რომელ პერიოდში უცნობია-ი.მ.) კი დაფიქსირდა შესაბამისად 4 ქვეყანა და 34,5%“. კომენტარი ზედმეტია, რადგან სრულ უაზრობასთან გვაჯექვს საქმე.

4. წიგნის 62 გვერდზე ავტორს მოტანილი აქვს უკრაინასთან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები, სადაც არაა მითითებული რომელ წელს განეკუთვნებიან ისინი. თუ გამოვალთ წინა აზრადიდან, სავარაუდოდ საუბარი უნდა იყოს 2012 წელზე, მაგრამ აქაც სიცრუესთან გვაჯექვს საქმე. ავტორი წერს „უკრაინამ საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში მესამე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა“. ფაქტობრივად უკრაინა ისევ მესამე ადგილზე დარჩა. აშკარად ტყუის **ლ. ხიხაძე**, როდესაც წერს, რომ უკრაინასთან ექსპორტი გაზრდილია 67,7%-ით, ხოლო იმპორტი- 79,6%-ით, რადგან ფაქტობრივმა შესაბამისმა მაჩვენებლებმა შეადგინა 18,4% და 15%-ი. ასევე უხეშადაა დამახინჯებული რუსეთთან სავაჭრო ბრუნვის სტატისტიკური მონაცემები.

5. წიგნის ავტორი 64 გვერდზე წერს „2012 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტების იმპორტი 556,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 113,2 მლნ აშშ დოლარით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე“. ეს ნაწილი ავტორის მიერ გადაწერილია **რ. ფუტკარაძის** ნაშრომიდან, სადაც წერია „2007 წელს საქართველოს საიმპორტო სასაქონლო გჯუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, მათი იმ-

რეკონსტრუქცია

პორტი 556,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 113,2 მლნ აშშ დოლარით მეტი იყო წინა წლის მაჩვენებელზე“, სად 2012 წელი და სად 2007 წელი, შეფასება მკითხველისთვის მიგვინდია.

6. ნაშრომის 77-ე გვერდზე წერია, რომ 2011-2012 წლებში საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში ექსპორტი არ განხორციელებულა და ჩამოთვლილია რამდენიმე ქვეყანა, მაგალითად, ეგვიპტე, ეკვატორი, ტაივანი ჰონ-კონგი და სხვა. ოფიციალური სტატისტიკით კი 2011 და 2012 წლებში ეგვიპტეში საქართველოდან ექსპორტის მოცულობამ შეადგინა შესაბამისად 21793,5 და 4609,4 მლნ აშშ დოლარი, ეკვატორში-2759,5 და 1981,9 მლნ აშშ დოლარი, ტაივანში-1634,4 და 1990,7 მლნ აშშ დოლარი, ჰონ-კონგში-2460,1 და 1536,4 მლნ აშშ დოლარი და ა.შ.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ლ. ხიხაძის სარეცენზიო წიგნის 2.1 ნაწილში „საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობა“ მოყვანილი არც ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არ შეიძლება უნებლიე შეცდომად ჩაითვალოს. ეს აშკარად ეკონომიკური მეცნიერებისადმი თავზე ლაფის გადასხმაა.

რეცენზიის ფორმატი არ მძლევს წიგნის სხვა ნაწილების დეტალური განხილვის საშუალებას. თანაც არ მინდა მკითხველი გადავალაო, მით უმეტეს, რომ წინა შეფასებების გამეორება მომიწევს. მოკლედ კი ვიტყვი, რომ წიგნის არც ერთ ნაწილში არანაირი მეცნიერული აზრი არაა ჩადებული, უბრალოდ იგი სხვისგან თავხედურად მოპარული ფრაგმენტებისა და ავტორის უაზრო სიტყვების ქაოსური გროვია, და რა თქმა უნდა, მას არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სარეცენზიო წიგნი თანამედროვე ქართული ეკონომიკური სკოლის სირცხვილია. ასეთი მახინჯი ანალოგი ალბათ ქართული ეკონომიკური ლიტერატურის ისტორიაში არ მოიპოვება. ჩემი დასკვნების კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობის მიზნით, გარდა ზემოაღნიშნული მოპარული 36 გვერდისა, მინდა დამატებით მოვნიშნო ლ. ხიხაძის მიერ სხვისი ნაშრომებიდან სიტყვა-სიტყვით გადაწერილი შემდეგი გვერდები:

- გვ. 25, 26, 27, 28, 83 გადაწერილია სალექციო კურსიდან, ეკა ლევაშვილი, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები, თსუ, ინტერნეტი.
- გვ. 42-43 გადაწერილია ნაშრომიდან, ბექარ ხეიძე, მიხეილ პატაშური, „საქართველო და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, ვალდებულებების შესრულება, დადადებითი შედეგები, „ახალი აზრი“, 2003 №1(7), ინტერნეტი
- გვ. 50 სიტყვა-სიტყვით ამოღებულია ინტერნეტიდან.
- გვ. 54 და გვ. 55 გადაწერილია რ. ფუტკარაძის სტატიიდან „საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, ახალი აზრი, 2004, #4 (18).
- გვ. 60, 61, 66 გადაწერილია რ. ფუტკარაძის სტატიიდან „საქართველოს საგარეო ვაჭრობა: პრობლემები და პერსპექტივები, ბიზნეს-მაცნე, 2008, #3(6).
- გვ. 7-71 გადაწერილია ინტერნეტიდან (ექსპორტი-

იმპორტის გზამკვლევი).

- გვ. 71 გადაწერილია ინტერნეტიდან, GSP-სქემა, მეწარმის სამაგიდო წიგნი.

ამრიგად, წიგნის ნახევარზე მეტი სხვისი ნაშრომებიდან სიტყვა-სიტყვითაა გადაწერილი. არაფერს ვამბობთ უაზრო კომპილაციებზე, რომლებიც ასევე უხვადაა ნაშრომში. ამასთან არც ერთი ავტორის ნაშრომი გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც არაა მოხსენიებული. მხოლოდ ნ. ოხანაშვილის 1999 წელს გამოცემული ანალიტიკური გამოკვლევიდან პირწმინდად გადაწერილია წიგნის 28 გვერდი. არაა გამორიცხული სხვა ნაწილებიც გადაწერილი იყოს, თუმცა ამას ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა, ისედაც პლაგიატის აშკარა ფაქტი სახეზეა. უფრო მეტიც, საქმე გვაქვს არა მხოლოდ პლაგიატთან, არამედ, დიდი ოდენობის სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისებასთან.

და ბოლოს, რამდენად მორალური და კანონიერია პლაგიატ ლ. ხიხაძის, როგორც არასამეწარმეო ორგანიზაციის „განათლების რეფორმის მხარდამჭერთა ორგანიზაციის“ აქტივისტის საქმიანობა, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ მის პირად მტრებად გამოცხადებულ პირებზე ყალბი პასკვილების წერით და პლაგიატის უსაფუძვლო მიკერებით, საზოგადოებისთვის მიგვინდია. ამით, ლ. ხიხაძე და რევანშიზმით დაავადებული მისი თანამზრახველები სახელს უტეხენ არა მხოლოდ ეკონომიკურ სკოლას, არამედ აგრეთვე მთელ სამოქალაქო საზოგადოებას. რა საზოგადოებრივი ნდობა უნდა ჰქონდეს იმ ორგანიზაციას, რომელიც ცდილობს განათლებასა და მეცნიერებაში „წესრიგის დამყარებას“ პროფესიონალი პლაგიატისა და თაღლითის მეშვეობით.

აქვე მინდა დავამატო, რომ ჩემთვის ჩვეული თემის დიდი უნარიდან გამომდინარე ნამდვილად არ მივიჩნევდი ლ.ხიხაძეს პასუხის ღირსად, მაგრამ ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის ედმუნდ ბოირკისა არ იყოს, „არსებობს ზღვარი, რომლის იქით თმენა კარგავს კეთილშობილებას“, რაზედაც ბოდიშს ვუხდი ჟურნალის მკითხველებს.

იამა (იაკობ) მესხია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის
კათედრის ხელმძღვანელი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში,
ორგზის ღირსების ორდენის კავალერი

რედაქციისგან:
რეცენზიას თან ახლავს ზემოთ მოყვანილი პლაგიატის დამადასტურებელი 47 გვერდიანი დოკუმენტი.